საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№1 (92)
19 - 25 იანვარი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## 4 მიშას + ამერიკული იარაღი = ახალი ომი

## ყოფილმა პაციენტმა ტუბდისპანსერში «მიცვალებულთა გათეთრების» სქემა გაშიფრა



10

ციხეში გარდაცვალების შემთხვევაში ცხედარი მიაქვთ საავადმყოფოში და ადგენენ საბუთს, რომ თითქოს პატიმარს უტარდებოდა მკურნალობა და არაფერს აკლებდნენ, მაგრამ ვერ უშველეს

## გამერებული ყარაულის იღბლიანი რეისი



14

## კრიმინალური პოლიციის უფროსის ცოლისძმა ციხიდან მეუღლის ფეხმძიმობის მოტივით გაუშვეს

7

## თანამდებობრივ სარგოში კონვერტირებული 30 ვერცხლი

11

### შეწყალებას არ ექვემდებარება

გულბაათ რცხილაძე:

## ამერიკის საელჩო ჯაშუშების ბუდეა



6

რეზო ამაშუკელი:

## «ნაციონალურ არხებს», რაც კი ცვედანი და ბოზია საქართველოში, ყველა შეყრილი ჰყავთ თავიანთ ეთერში



8

## სოდომის ამერიკული თავისებურებანი, ანუ მამათმავლობის ბირთვული ხიბლი

17

# VIVA LA TUNISIA, ანუ, ბრიყვო, მომისმინე!

**გიხაროდენ!**

**დემოკრატიის შუქურა, პოლიგლოტი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ისევ მჭიდშია... ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის პრეზიდენტი, დემოკრატიის შუქურა და პოლიგლოტი სააკაშვილი ევროპარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსასვლელად ორჯერ მიიწვიეს. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, აქამდე მსგავსი პატივი მხოლოდ დალაი ლამას ხვდა წილად... უკანასკნელი ორი თვის მანძილზე პოლიგლოტ და დემოკრატიის შუქურა პრეზიდენტს თვით ბარაკ ობამამაც კი ორჯერ ჩამოართვა ხელი. გიხაროდენ, მიშა ისევ მაგარია!**

ეს შესავალი მოკლე შინაარსია იმისა, თუ როგორ შეაფასეს ქართულმა ტელეარხებმა სააკაშვილის **„წარმატებული პრეზიდენტობის მეექვსე წელიწადი!“.**

ნაწილობრივ ეს სიმართლეც არის — „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილს თვით ჯორჯ ბუშმა უწოდა, პოლიგლოტი მიხეილი ევროპარლამენტში სიტყვით მართლა გამოვიდა და თან ორჯერ, ბარაკ ობამამაც უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ორგზის ჩამოართვა ხელი. მეტი რაღა არგუმენტი გვინდა, რომ ვირწმუნოთ, ჩვენი პოლიგლოტი პრეზიდენტი დალაი ლამას ტოლფასი ფიგურაა და ის ხანმოკლე იგნორირების შემდეგ ამერიკელებმა კვლავ მჭიდში ჩასვეს...

**მერე რა, რომ დალაი ლამა ევროპარლამენტში სიტყვით გამოვიდა როგორც ლიდერი, რომელსაც ქვეყანა წაართვეს, ხოლო სააკაშვილი — როგორც ლიდერი, რომელმაც ქვეყნის მესამედზე მეტი დაკარგა...**

მერე რა, რომ, forum.ge-ს თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №1143 ბრძანებით დამტკიცებულ წესში ცვლილებების შეტანის შედეგად ძალიან მალე საქართველოში ყველა დაწესებულებაში, რომელსაც ფულთან აქვს საქმე **(ასეთად კი სოფელ გუმათში ჟენია ბებოს „ვაგონიც“ ითვლება),** აუცილებელი წესით, უნდა დამონტაჟდეს **„იმგვარი ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაწერილი ინფორმაციის გადატანას ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე გამოსახულების ხარისხის დანაკარგის გარეშე“.**

მათთვის, ვინც ზემოთ მოყვანილმა ტექნიკურმა ტერმინებმა დააბნია, ამ ბრძანებიდან უფრო გასაგებ ციტატას მოვიყვან:

**„დარბაზში, სალაროსთან და შემოსასვლელებში დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემების პარამეტრებს განსაზღვრავს უშუალოდ ორგანიზატორი, ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის პარამეტრების მახასიათებლებია:**

**ა) კამერის გარჩევადობა: 3 მეგაპიქსელი (2048X1536 QXGA);**

**ბ) მგრძნობელობა: 0 ლუქსი აქტიური განათების შემთხვევაში (0.1. აქტიური განათების გარეშე);**

**გ) დაფარვის ზონა... ძირითადი და სათადარიგო შესასვლელების 20-მეტრიანი რადიუსის ფართობის თვალთვალი;**

**დ) ჩანაწერის გარჩევადობა: არანაკლებ 3 მეგაპიქსელი (2048X1536 QXGA), არანაკლებ 5 კადრი წამში. დღეღამის რეჟიმში განხორციელებული ჩანაწერი უნდა იძლეოდეს ადამიანის (ობიექტის) ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას;**

**ე) სერტიფიკატი: აპარატურა უნდა გააჩნდეს ISO სერთიფიკატი.**

**...გარე პერიმეტრზე უნდა დამონტაჟდეს არანაკლებ 2 ვიდეომეთვალყურეობის სისტემა... ვიდეომეთვალყურეობის სისტემა უნდა დამონტაჟდეს საქართველოს შსს ან/და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ ადგილას და შერჩეული განლაგებით.**

გაგრძელება მე-2 გვ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# VIVA LA TUNISIA, ანუ, ბრიყვო, მომისმინე!

პირველი გვერდიდან

**დისტანციური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ორგანიზატორი ვალდებულია, უზრუნველყოს გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მუდმივი წვდომა გლობალურ ქსელთან...**

**გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემით მიღებული მონაცემების (ინფორმაციის) ამოღება და შსს-ს ან/და სხვა უფლებამოსილი პირისათვის გადაცემა შესაძლებელი უნდა იყოს ციფრული ვიდეო ჩანაწერიდან (DVD, HDD, USB an ETHERNET ინტერფეისით)".**

მოკლედ, სატელეფონო მოსმენები (ტოტალური), თვალთვალი, ფარული ჩანაწერები — ეს ყველაფერი საკმარისი აღარ არის...

და რადგან სააკაშვილი კვლავ მჭიდშია, იგი კვლავ პოლიგლოტია და თან მაგარია, საჭიროა, რომ ნებისმიერ ადგილას, სადაც ფული ტრიალებს, იქნება ეს აფთიაქი, სლოტ-კლუბი (თუ როგორც უკვე გითხარით, ჟენია ბებოს „ვაგონი" გუმათში), **უნდა დამონტაჟდეს მინიმუმ ორი ვიდეოკამერა, „0.1 ლუქსი მგრძნობელობით აქტიური განათების გარეშე" (ანუ ღამის ხედვის რეჟიმით), მინიმუმ 3-მეგაპიქსელიანი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს 20-მეტრიანი პერიმეტრის კონტროლი და, რაც მთავარია, გამოსახულება ისეთი ხარისხის უნდა იყოს, რომ იძლეოდეს აღბეჭდილი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. ასევე, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასე ინება, ორგანიზატორი, ანუ მეპატრონე ვალდებულია „დისტანციური მონიტორინგის" (ანუ კაბინეტიდან გაუსვლელად თვალთვალის) უზრუნველსაყოფად კამერების გლობალურ ქსელთან (ინტერნეტთან) მუდმივი წვდომა უზრუნველყოს...**

**დაბოლოს, ორგანიზატორი, ასევე, ვალდებულია, პირველივე მოთხოვნისთანავე შსს-ს (ან სხვა უფლებამოსილ პირს) მიაწოდოს ციფრული ვიდეოჩანაწერი DVD, HDD ან სხვა ინტერფეისით (იმაზე რომ ასეთი ჩანაწერის ამოღებას ან იგივე "დისტანციურ მონიტორინგს სასამართლოს "სანქცია" სჭირდება ბრძანებაში არაფერია ნათქვამი).**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ვიდეომეთვალყურეობის მოწყობილობას უნდა გააჩნდეს **ISO სერთიფიკათი** და სხვა მინიმალურ ტექნიკურ მახასიათებლებსაც მივიღებთ მხედველობაში, კამერებიან, ჩამწერიან, წვრილმანებიან, მონტაჟიანად ეს „ბედნიერება" 1500 აშშ დოლარამდე დაჯდება. ხარჯი, რა თქმა უნდა, „ორგანიზატორმა", ანუ გუმათელმა ჟენია ბებომ უნდა გაიღოს!

მაგარია, მიშა, მაგარი...

დემოკრატიის შუქურაა, პოლიგლოტია და პრეზიდენტია, რომელიც კვლავ მჭიდში ჩასვეს...

**ეგ არის, რომ შუქურა და პოლიგლოტ პრეზიდენტს მტრები ჰყავს. მაგალითად, ბრიტანული გაზეთი „გარდიანი", რომელმაც მშვიდობიანი ქვეყნების რეიტინგში, საქართველო 142-ე ადგილზე, ჩადის გვერდით მოახვედრა. ამ რეიტინგში პირველ ადგილზე ისლანდიაა, ბოლო ათეულში კი — კონგო, ჩადი, საქართველო, პაკისტანი, სუდანი, ავღანეთი, სომალი და ერაყი.** თანაც ეს რეიტინგი „გარდიანმა" კრიტერიუმების — **სამხედრო ხარჯები, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ბიზნესგარემო, ინფორმაციის თავისუფლება, განათლებისა და კორუფციის დონე** — მიხედვით შეადგინა...

არადა, ამერიკაში ყოფნისას, ობამასთვის ხელის ჩამორთმევამდე ორიოდ საათით ადრე ჩვენმა პოლიგლოტმა პრეზიდენტმა ანკარა ინგლისურით აუწყა მსოფლიოს, რომ რეიტინგებში საქართველო, დაცულობის თვალსაზრისით, ისლანდიის მერე, მეორე ადგილზეა, კორუფციასთან ბრძოლისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით კი — სულაც ლიდერობსო...

რას იზამ, გამარჯვებულ პრეზიდენტს ასეთი მოკლეფეხებიანი ტყუილები ეპატიება... უნდა დავაზუსტო, რომ **პრეზიდენტს საქართველოში ტყუილზე მეტიც ეპატიება, მაგრამ ასეთი რალაცები, ანუ უსაზღვრო პატიება მხოლოდ საქართველოში ხდება...**

**დიახ, დაბრიყვებულ ქართველ საზოგადოებას თუ არ ჩავთვლით, შორეული აფრიკის კონტინენტზეც აღარ პატიობენ სტაჟიან დიქტატორებს იმდენს, რასაც ჩვენ ვპატიობთ დემოკრატიის შუქურა პოლიგლოტ სააკაშვილს. მაგალითისთვის შორეული მაღრიბის თვალწარმტაცი ქვეყანა ტუნისიც იკმარებს, რომელიც ფინიკიური კულტურის აკვანს, დიადი კართაგენის მოკრძალებულ ნაშთს წარმოადგენს.** ვერ გეტყვით, ტუნისელები ისევე ამაყობენ ძველი კართაგენით ან პირველყოფილი ადამიანების ბინადრობის უძველესი ადგილებით, როგორც ქართველები — დიაოხით ან ზეზვათი და მზიათი, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ, ჩვენგან განსხვავებით, მათ საამაყო აწმყოშიც ბევრი აქვთ...

**ამ ქვეყნის დიქტატორულ მისწრაფებებში შემჩნეულმა პრეზიდენტმა ბენ ალიმ, რომელიც ქვეყანას 23 წელი მართავდა, საქართველოს ასევე „შემჩნეული პრეზიდენტისგან" განსხვავებით, არ იკადრა საკუთარ მოსახლეობაზე იარაღით გაწევა** და გაქცევამდე მცირე ხნით ადრე არმიასა და პოლიციას (185 ათასი ჯარისკაცი და პოლიციელი) მოუწოდა, თავი შეეკავებინათ აბუნტებული თანამოქალაქეების დარბევისგან.

ბუნტი კი ტუნისში 2010 წლის 26 დეკემბერს დაიწყო, მას შემდეგ, რაც სასურსათო კრიზისითა და უმუშევრობით სასოწარკვეთილმა ორმა ახალგაზრდამ პროტესტის ნიშნად საჯაროდ დაიწვა თავი. ახალგაზრდების აუტოდაფეს მოსახლეობის ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. თავდაპირველად ხელისუფლებამ აბუნტებული მოსახლეობის ძალით დაშოშმინება სცადა, მაგრამ, როდესაც ცხადი გახდა, რომ ტუნისელები უკან დახევას არ აპირებდნენ... პრეზიდენტი გაიქცა. სამხედროები და პოლიციელები კი განრისხებულ ბრბოს მეჩეთებში ემალებოდნენ.

ბენ ალის გაქცევის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ **ტუნისის პრეზიდენტის მოწოდება ჯარისა და არმიისთვის — არ დაერბიათ საკუთარი თანამოქალაქეები — ფარისევლობა იყო.** მან ეს განცხადება მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა, რაც დარწმუნდა, რომ სამხედროები და პოლიცია საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ომში მხარს არ დაუჭერდნენ. უფრო მეტიც, ტუნისში საფრანგეთის ყოფილი ელჩის — ჟაკ ლანსკადის განცხადებით, **„სწორედ არმიამ და არა პოლიციამ განაცხადა უარი, ცეცხლი გაეხსნათ მომიტინგეებისთვის, რამაც ქვეყნის პრეზიდენტი ბენ ალი აიძულა, ქვეყნიდან გაქცეულიყო. ტუნისის სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალი ახმედ რაშიდი დემონსტრანტებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანების მიღებისთანავე დემონსტრაციულად გადადგა და ბენ ალის პირში მიახალა, შენი საქმე დამთავრებულიაო."**

დარწმუნებული ვარ, ამ ვითარებამ 2007 წლის 7 ნოემბერი მოგაგონათ. სამწუხაროა, რომ მაშინ არც ქართული ჯარი და პოლიცია და არც ქართველი დემონსტრანტები არათუ მოწოდების, არამედ „ტუნისელი კოლეგების" სიმაღლეზეც ვერ აღმოჩნდნენ. ამ ვითარებამ, ალბათ, ასევე მოგაგონათ აფხაზეთიდან დევნილი, შემდეგ კი ხელისუფლების მიერ ხელმეორედ „გალტოლვილებული" ორი შვილის დედა ნანა ფიფია, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან თავი დაიწვა. სასოწარკვეთილი დედის ამ პროტესტს, რომელსაც, ნუგეშისა და დახმარების ნაცვლად, ხელისუფლებამ ცინიკურად უთხრა, წადი და ბალახი ჭამეო, არათუ მასობრივი მღელვარება არ მოჰყოლია, არამედ ამის გამო ერთი რიგითი წვრილფეხა ჩინოვნიკიც არ დაუსჯიათ...

ამ სინდრომის ანალიზისთვის ერთი საგაზეთო სტატია ნამდვილად არ არის საკმარისი. ასე რომ, თქვენის ნებართვით, ისევ წინამდებარე მასალის სათაურსა და მჭიდში ჩასმულ პრეზიდენტს დავუბრუნდები.

**ვინც საკუთარ თავზე მიიღებს და ეწყინება, ეწყინოს, მაგრამ ყველას, ვისაც ჰგონია, რომ ქართველების ტანჯვითა და გმინვით შეწუხებული დასავლეთი სააკაშვილს წასვლას და დემოკრატიული არჩევნების გზით ხალხის ნების განხორციელებას ურჩევს, ვეტყვი: ბრიყვო, მომისმინე!**

სააკაშვილი კვლავ მჭიდშია და, რადგან თავად პრეზიდენტს ასე ძალიან უყვარს მეტაფორები, მეტაფორულად აგიხსნი: **წარმოიდგინე, რომ მჭიდი არის თეთრი სახლის პოლიტიკური ინტერესები; იარაღი არის, ასევე, თეთრი სახლის საგარეო პოლიტიკა; ხოლო ჩვენი დემოკრატიის შუქურა და პოლიგლოტი პრეზიდენტი არის ვაზნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ამერიკის მეტოქეს (დიდი ალბათობით რუსეთს) უნდა ესროლონ...**

და როგორ გგონია, ამ ვაზნას თეთრი სახლის ადმინისტრაცია მხოლოდ იმიტომ გადააგდებს, რომ საქართველო მშვიდობიანი ქვეყნების რეიტინგში 142-ე ადგილზეა, რომ ვანო მერაბიშვილი ყველა „ბუტკაში" სათვალთვალო ვიდეოკამერების დამონტაჟებას გეგმავს, რომ სასოწარკვეთილმა ნანა ფიფიამ თავი დაიწვა ან სააკაშვილმა ჰალსტუხი შეჭამა, ხოლო შაშკინი სკოლის დირექტორებს მათი სისხლის დალევით დაემუქრა?

**რეიტინგში 142-ე ადგილი, მერაბიშვილის მიერ დამონტაჟებული კამერები, ნანა ფიფიას მიერ თავის დაწვა, შაშკინის მიერ დირექტორების სამი ჩაფი სისხლის დალევა, ზოგადად, ქართველების ყოფნა-არ ყოფნა და ისიც კი, თუ რამდენ ჰალსტუხს შეჭამს ელდანაცემი სააკაშვილი, ვაშინგტონს მაკდონალდსზე ჰკიდია... მისთვის მთავარია, ამერიკის ინტერესები ამ რეგიონში... უპრინციპო პოლიტიკოსებს (როგორიც ოპონენტთა მტკიცებით, პოლიგლოტი სააკაშვილია) ჯერ იყენებენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადააგდებენ!**

ასე რომ, **სანამ ვაშინგტონს სჭირდება ვაზნა, რომელსაც ესვრის რუსეთს, სააკაშვილი იქნება მჭიდში და მორჩილად დაელოდება საკუთარ რიგს.** და უდიდესი სიბრიყვეა იმაზე ფიქრი, რომ თეთრი სახლი ჩვენს მაგივრად გააკეთებს იმას, რაც ტუნისელმა ხალხმა თავად გააკეთა; უფრო მეტიც, თეთრი სახლი ყველანაირად შეეცდება, მჭიდში ვაზნა (ამ შემთხვევაში, ტახტზე — სააკაშვილი) შეინარჩუნოს.

ასე რომ, **Viva La Tunisia, აფერუმ, ტუნისის საზოგადოებას, რომელიც, ჩვენგან განსხვავებით, დროულად გათავისუფლდა სიბრიყვის სენისგან და თავად გააკეთა ის, რაც ჯერ კიდევ ამ სენით შეპყრობილი ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს ესოდენ სურს, რომ მის მაგივრად სხვამ გააკეთოს.**

**უჩა შავდია**

**უპრინციპო პოლიტიკოსებს (როგორიც, ოპონენტთა მტკიცებით, პოლიგლოტი სააკაშვილია) ჯერ იყენებენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადააგდებენ! სანამ ვაშინგტონს სჭირდება ვაზნა, რომელსაც ესვრის რუსეთს, სააკაშვილი იქნება მჭიდში და მორჩილად დაელოდება საკუთარ რიგს**



საქართველო. 2007 წლის 7 ნოემბერი




ტუნისი. 2010 წლის 26 დეკემბერი

**უდიდესი სიბრიყვეა იმაზე ფიქრი, რომ თეთრი სახლი ჩვენს მაგივრად გააკეთებს იმას, რაც ტუნისელმა ხალხმა თავად გააკეთა; უფრო მეტიც, თეთრი სახლი ყველანაირად შეეცდება, მჭიდში ვაზნა (ამ შემთხვევაში, ტახტზე – სააკაშვილი) შეინარჩუნოს.**

**რეიტინგში 142-ე ადგილი, მერაბიშვილის მიერ დამონტაჟებული კამერები, ნანა ფიფიას მიერ თავის დაწვა, შაშკინის მიერ დირექტორების სამი ჩაფი სისხლის დალევა, ზოგადად, ქართველების ყოფნა-არ ყოფნა და ისიც კი, თუ რამდენ ჰალსტუხს შეჭამს ელდანაცემი სააკაშვილი, ვაშინგტონს მაკდონალდსზე ჰკიდია... მისთვის მთავარია, ამერიკის ინტერესები კავკასიის რეგიონში...**

# ჯენტლვუმენი და სირაჯი

**ნინო ბურჯანაძის „ელიტარულმა შანტაჟმა“ და ლევან გაჩეჩილაძის პოლიტიკურ ვაჭრობაში მხილებამ მისთვის მოულოდნელი შედეგი გამოიღო: მისი თანამეცხედრის — ბადრი ბიწაძის (ნუ ვაწყენინებთ ქალბატონ ნინოს, მას არ მოსწონს, როცა მათ ოჯახს კრებითად, „ბურჯანაძეებად“ მოიხსენიებენ — „ვერ გავიგე, ბადრი ბიწაძეს თავისი გვარი არა აქვს?“) ნანახ-მოსმენილის გამომზეურებისა და დაგვიანებული აღსარების შემდეგ „წარმომადგენლობით სახალხო კრებაში“ გაერთიანებული პოლიტიკური ძალები და საზოგადოების ცნობილი სახეები მიხვდნენ, რომ „ТЕТЯ НИНА“ მათ გამოყენებას ახლაც ისევე ეცდებოდა, როგორც 2009 წლის აპრილის აქციებზე.**



მაშინ ახლადგაოპოზიციონერებულ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ძალიან სჭირდებოდა ოპოზიციური სპექტრის მხარდაჭერა და მწვავე განცხადებების გაკეთებას ერიდებოდა. **მხოლოდ ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს აყრიდა ქოქოლას, როგორც შენგელიძე მარო — პაკიპუკას: „აკი შენ შენს ნაბოზარ დებს მოუარო, ერთი რომ ზაქათალის ბოზია, მეორე — ველისციხისა... შე მონავ, შენაო“.**

სიყვარულიც ყველას უნდა და პოლიტიკაში ყოფნაც, მით უფრო — ძალაუფლებით ტკბობა. გამონაკლისი არც ნინო ბურჯანაძეა — გამოცდილიც აქვს და „იქ“ დაბრუნების მწველი სურვილიც ხშირად ეძალება. ამისთვის კი საჭიროა საზოგადოებრივი აზრის მეთოდური მომზადება ინტელიგენციის მხარდაჭერით. ამიტომაც, **საზოგადოების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ინტელიგენციის წიაღში დაბრუნება გადაწყვიტა. ეს კი ძალიან გაუჭირდა მას შემდეგ, რაც სააკაშვილისგან „ჩარეცხილები“ სახელმწიფოში მეორე პირმა** (რა გაცინებთ?) **საჯაროდ არათუ არ დაიცვა, საერთოდ გაისუსა.**

**ახლა კი კომპრომატების ფრიალის დროა და ამ „ფრონტზე“ ბურჯანაძე სწორუპოვარია — იმდენჯერ თქვა „ლაპარაკი არ დამაწყებინოთო“, ბევრს გააჟრჟოლა: ეს ისეთი სკოლაგამოვლილია, მართლა არ დაიწყოს, თორემ პოლიტიკაში ყოფნა სამარცხვინო გახდებაო. ჰოდა, დაიწყო. პირველს ერთი შეხედვით, მძიმე არტილერიას, სინამდვილეში კი მოწყვლად ლევან გაჩეჩილაძეს დაარტყა.**

შესაძლოა, კონკურენტი „სახალხო პარტიის“ დისტანციიდან უხეში ხელის კვრით ჩამოცილების აზარტში შესულმა „არავიზე ნაკლებმა ვაჟკაცმა ქალმა“ (ბურჯანაძის სიტყვებია), ანუ ჯენტლვუმენმა ვერ გაითვალისწინა, რომ ქართული პოლიტიკა ბრძოლის სხვადასხვა ხერხებს კი ცნობს, მაგრამ არის რაღაც, რაც „ნაცების“ ყოფილმა სახემაც კი არ უნდა იკადროს.

„გრეჩიხას“ ჩამოცილებით ბურჯანაძეს ასპარეზი შესამჩნევად უთავისუფლდება, რადგან გაუერთიანებელმა ოპოზიციამ 2007 წლის ნოემბერში საბედისწერო შეცდომა დაუშვა და ძლივს შეკოწიწებულმა პრეზიდენტობის კანდიდატად სწორედ ის დაასახელა, ანუ ადამიანი გაურკვეველი პოლიტიკური წარსულით. ნუ დამიწყებთ მტკიცებას, რომ მას პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდა. **ინგა გრიგოლიას გადაცემაში შეკითხვაზე „პრეზიდენტობის შემდეგ** (ანუ 6 თვის შემდეგ) **რას აპირებთო“, გაჩეჩილაძემ გულიანად გაიცინა და** (არ ვთქვა?) **სრული სისულელე უპასუხა — „რაც მომეპრიანება, იმას გავაკეთებო“.** ლევან გაჩეჩილაძეს მაშინ არ ესმოდა (ახლა ესმის?), რომ პრეზიდენტებსაც და ყოფილ პრეზიდენტებსაც „რაც მოეპრიანებათ“, იმის გაკეთების უფლება არსად არ აქვთ (სააკაშვილი ბედნიერი გამონაკლისია).

**ამიტომაც, არ გამკვირვებია მისი ბურჯანაძესთან ვაჭრობის ამბავი, რადგან თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ყოფილი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე,** რომელიც, როგორც ამბობენ, კარგ ღვინოს ასხამდა (მე არ დამილევია, ალბათ, ბურჯანაძეს ექნება გასინჯული, სააკაშვილის ინაუგურაციისთვის საგანგებოდ ჩამოსხმული), **პოლიტიკაშიც სირაჯად** (ძველქართულად მეღვინეს ნიშნავს) **დარჩა, ძვირადღირებულ, მაგრამ მაინც სირაჯად!**

დავუბრუნდეთ ბურჯანაძე-ინტელიგენციის ურთიერთობას. ახლა კი აცხადებს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ ადამიანებსო, მაგრამ ისიც გვახსოვს, როგორ ერთგულებდა სააკაშვილსა და მის ამალას, **როცა ბადრი პატარკაციშვილი და ოპოზიციის ლიდერები მოღალატეებად შერაცხეს და დოკუმენტური ფილმების სერიალიც მიუძღვნეს. მაშინ ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საზოგადო მოღვაწეთაგან ერთადერთი იყო, ვინც გაცოფებული ხელისუფლებისგან მოსალოდნელ რეპრესიებს არ შეუშინდა და ბოლომდე ერთგულად ედგა გვერდით შერისხულ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს.** დიახ, მაშინ, როცა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტობის კანდიდატ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდა და ამით 7 ნოემბრის დარბევას, პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც ამართლებდა.

**ხელისუფლების სიმხეცით გაოგნებული და დაზაფრული ინტელიგენცია, მათ შორის „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოსა და სათათბირო დარბაზის ახლანდელი წევრებიც არ მალავდნენ ხელისუფლების მიმართ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ახლა მათთვის მისაღებია ბურჯანაძე, რომელიც თურმე „შიგნით“ იბრძოდა, გარედან კი მაინც დახვეწილ კონფორმისტად ჩანდა.**

თუმცა ეს მაინც წარსულია. მაგრამ დავიწყება არ ეგების, რადგან ქართული პოლიტიკის აწმყო სწორედ ამ წარსულმა შობა. ახლა კი **ბურჯანაძე ჭადრაკის დედოფლის მანტიას ამოფარებია და თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევას მისთვის და ბატონების — რეზო ესაძის, გოგი ქავთარაძისა და ელიზბარ ჯაველიძისთვის ხოტბის შესხმით ცდილობს.**

ამ ადამიანებმა თავიანთი ცხოვრებით დაამტკიცეს, რომ ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან. ამიტომაც სჭირდება ბურჯანაძეს „კრებაცა“ და ზოგადად ინტელიგენციაც, რათა როგორმე ჩამოიფერთხოს წლების მანძილზე მოუშორებელი წარსულიდან შეყრილი ფქვილი.

**ნონა გაფრინდაშვილი „კრების“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარეა და მთელი ამ მოძრაობის ლიდერადაცაა აღიარებული, მაგრამ „კრებასთან“ შეერთების თაობაზე სარდაფულ მოლაპარაკებებს „გრეჩიხა“ და კომპანია“ მაინც ბურჯანაძესთან მართავდნენ, გაფრინდაშვილი კი ამის თაობაზე ახლაღა იგებს.** რატომ? იქნებ იმიტომ, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ფულის ენა არ იცის, ბურჯანაძე-ბიწაძესთან **(„სხვათა შორის, ლევან გაჩეჩილაძის სახლის სარდაფში შემდგარ შეხვედრაზე ბადრი ბიწაძის დასწრება მოხდა არა პირადად მისი ან ჩემი მოთხოვნით, არამედ სწორედ ლევან გაჩეჩილაძის, ეროსი კიწმარიშვილის და სხვა ადამიანების მოთხოვნით, რომლებიც ამ შეხვედრას ესწრებოდნენ,“ — ნინო ბურჯანაძე)** კი ადვილია მათთვის გასაგებ ენაზე საუბარი?

**წარმომიდგენია ამ მრავლისმნახველი ადამიანების ინტელიგენტურად გაოცებული სახეები, როცა ამ შეხვედრის შესახებ შეიტყვეს ამდენი ხნის შემდეგ და თანაც რა გარემოებებში!**

ეს გაოცება მალე შიშმა შეცვალა, რადგან, როცა მოსკოვიდან დაბრუნებული ბურჯანაძე „ხალიჩაზე გამოიძახეს“ და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, ამ უკანასკნელმა პირდაპირ უთხრა, **„თუ საბჭო გადაწყვეტდა, რომ ჩვენი პარტიის — „დემოკრატიული მოძრაობის“ გვერდზე გადგომა ხელს შეუწყობდა „სახალხო კრების“ გაძლიერებას, ჩვენ მზად ვიყავით, გადაგვედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ აღმასრულებელი საბჭოს ყველა წევრი წავიდა ამის წინააღმდეგ!“ (ნინო ბურჯანაძე) ძნელი არ არის ამ „მზადყოფნაში“ დაინახო ის, რაც ბურჯანაძემ გააკეთა — იგი „ელიტარული შანტაჟიდან“ „ინტელიგენტურ შანტაჟზე“ გადავიდა.** ამ დროისთვის „კრების“ გამართვიდან, ანუ 25 ნოემბრიდან უკვე ერთი თვე იყო გასული და პარტიული და, რაც მთავარია, ფინანსური საყრდენის გარეშე, საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც თქვეს საბჭოს წევრებმა უარი „შანტაჟისტისგან“ დისტანცირებაზე.

ამასთან, ისიც გაითვალისწინეს, რომ ბურჯანაძისგან მოსალოდნელი იყო „კრების“ „პატარა“ საიდუმლოს აფრიალებაც: **არავითარი 800 ათასი ადამიანის მანდატი „კრებას“ არ აქვს! სია პოლიტიკოსთა რჩევით გაბერეს და შედეგად, თითოეულმა „დელეგატმა“ 3-4 „მარწმუნებლის“ მიყვანაც ვერ შეძლო! ეს ბლეფი „კრებაშიც“ კარგად იციან და ხელისუფლებამ ხომ იცის და იცის,** მაგრამ ახლა არ სჭირდება ამის გამომზეურება, რადგან იქ („კრებაში“) „თავიანთი რადიკალი“ ეგულებათ „რევოლუციური ტრიუმვირატიდან“ (ერთი ასეთი „ქართულ პარტიაშიც“ ჰყავთ!). ამიტომაც აშაყირებენ „კრების“ გადაწყვეტილებებს — პრეზიდენტიც გადააყენეს, კონსტიტუციაც გააუქმეს... მხოლოდ საქართველოსი გააუქმეს თუ სხვა ქვეყნებისაცო? — ირონიულად კითხულობენ. ამ მდგომარეობამდე კი პოლიტიკოსების, ვერ ვიტყვი, რომ გულუბრყვილობამ მიიყვანა ეს კეთილშობილური მიზნით შეკრებილი ხალხი. აქ ბევრი არაფერია საძიებელი, ყველაფერი ზედაპირზეა — **ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა გულწრფელობა კვლავაც ძალაუფლებაზე შეყვარებულ პოლიტიკოსთა საჯიჯგნად იქცა.**

**ბონდო მძინარაშვილი**



საავტორო სვეტი

# ნაკლები, ვიდრე მოსკოვში

**„ჩვენ გვაქვს პატარა ქალაქი ბათუმი შავი ზღვის სანაპიროს არაოკუპირებულ ნაწილში, სადაც ამჟამად უფრო მეტი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა და მეტი მშენებლობა მიმდინარეობს, ვიდრე მოსკოვში“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს მეწარმეობის ამერიკულ ინსტიტუტში (AEI) გამართულ კონფერენციაზე.**

ხდება ხოლმე, ხდება... ისტორიაში ნამდვილად იყო შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ლიდერი თავს ძალით იგიჟებდა. **მაგალითად, სოლონმა, როდესაც კანონისთვის გვერდის ავლა გადაწყვიტა (ათენში მეგარასთან ომის დაწყების საკითხის განხილვა აკრძალული იყო), ქუდი დაიხურა (იმ დროს გიჟები მოვალენი იყვნენ, ქუდებით ევლოთ), ხტუნვა-ხტუნვით ქუჩაში გამოვარდა და ხსენებული ომის პროპაგანდა ლექსების დეკლამაციით დაიწყო. პარალელების გავლება ნამდვილად გაგვიჭირდება, რადგან სოლონი, ექსცენტრული ქცევის მიუხედავად, სავსებით ადეკვატურ აზრებს ავითარებდა, ხოლო ტრიბუნასთან მდგომი სააკაშვილი ქვებს არ ისროდა, თუმცა მისი სიტყვები, იგივე ამერიკელები რომ იტყვიან, „მენტალური მდგრადობის შერყევის“ მაღალ ალბათობაზე „აშკარად და უშუალოდ“ მიანიშნებდა.**

როგორი იყო სააკაშვილის ამ უკვდავი აზრის გენეზისი (თუ პათოგენეზი)? შარშან, ოქტომბერში, შეხვედრაზე უკრაინელ პარლამენტარებთან სააკაშვილმა განაცხადა, რომ 2 წელიწადში ბათუმი ცათამბჯენების რაოდენობით გაუსწრებს ვანკუვერს და იქ გაცილებით მეტი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო იქნება, ვიდრე მოსკოვში. **როგორც ჩანს, ამ განცხადებიდან სამ თვეში მის წარმოსახვაში ორმა წელიწადმა გაიარა და შესაბამისი შენობებიც აშენდა. საქმე, სავარაუდოდ, შემდეგ ალგორითმთან გვაქვს: ოქტომბერში სააკაშვილს მოეჩვენა, რომ ასე იქნება, იანვარში კი მან ჩათვალა, რომ ეს უკვე ასეა. ამასთანავე, „ხუთვარსკვლავიანი“ აზრიდან, რომელიც ქმნის მყარ შთაბეჭდილებას, რომ მისი ჩამოყალიბების პროცესში ხუთვარსკვლავიანი კონიაკის ხუთი ბოთლი დაიცალა, აშკარაა, რომ სააკაშვილი კვლავ განაგრძობს თავის (ასევე წარმოსახვით) შეჯიბრს ვლადიმერ პუტინთან და, შესაბამისად, რუსეთთან („მეტი... ვიდრე მოსკოვში“!).**

ისე, სააკაშვილმა საკმაოდ დიდი ხნის წინათ ჩაუყარა საფუძველი გაუმართლებელ, ხშირ შემთხვევაში კი უაზრო, „შედარებებს რუსეთთან“ და, წესით, არ უნდა ეწყინოს, თუ ამ ხერხს ვინმე მის წინააღმდეგაც გამოიყენებს; მაგალითად, ადვოკატმა მორდეჰაი ცივინმა, რომელიც ქართველი სამართალდამცავების მიერ დაპატიმრებული ბიზნესმენების: რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის ინტერესებს იცავს, შემდეგი რამ თქვა: **„ერთი კვირის წინ სტრასბურგში ვიყავი, ევროპარლამენტის დეპუტატებს ვესაუბრე. ისინი აუცილებლად მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც დაგმობს საქართველოს ხელისუფლების ქმედებას ფუქსთან და ფრენკელთან მიმართებაში და მალე მთელი მსოფლიო დარწმუნდება, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები დაცული არ არის და სამართლიანი სასამართლო არ არსებობს.**

მე ბევრი საქმე რუსეთშიც მიმყავს. ამ მხრივ რუსეთში საქმე გაცილებით უკეთაა. შესაძლოა, ამან ღიმილი მოგგვაროთ, მაგრამ მე დავრწმუნდი, რომ ადამიანის უფლებები იქ უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე საქართველოში“.

კიდევ ერთი შედარება, რომელსაც სოციალურ ქსელებში მივაგენი; მოკლე შინაარსი ასეთია: **ოთარ გვენეტაძე, რომელმაც 3 იანვარს დაღუპულ გმირთა მემორიალთან ქალს სახეში მუშტი დაარტყა, სამსახურიდან ფორმულირებით „ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა“ გაათავისუფლეს. ანალოგიური შემთხვევა რუსეთში 6 ნოემბერს, მოსკოვის ოლქის ვოლოკოლამსკის რაიონში მოხდა. მილიციის სერჟანტმა ქალს სახეში მუშტი დაარტყა; მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.**

ეს ორი შედარება საქართველოსა და რუსეთს შორის ეხება არა ცხოვრების დონეს ან სამხედრო ძლიერებას (პირველ შემთხვევაში, დიდხანს არაფერი გვეშველება, მეორეში კი — არასოდეს), არამედ სამართალსა და ადამიანის უფლებებს — იმ სფეროს, რომელთან დაკავშირებით **სააკაშვილის ხელისუფლება თვლის, რომ რუსეთი, დიდი ხანია, უკან ჩამოიტოვა. რუსეთში ამ კუთხით საქმე იდეალურად ნამდვილად არ არის, თუმცა ფაქტების შეჯერება საკმაოდ საინტერესო, ხშირად კი მოულოდნელ სურათს გვაძლევს. ვერაფერს ვიზამთ, სააკაშვილმა თვითონ ჩაუყარა საფუძველი „შედარებების“ ამ პრაქტიკას და იმედია, არ ეწყინება, თუ ამ სახალისო საქმეს ხელს სხვებიც მოჰკიდებენ.**

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაფრაზებულნი



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

ხშირად ფიქრობენ ადამიანები, რა არის მნიშვნელოვანი ცხოვრებაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის დაბადება და გარდაცვალებაა. ადამიანი დედამიწაზე ირჩევს თავის გზას და თავისი არჩევანით დგება მარჯვენა ან მარცხენა გზაზე. ეს ყველაფერი იწყება დედამიწაზე. ჩვენ კი ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. დავეხმაროთ ისე, როგორც შეგვიძლია. თუ მატერიალური მდგომარეობა არ გვიწყობს ხელს, მაშინ თბილი სიტყვით და იმედის მიცემით უნდა დავეხმაროთ.

*„პირველი“*



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

მე ჩამოვედი ამ ქვეყანაში, როგორც სტუდენტი იურისტი. მე და ჩემი ცოლი ასტორია კვინსში სარდაფში ვცხოვრობდით და თავიდან საჭმელსაც ძლივს ვყიდულობდით. შემდეგ შესანიშნავ ბინაში გადავედით ცენტრალური პარკის დასავლეთით, ვმუშაობდით წამყვან იურიდიულ ფირმებში, მომავლის შესანიშნავი პერსპექტივით და მაშინ შევიგრძენი ამერიკული ოცნების გემო. არავინ მეკითხებოდა ჩემს წარმომავლობას, ვინ იყვნენ ჩემი ბაბუები და მშობლები.

ამ ქვეყანაში ეს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, მაგრამ ეს ასე არსად არ არის და ეს ასე ნამდვილად არ იყო ჩემს ქვეყანაში.

მენტალური რევოლუციის უდიდესი ნაწილია მერიტოკრატიაზე გადასვლა. ძნელია, მაგრამ როდესაც ამას მივაღწევთ, ის აუცილებლად დაფასდება.

*president.gov.ge*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

იმ ფულის ნახევარი, რომელიც ბოჩელის გადაუხადეს, ვეტერანებისთვის რომ დაეხარჯათ, იქნებ ახალ წელს ისინიც საკუთარ ოჯახებში შეხვედროდნენ მოკრძალებულ სუფრასთან და არა ქუჩაში, სიცივეში, ვეტერანები დიდი გაჭირვების მნახველი, მრავალგანსაცდელგამოვლილი და სერიოზული ხალხია, რომლებიც პროვოკაციას იოლად არ აჰყვებიან და თუ ქუჩაში გამოვიდნენ, ე.ი. მათი მოთმინების ფიალა აივსო!

*„ასავალ-დასავალი“*



**ვალერი გელბახიანი,**
**ყოფილი პარლამენტარი:**

რადგან ამერიკის პრეზიდენტი ესაუბრება სააკაშვილს და აფრთხილებს, ესე იგი, დასკვნები გასაკეთებელია.

*„კვირის ქრონიკა“*



**ზაურ კალანდია,**
**ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი:**

სასწრაფოდ მოსაწვევია რიგგარეშე ყრილობა. ქართულმა მწერლობამ ამით ეს სირცხვილი უნდა ჩამოირეცხოს. ხომ შეიძლება, 500 კაცში რამდენიმე ზნეობრივი ადამიანი მოიძებნოს? კარგი, კაცს ლექსი რომ არ გივარგა, შეიძლება ეს ასატანიც იყოს, მაგრამ, სამაგიეროდ, ან კაცობა უნდა გივარგოდეს, ან — ზნეობა.

*„კვირის ქრონიკა“*

# მიშას + ამერიკული იარაღი = ახალ ომს






თოფი ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია ჰალსტუხის ჭამა...

**გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილი შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა და პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდა. ოფიციალური ინფორმაცია გამართული მოლაპარაკებების თაობაზე ძალზე მწირია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ „ლიდერებმა ეკონომიკურ და სავაჭრო, ასევე, უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის დეტალებზე ისაუბრეს და ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობის პროცესი განიხილეს“. სააკაშვილის ადმინისტრაციის რელიზში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ „ამერიკის პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოს საქართველოს პირველი პირის მიერ დაყენებულ კონკრეტულ საკითხებზე თანამშრომლობის გაგრძელება და შედეგების მოხსენება დაავალა“. საინტერესოა, რა შეიძლება იდგეს ამ ზოგადი ფრაზების მიღმა?**

### გამარჯობა, იარაღო!

პირველი, რაც ჰემინგუეის რომანის სათაურის გადაკეთებისა და ინფორმაციის მწვავე უკმარისობის ფაქტის კონსტატაციის შემდეგ უნდა გაკეთდეს, ალბათ, ქართული და ამერიკული მხარის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის შეჯერებაა. **თეთრი სახლის რელიზი აზუსტებს, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საუბარი შეეხო „გამოწვევებს კავკასიაში“, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი სააკაშვილის მიერ დაყენებულ „კონკრეტულ საკითხებზე“ და იმ დავალებაზე, რომელიც ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ობამამ თითქოსდა უშიშროების საბჭოს მისცა.**

**მოსკოვში თვლიან, რომ სააკაშვილმა ობამას იარაღის მოწოდება სთხოვა. შეხვედრამდე რამდენიმე ხნით ადრე რუსულ მედიაში გავრცელდა ცნობები, რომ აშშ მესამე ქვეყნის მეშვეობით მზად არის, საქართველოს დიდძალი შეიარაღება მიაწოდოს (კერძოდ, „Patriot-3“ და „Stinger“) საჰაერო თავდაცვისთვის, აგრეთვე, („Javelin“ და „Hellfire II“) ტანკებთან ბრძოლისთვის.**

ინფორმაცია „Patriot-3“-ის („MIM-104F PAC-3“) და „Hellfire II“-ის შესახებ ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს, მათი სიძვირისა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სირთულეების გამო; საქართველო ასეთ ხარჯებს, მარტივად რომ ვთქვათ, ვერ გაწვდება, რაც შეეხება „Stinger“-სა და „Javelin“-ს მათი მოწოდების (თეორიული) შესაძლებლობა უფრო რეალისტურად გამოიყურება. აღსანიშნავია, რომ პენტაგონმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

უშუალოდ ობამა-სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ კი რუსულმა „Коммерсант“-მა აშშ-ის ადმინისტრაციასთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით გვამცნო, რომ **სააკაშვილმა თეთრ სახლს ვრცელი მოხსენება გადასცა, სადაც დასაბუთებულია თბილისისთვის საჰაერო თავდაცვისა და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების გადაცემის აუცილებლობა.** „საუბარი, რა თქმა უნდა, არ ეხება ათეულობით მილიონი დოლარის კონტრაქტს, როგორც ამის შესახებ რუსული საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებოდნენ, — დააზუსტა „Коммерсант“-ის რესპოდენტმა, — თბილისის მოთხოვნა გაცილებით მოკრძალებულია“. ამავე წყაროს ცნობით, **„მას შემდეგაც კი, რაც სააკაშვილის თვითმფრინავი ვაშინგტონში დაეშვა, ადმინისტრაციაში დავობდნენ, ვინ უნდა შეხვდეს მას უმაღლესი თანამდებობის პირებიდან. აშშ-ის საელჩო მოსკოვში ურჩევდა ადმინისტრაციას, არ გაემართა შეხვედრა უმაღლეს დონეზე და სახელმწიფო მდივნის ერთ-ერთ მოადგილესთან შეხვედრით შემოფარგლულიყო. საელჩოს აზრით, სააკაშვილის მიწვევა თეთრ სახლში „მოსკოვის არაპროგნოზირებად რეაქციას“ გამოიწვევდა“.**

შესაძლებელია თუ არა, რომ სააკაშვილმა მართლაც მოითხოვა ობამასგან იარაღი და შესაბამისი „ვრცელი მოხსენება“ გადასცა? — სავსებით, რადგან იმ კამპანიას, რომელიც საქართველოსთვის შეიარაღების მოწოდებაზე „ფაქტობრივი ემბარგოს“ მოხსნისკენ იყო მიმართული, რაღაც ლოგიკური დაგვირგვინება, ადრე თუ გვიან, უნდა ჰქონოდა. „როგორც მინიმუმ, ჩვენ უნდა მოვამარაგოთ საქართველო ადრეული შეტყობინების რადარებით და მისი თავდაცვისუნარიანობა აუცილებელი საბაზისო საშუალებებით განვამტკიცოთ“, — ეს სენატორ ჯონ მაკეინის სიტყვებია („Washington Post“), თუმცა ამერიკულ პრესაში სხვა პოლიტიკოსების განცხადებებიც და პუბლიკაციები იყო, რომლებიც განსაკუთრებით ინტენსიური ბოლო დროს გახდა. სააკაშვილის „ვრცელი მოხსენება“, ფორმალური ოფიციალური მოთხოვნა ამ კონტექსტში ერთგვარი „ბოლო აკორდია“. ამასთანვე, ამ კამპანიის პარალელურად, სხვა არანაკლებ ინტენსიური კამპანია მიმდინარეობდა, გამოქვეყნდა მთელი რიგი წერილები, რომელთა ტონალობასა და შინაარსზე წარმოდგენა შეიძლება შემდეგმა ციტატებმა შეგვიქმნას: **„ქართველებმა თავი დამარცხე-**

## მოკლედ

### უკრაინამ ლიტერატურა დაგვიბრუნა

**უკრაინაში საქართველოს ელჩის — გრიგოლ ქათამაძის განცხადებით, უკრაინამ ქართულ მხარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოპარული ლიტერატურა დაუბრუნა.** საქართველოს საელჩოში წიგნების გადაცემის ცერემონიას უკრაინის შინაგან საქმეთა და კულტურის სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. 56 ეგზემპლარი ნაბეჭდი წიგნი XVIII-XIX საუკუნეებით არის დათარიღებული. წიგნები უკრაინაში უკანონო გზით შექონდათ და 2008 წლის მარტში ბორისპოლის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს. უკრაინული კანონმდებლობით, წიგნები უკრაინის ეროვნული ბიბლიოთეკის მფლობელობაში გადავიდა და, სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, ქართულ მხარეს უბრუნდება.

### ცხინვალი 300 მილიონ რუბლს მოითხოვს

**ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება აღდგენითი სამუშაოების დასასრულებლად კიდევ 300 მილიონ რუბლს მოითხოვს. ამის შესახებ სამუშაოების მწარმოებელი საწარმოს ხელმძღვანელმა სარმატ კოტაევმა დე ფაქტო პრემიერთან გამართულ თათბირზე განაცხადა.** მისი თქმით, ამ ეტაპისთვის დეფიციტი სწორედ 300 მილიონ რუბლს შეადგენს. თუმცა, როგორც კოტაევი აცხდებს, 2008 წლის აგვისტოში დანგრეული შენობების ნაცვლად აშენებული ახალი 107 ობიექტის დასრულება — 20 იანვარამდე, ყველა ობიექტის ჩაბარება კი მაისამდე იგეგმება. პრემიერ ვადიმ ბროვცევის განცხადებით, რომ აღნიშნული 300 მილიონი რუბლი წლევანდელ ბიუჯეტშია გათვალისწინებული, მიუხედავად 2008-2009 წლებში გამოყოფილი 10 მილიარდი რუბლისა, აღდგენითი სამუშაოების ნელი ტემპი ცხინვალში რამდენიმე საპროტესტო გამოსვლის მიზეზი გახდა.

### ლუკაშენკოს პოლონეთში შესვლა აუკრძალეს

**პოლონეთმა ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოსა და ქვეყნის მთელ რიგ მაღალჩინოსნებს თავის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა.** ბელარუსის ხელისუფლების წარმომადგენელთა სია, რომლებსაც პოლონეთის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალათ, არის ვარშავის პასუხი 19 დეკემბერს მინსკში ოპოზიციის აქციის დარბევაზე. პრეზიდენტ ლუკაშენკოს გარდა, სიაში მოხვდნენ ბელარუსი მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ოპოზიციის დევნაზე. ბელარუსში 19 დეკემბერის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ოპოზიციამ გამართა არასანქცირებული მიტინგი, რომელიც მილიციამ დაარბია და, პრეზიდენტობის ექსკანდიდატების ჩათვლით, 600-ზე მეტი ადამიანი დააკავა.

### ტუნისში ახალი მთავრობა დაამტკიცეს

**ტუნისის პრემიერ-მინისტრმა მოჰამედ განუშიმ ხელისუფლების ახალი შემადგენლობა გამოაცხადა. მთავრობის შეცვლა იმ მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგია, რომელთაც სახელმწიფოს მეთაურის ჩამოგდება მოჰყვა.** გადატრიალების შემდეგ პოსტები შეინარჩუნეს თავდაცვის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა. კაბინეტში შეიყვანეს ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელი. ინფორმაციის სამინისტრო საერთოდ გაუქმდა. ტუნისის ახალი ხელისუფლების მთავარი ამოცანა არჩევნებისთვის მზადება იქნება. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ყველა პოლიტმატიმარი გათავისუფლდება და პირობა დადო, რომ სიტყვისა და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **ბულად და მიტოვებულად იგრძნეს, რადგან ზედმეტად დიდ იმედებს ამყარებდნენ ამერიკელებთან მეგობრობაზე და, როგორც ჩანს, სულელურად სჯეროდათ იმის, რომ უკვე ნატოს წევრის პრივილეგიებით სარგებლობდნენ", „საქართველომ ზურგი შეაქცია თავის შორეულ და არასანდო დასავლელ პარტნიორებს და სანაცვლოდ აქცენტი რეგიონულ ურთიერთობებსა და გავლენაზე გადაიტანა"** („Foreign Affairs").

საბოლოოდ, ესაა ერთი ჩვეულებრივი ,,ვილკა": **თუ ობამა სააკაშვილს შეიარაღებას არ მიაწვდის, მას მოკავშირის მიტოვებისთვის გააკრიტიკებენ და სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ვაშინგტონისთვის „ზურგის შექცევას" (მეტწილად მოჩვენებითს) გამამართლებელი გარემოებები მოეძებნება, ხოლო, თუ მიაწვდის, მოსკოვთან ურთიერთობებს გააფუჭებს და „გადატვირთვას" საფრთხეს შეუქმნის. მოსკოვმა კი მიანიშნა, რომ ეს საკითხი მისთვის მნიშვნელოვანია, პირველ „გაჟონვას" რუსულ მედიაში (ობამა-სააკაშვილის შეხვედრამდე), სავარაუდოდ, სწორედ ეს დატვირთვა ჰქონდა.**

აქ, ალბათ, უნდა გავმიჯნოთ პრობლემის სამხედრო და პოლიტიკური შემადგენელი: თუ მოსკოვი ომის დაწყებას გადაწყვეტს, რამდენიმე ათეული (ან თუნდაც ასეული) „Stinger-ი და „Javelin"-ი მას ამ განზრახვაზე ხელს, სავარაუდოდ, არ აალებინებს; უბრალოდ, 2008 წელთან შედარებით, ის ოპერაციებში უფრო მსხვილ ძალებს ჩართავს და შედარებით ხისტად იმოქმედებს. მაგრამ მას ძლიერ გაუჭირდება, რუსულ საზოგადოებას აუხსნას, რომ „გადატვირთვა" და თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი (მესამე ქვეყნის მეშვეობითაც კი) სააკაშვილს შეიარაღებას გადასცემს.

ობამას ადმინისტრაციის (გონივრული) დამოკიდებულება პრობლემისადმი ფრიად მოხდენილად ამერიკული პროგრესის ცენტრის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის დირექტორმა სამუელ ჩარაპმა ჩამოაყალიბა: **„საუკეთესო იარაღი, რომელიც საქართველოს იცავს, თვად „გადატვირთვაა" („Foreign Policy"), მაგრამ სააკაშვილი, სენატორები: მაკეინი, ლიბერმანი და მათი თანამოაზრეები უფრო მარტივ, ხილულ იარაღზე საუბრობენ. საინტერესოა, რატომ?**

## ანტონ ჩეხოვის დამბაჩა

**„თუ პიესის პირველ აქტში კედელზე კიდია თოფი, ბოლო აქტში ის აუცილებლად გაისვრის",** — ანტონ ჩეხოვის ამ ციტატას ძალიან ხშირად ვიშველიებთ. საინტერესოა, რომ სინამდვილეში ჩეხოვმა დრამატურგ ილია გურლანდთან საუბარში ცოტა სხვა, შესაძლოა, უფრო საინტერესო ფორმულირება გამოიყენა: **„თუ პირველ აქტში თქვენ კედელზე ჩამოკიდეთ პისტოლეტი (თოფი, პისტოლეტი, „Hellfire"-ი... რა მნიშვნელობა აქვს. — ავტ.), ბოლო აქტში მან უნდა გაისროლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ჩამოკიდოთ ის". ბარაკ ობამას კავკასიურ კედელზე იარაღის ჩამოკიდება შესთავაზეს და ბუნებრივად იბადება კითხვა: რა უნდა მოხდეს ბოლო აქტში ასეთი?**

საქართველოს უახლეს ისტორიაში უკვე იყო მომენტი,



როდესაც სამხედრო შესაძლებლობების ზრდის პარალელურად სააკაშვილის ხელისუფლებაში ადეკვატურობის სწრაფი კლება დაიწყო. ერთი ციტატა WikiLeaks-ის „ქართული დოსიედან", რომელიც ამ თვალსაზრისით ძალზე სახასიათო ჩანს. **„კავკასიაში აშშ-ის წარმომადგენელი მეთიუ ბრაიზა მერაბიშვილს 2008 წლის 12 მაისს საქართველოს დედაქალაქ თბილისში შეხვდა. „ბრაიზამ გააფრთხილა მერაბიშვილი, რომ ომი საქართველოსთვის ცუდი გადაწყვეტილებაა, — ნათქვამია ერთ-ერთ ამერიკულ წერილში, — ომი ქვეყანას მოუსპობს როგორც ნატოში გაწევრების ნებისმიერ შანსს, აგრეთვე, ვაშინგტონისა და ევროპის დედაქალაქების მხარდაჭერის ფასად დაუჯდება". „სწორედ ამ (ფეთქებადსაშიშ. — რედ.) სიტუაციაში შეხვდა აშშ-ის წარმომადგენელი კავკასიაში, ბრაიზა 2008 წლის მაისში შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს და მას აფხაზეთის მთავრობასთან მოლაპარაკებებში შუამავლის როლი შესთავაზა". „მაგრამ მერაბიშვილს აშშ-ის დიპლომატის წინადადებები არ მოეწონა. მან განაცხადა, რომ მომდევნო მოლაპარაკებებში საქართველო სამუდამოდ დაკარგავს აფხაზეთს. შეხვედრის ამერიკული ოქმის თანახმად, მერაბიშვილი ომზე არ საუბრობს, თუმცა დოკუმენტის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ქართველები სამხედრო კონფლიქტის დაწყების ზღვარზე დგანან" („SPIEGEL").**

საკმაოდ ელეგანტურია: ჩამოკიდო კედელზე თოფი, შემდეგ გამოიყვანო სცენაზე ადამიანები, რომლებიც მას აუცილებლად ხელს სტაცებენ, თავად კი „პატარა გედების ცეკვა", უკაცრავად, „მშვიდობის მტრედის" როლი შეასრულო. თუმცა სჯობს, ისევ აქტუალურ პრობლემებს დავუბრუნდეთ, ზრდის თუ არა აშშ-ის მხრიდან სააკაშვილის ხელისუფლებისთვის შეიარაღების გადაცემა ახალი ომის დაწყების საფრთხეს? რასაკვირველია, ამ ნაბიჯს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ხმაურიანი „გარჩევა" მოჰყვება და, შესაძლოა, კრემლი რომელიმე სხვა რეგიონში საპასუხო ზომებს მიმართავს, მაგრამ ყოველივე ეს „პირველი აქტია", ჩვენ კი გვაინტერესებს — გაისვრის თუ არა თოფი?

**რუსეთ-საქართველოს ახალი ომი „გადატვირთვის" ტორპედირების შესანიშნავი საშუალებაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქართული მხარე მასში ამერიკულ იარაღს გამოიყენებს. სტრატეგიულ ალიანსს რუსეთთან, რომელიც ჩინეთის აღზევების პირობებში ანგლო-ამერიკელებისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, საფრთხე დაემუქრება, ხოლო, თუ ამასთან ერთად სხვა დარტყმები განხორციელდება, ის შეიძლება ჩაიშალოს კიდეც.**

დიდი ბრიტანეთი (შემდგომ აშშ) და რუსეთი ერთმანეთს მუდამ მტრობდნენ. მაგრამ, როგორც კი ასპარეზზე მესამე ძალა გამოვიდოდა, რომელიც პირველობისკენ ისწრაფვოდა, იქნებოდა ეს ნაპოლეონის საფრანგეთი, კაიზერის თუ ჰიტლერის გერმანია (მეორე შემთხვევაში, იაპონიასთან ერთად), ეს, ერთის შეხედვით, დაუძინებელი მტრები ერთიანდებოდნენ და ამ „მესამე ძალის" წინააღმდეგ გვერდიგვერდ იბრძოდნენ. შემდეგ კი ისევ „ცივი ომის" მდგომარეობას უბრუნდებოდნენ, რომელსაც, საბოლოო ჯამში, მათი გეოპოლიტიკური მდებარეობა და როლი განაპირობებდა.

## სიფხიზლეს თავი არ სტკივა

**გასულ კვირას „British Petroleum"-მა და „პრყნეფიტ"-მა აქციების პაკეტები გაცვალეს და რუსეთის არქტიკულ შელფზე ენერგომატარებლების ერთობლივ მოპოვებაზე შეთანხმდნენ.** რა თქმა უნდა, ეს არ არის 1907 წლის კონვენცია, რომელმაც რუსეთსა და ბრიტანეთს შორის „დიდი თამაში" შეაჩერა და საფუძველი ჩაუყარა მათ მოკავშირეობას „ანტანტაში", მითუმეტეს, არც 1941 წლის 12 ივლისის შეთანხმებაა „გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ", მაგრამ, პრაქტიკულად, ყველა კომენტატორმა აღნიშნა, რომ ეს სტრატეგიული ხასიათის შეთანხმებაა, რომელიც ჩვენ შეიძლება შევაფასოთ, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი „დიდი ალიანსისაკენ", ყოველ შემთხვევაში, — როგორც ძალზე სერიოზული სიგნალი, რომ რუსეთისა და ატლანტიკური ძალების (აშშ, ბრიტანეთი) ურთიერთობაში რაღაც პრინციპულად შეიცვალა.

ამ შეთანხმებას, დასავლეთში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, ისინი BP-ის („British Petroleum"-ს) უკვე „Большой Petroleum"-ს უწოდებენ და დაახლოებით ისეთივე არგუმენტები აქვთ, როგორც „გადატვირთვის" პოლიტიკის ამერიკელ მოწინააღმდეგეებს. რა მოტივებით ხელმძღვანელობენ ეს ადამიანები?

**ჩვენ, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ჯონ მაკეინი და სხვა პოლიტიკოსები, რომელთა მიზანს აშშ-რუსეთის დაახლოების ჩაშლა წარმოადგენს, ჩინეთის ინტერესებს ემსახურებიან და პეკინის პოლიტბიუროს ანგარიშებს აბარებენ. მაგრამ ჩინეთი არა მხოლოდ პოლიტბიუროა და, შესაძლოა, არა იმდენად პოლიტბიურო, ეს ამასთანავე ის უმძლავრესი ტრანსნაციონალური საფინანსო ჯგუფებია, რომლებმაც საოპერაციო ბაზა ჩინეთში გადაიტანეს და, მარტივად რომ ვთქვათ, შემდეგი ლოზუნგის: „XXI საუკუნე — ჩინეთის საუკუნე" ხორცშესხმას ცდილობენ; შტატებისთვის ეს კარგს არაფერს მოასწავებს.**

რა დატვირთვას ანიჭებს ამერიკულ შეიარაღებას სააკაშვილის ხელისუფლება? იგივე „Javelin"-ებთან მიმართებაში შეგვიძლია მოვიშველიოთ თავდაცვის მინისტრის მოადგილის — ნოდარ ხარშილაძის „Janes"-ისათვის მიცემული ინტერვიუ: **„თავდაცვითი ბრძოლისთვის, რათა დრო მოვიგოთ ცეცხლის შეწყვეტის ახალ შეთანხმებამდე, ჩვენ ქვედანაყოფებს საუკეთესო გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება დასჭირდებათ".** გარკვეული ლოგიკა ამ სიტყვებში ნამდვილად არის, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ახალი ომის დაწყების შემთხვევაში, რუსეთი არანაირ **„ცეცხლის შეწყვეტის ახალ შეთანხმებაზე",** სავარაუდოდ, არ წავა მანამ, სანამ მისი შეიარაღებული ძალები ყველა დასახულ ამოცანას არ მიაღწევენ. როგორც რუსეთის ისტორია, ისე მისი დღევანდელი ურთიერთობები დასავლეთის ქვეყნებთან მიანიშნებენ იმაზე, რომ, ახალი ომის შემთხვევაში, ის არ გაჩერდება და ვერც დასავლელი დიპლომატების (მოკრძალებული) ძალისხმევა გააჩერებს.

თანამედროვე თავდაცვითი შეიარაღების ფლობა, რა თქმა უნდა, კარგია. ის ნორმალურ პირობებში ქვეყნის უსაფრთხოების ხარისხს ზრდის. **მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს საშიშროება, რომ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ამერიკული შეიარაღების გადაცემას ლობირებენ, შორსმიმავალი, გლობალური მასშტაბის პროვოკაციული მიზნები ამოძრავებთ; თუ ისინი „კედელზე თოფის ჩამოკიდებას" მოახერხებენ, გასროლის ალბათობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, ვინ დგას ჩვენი პოლიტიკური თეატრის (კაცმა რომ თქვას, ცირკის) ავანსცენაზე.**

**დიმიტრი მონიავა**

## გაზეთიდან გაზეთში



**ჭაბუა ამირეჯიბი,**
**მწერალი:**

ქართული საზოგადოებრივი აზრი პარტიების არქიპელაგად გადაიქცა, საქართველო აღარ არის ერთიანი ქვეყანა, იგი ნაწილაკების მიწა-წყალია, ნაწილაკებისა, რომელთა ერთი ნაწილიც უცხოური მითითებებით იკვებება, ჩვენ ვართ ერი, სადაც პრეზიდენტის სავარძლის მოცილე ბარე ოცი სუბიექტია და, მოგეხსენებათ, ყოველ მათგანს თავი ჭკუა-გონებით ქრისტეს ტოლი კაცი ჰგონია და ღირსებით — დავით აღმაშენებელი. ასეთ პირობებში ნამდვილი მამულიშვილის ადგილ-სამყოფელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი პატრიარქის მომხრეობა-ქვეშევრდომობაა.

*„ასავალ-დასავალი"*



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერი:**

ერთი ამიხსენით, რა ლოგიკით შეიძლება, შენს მოსისხლე მტერს ელაპარაკო საადგილმამულო ბანკის დაფუძნებაზე და შენს ბავშვობის ოცნებებზე, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ფულად ინტერესთან, მაშინ, როდესაც ასიათასობით ადამიანი გაყინული გელოდება ქუჩაში? რა არის გასარკვევი? რის გარკვევას ელოდება ან ეკა ბესელია, ან „ეროვნული ფორუმი"? დამოუკიდებელ გამოძიებასა და დამოუკიდებელ სასამართლოს ელოდებიან, რომელიც ოდესმე, ალბათ, უნდა ჩატარდეს? დამოუკიდებელი გამოძიება და სასამართლო ვერ შედგება, სანამ სააკაშვილის ხელისუფლება იქნება ქვეყნის სათავეში!

*„ასავალ-დასავალი"*



**ცოტნე გამსახურდია,**
**პატიმარი:**

პარლამენტში ჩატარებული პრესკონფერენციის შემდეგ კ. გამსახურდიამ უბრალოდ ივაჭრა ხელისუფლებასთან, ისპეკულანტა ჩვენი გასაჭირით და დუმილის სანაცვლოდ ხელისუფლებას წლების განმავლობაში ნანატრ დაფინანსებას გამორჩა, რომელიც მისმა სამკაციანმა პარტიამ იმ პერიოდში მიიღო და მალევე თვითლიკვიდაციაც გამოაცხადა. ალბათ, ზედმეტია თქმა, რომ ქალაჩუნა კიკუს მას შემდეგ აღარც საკუთარ ძმაზე ამოუღია ხმა და აღარც პატიმრების წამებაზე. სხვათაშორის, მეორე, უმცროს ძმას, გიორგის, საერთოდ არ გავხსენებივარ. მაგრამ რა უნდა გამიკვირდეს „ძმისგან", რომელიც ჯერ კიდევ 2007 წელს შეფარულ დაკითხვებსა და პროვოკაციებს მიწყობდა კონტრდაზვერვის დავალებით.

*„კვირის პალიტრა"*



**კახა კუკავა,**
**მოძრაობა „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი:**

ეს ხელისუფლება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დამთავრდება და ნუ ჩაჰყვებით პოლიტიკურ სამარეში სააკაშვილსა და მერაბიშვილს! სააკაშვილი და მერაბიშვილი თავიანთი სტატუსისა და მილიონების წყალობით შეიძლება სადმე გაიქცნენ, მაგრამ სად წავლენ ეს „ზონდერები", რომლებიც ამ რეჟიმის უკანონო ბრძანებებს ასრულებენ?

*„ასავალ-დასავალი"*



**ლეილა გაფრინდაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის წევრი:**

ერთ-ერთი გეგმის მიხედვით, აპირებენ სინოდში რამდენიმე წევრის მოსყიდვას, რომლებიც ამ იდეას მხარს დაუჭერენ და ამით გახლეჩენ ჯერ სინოდს, საპატრიარქოს, შემდეგ კი სასულიერო პირთა ერთობასა და მრევლს.

*„კვირის ქრონიკა"*



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი:**

გრიგოლ ვაშაძე გამოირჩევა უჭკუო განცხადებებით! როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი ერთ დღეს რუსეთთან უპირობო დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობს, მეორე დღეს კი რუსეთს ფაშიზმში ადანაშაულებს, კარგად ჩანს, რა დონის დიპლომატთან გვაქვს საქმე! გრიგოლ ვაშაძეს საქართველოს ბედი ცალ ფეხზე ჰკიდია, მისთვის მთავარია, ღვინის ბიზნესი არ ჩაუვარდეს.

*„ასავალ-დასავალი"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟღერებული



**ოტია იოსელიანი, მწერალი:**

მესმის, რომ ბევრი უნიჭოა და მიიწევს თბილი ადგილისკენ, მაგრამ ამდენი თუ იყო უნიჭო და უნამუსო, რას წარმოიდგენდა კაცი?! განადგურდა ჩვენი კულტურა, ესენი კი გრიალ-გრიალით ატარებენ ცხოვრებას.

სოფლის მეურნეობის მინისტრი რომ ხარს ვერ გაარჩევს ძროხისგან და ეს მამალი ძროხააო, იტყვის, იმ ქვეყანაში რა გინდა ისურვო საახალწლოდ? ჟურნალისტი რომ გამოვა და გეტყვის, „ცხოვრება მშვენიერიაო“, სადაა მშვენიერი? ჩვენთან?

*„კვირის პალიტრა“*



**სოსო ციკარიშვილი, პოლიტოლოგი:**

სასაცილო მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი, როცა მთავრობის სხდომა ჩაქაფულის ჩამოტარების რეჟიმში ტარდება. იმდენი ვიარეთ, რომ ბოლოს გამოქვაბულში აღმოვჩნდით. ამის გამო მთავრობის არც ერთ წევრს არ უჩნდება რაიმე ტიპის პროტესტის გრძნობა. 2011 წელს რომ გაჩნდეს იდეა ნუდისტების პლაჟზე მთავრობის სხდომის ჩატარების შესახებ, საინტერესოა, მთავრობის წევრთაგან ვინმე უარს იტყვის თუ არა ამ სხდომაში მონაწილეობაზე.

*„ინტერპრესნიუსი“*



**გიორგი თავდგირიძე, სამხედრო ექსპერტი:**

ჩვენ უზარმაზარ თანხებს ვხარჯავთ შეიარაღებაზე, მაგრამ არათუ ვაშენებთ, პირიქით, ვანგრევთ შეიარაღებულ ძალებს და ქარს ვატანთ ფულს, რომელსაც მოსახლეობა საკუთარი ჯიბიდან უსაფრთხოებისა და ქვეყნის თავდაცვისთვის იხდის.

*„ასავალ-დასავალი“*



**თემურ ჩალაბაშვილი, პოეტი:**

მერწმუნეთ, მიშას მთავრობა ხუხულასავით დაინგრევა, ოღონდ ამ ოპოზიციამ დაანებოს თავი შავნაბადაზე წანწალს და დააცალოს ხალხს სამართლის აღსრულება!..

*„ასავალ-დასავალი“*



**ნანა კაკაბაძე, „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარე:**

ის, რაც იპოდრომზე მოხდა, აუხსნელია. იმისი ახსნა შეცდომით, იმისი ახსნა გაუგებრობით, იმისი ახსნა რაიმე სხვა მიზეზით არის წარმოუდგენელი. პოლიტიკოსი იმიტომ ხარ პოლიტიკოსი, რომ ასეთი შეცდომები არ უნდა დაუშვა და, თუ დაუშვებ ასეთ შეცდომას, ეს ის არის, რის გამოც შენ სახლში უნდა წახვიდე. ეს არის უკვე დანაშაული, გინდა ნებით ჩადენილი და გინდა უნებლიეთ. როდესაც ასი ათასობით ადამიანი დგას იქ და მოითხოვს თავისივე ხმის დაცვას, მოითხოვს თავისი უფლებების დაცვას და ამ დროს შენ ეუბნები, რომ წადი სახლში, ეს უკვე აღარ არის შეცდომა.

*„ახალი თაობა“*



**ნუკრი ქანთარია, რეჟისორი:**

ხალხი ფიქრობს, რად მინდა, ერთი ნაგავი მეორით შევცვალო და კიდევ ამაზე ვიბრძოლოო. ამიტომ ვამბობ, ვისაც რა შეუძლია, ის უნდა აკეთოს. ეს ოპოზიცია მეტ-ნაკლებად დაიწმინდება. საზოგადოება დაწმენდს ამ პოლიტიკურ ჯგუფებს.

*„ახალი თაობა“*



**ლელიკო ჯაფარიძე, მომღერალი:**

რომ არა იპოდრომის ღალატი, სააკაშვილი აგვისტოს ომით არ დააქცევდა საქართველოს! არ ვიცი, ვინ რამდენი ფული აიღო სააკაშვილისგან, მაგრამ „გრეჩხისათვის“ დღემდე ვერ მიპატიებია იპოდრომის აქციის დაშლა! ეს რომ ერთადერთი შემთხვევა ყოფილიყო, კიდევ იფიქრებდა კაცი, შეეშალათო, მაგრამ 2009 წლის 26 მაისს „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი ხალხიც ხომ გააცუცურაკეს, როდესაც სამების ეკლესიისკენ წაიყვანეს და მერე გაჰყვიროდნენ, პატრიარქი „პლენშიაო“! ამას ჰქვია ღალატი!

*„ასავალ-დასავალი“*

# შეწყალებას არ ექვემდებარება

**რუბრიკაში „შეწყალებას არ ექვემდებარება“ საზოგადოებისთვის საინტერესო პირები დაასახელებენ იმ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც, მართალია, დღეს ქვეყანას მართავენ, მაგრამ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოუწევთ სამსჯავროზე წარდგომა, რადგან ერის წინაშე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია. ვის არ შეიწყალება „ნაციონალების“ მესვეურთა და დამქაშთაგან? — რუბრიკის ერთადერთი შეკითხვაა, რომელსაც ამჯერად პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე პასუხობს:**



## გულბაათ რცხილაძე:
# ამერიკის საელჩო ჯაშუშების ბუდეა

— უპირველესად, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ამ სავალალო მდგომარეობაზე, რაც დღეს საქართველოშია, **მიხეილ სააკაშვილს** ეკისრება. **დღევანდელი მძიმე ვითარება მომავალ თაობებსა და საუკუნეებს უნდა დარჩეთ მაგალითად, რომ არ შეიძლება საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ძარცვა, დამცირება, აბუჩად აგდება.** ამ ყველაფერთან ერთად, პრეზიდენტი მაღალი ტრიბუნიდან დამცინავად აცხადებს, რომ დღეს თურმე საქართველოში სიღარიბე 60 პროცენტითაა შემცირებული. ეს ხომ სიცრუეა. პირიქით — არ არსებობს ქვეყანაში სამუშაო ადგილები, ფასები გაიზარდა ხელოვნურად, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ წვრილ მოვაჭრეებსაც კი. ყოველივე ამის ფონზე, პრეზიდენტის განცხადება არარეალური და ყურით მოთრეულია. არ შეიძლება ასეთი თავხედური ტყუილით ბერავდე საკუთარ ხალხს.

ცხადია, სააკაშვილი ვერ გახდებოდა პრეზიდენტი, რომ არ ყოფილიყო ის ორგანიზაციები, რომელთა არსებობაც დღეს ძალზედ სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის. ამათი დანდობა-არ დანდობა მეორეხარისხოვანი საკითხია. მთავარია, მომავალში არ შევცდეთ, იგივე რომ არ განმეორდეს. **სააკაშვილი და მთელი ეს უბედურება, მართალია, ჩვენი ხალხის სიბრიყვითაა აყვავებული, მაგრამ ფესვები უცხოეთიდან მოდის, კერძოდ — ამერიკიდან.** ის ამერიკული ორგანიზაციები, როგორებიცაა, მაგალითად, **საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI),** იმიტომ შეიქმნა, რომ ქართველებისნაირ გამოუცდელ ხალხში ქვეყნის მმართველად გამოიყვანონ ისეთი ლიდერები, როგორიც ჩვენს შემთხვევაში სააკაშვილია.

ეს ორგანიზაციები აუცილებლად უნდა აილაგმოს. ასევე, საჭიროა, შეიკვეცოს ამერიკის განვითარების სააგენტოს — USAID-ის მოღვაწეობა. **ამერიკის საელჩო ჯაშუშების ბუდეა, ამიტომ უნდა გაკონტროლდეს ამ ორგანიზაციის საქმიანობა, რადგან იგი საჯაშუშო ცენტრია კავკასიის რეგიონში. ამ „საელჩოს“ 200-მდე თანამშრომლის უმეტესობა არა დიპლომატები, არამედ ჯაშუშური ქსელის აქტიური წარმომადგენლები არიან. მათ ევალებათ პირდაპირი კონტაქტების დამყარება კონკრეტულ პირებთან ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში** (მათ შორის, ე. წ. ოპოზიციასთან). შედეგიც სახეზეა: რუსეთისაზე ილაპარაკე, რამდენიც გინდა, მაგრამ არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არც არასამთავრობო ორგანიზაციები არასოდეს საუბრობენ ამერიკის ჯაშუშების გამოვლენაზე. ამიტომ **ლიმიტი უნდა დაწესდეს ამერიკის საელჩოში მომუშავე „დიპლომატებზე“. ასევე, უნდა გაპანღურდნენ „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიური დივერსანტები; წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ იმავე მოჯადოებულ წრეზე ვივლით.**

ამ ხელისუფლების წასვლის შემდეგ პასუხი აუცილებლად უნდა აგონ იმ ჟურნალისტებმაც, რომლებიც დღეს სახელისუფლო პროპაგანდის აქტიური მხარდაჭერით ანგრევენ და ასამარებენ საქართველოს მომავალს. **„მოდელირებული ქრონიკა“ არ შეიძლება ასე ადვილად მოინელოს ქართველმა ხალხმა. აუცილებელია, ყველა ამ გადაცემაში მონაწილე პირი, ჟურნალისტი მიეცეს პასუხისგებაში.** ეს უნდა იყოს იმის მაგალითი, თუ როგორი არ შეიძლება იყოს ჟურნალისტი. „რუსთავი 2“, „იმედი“, „პირველი არხი“, „რეალ-ტივი“ — ეს ის არხებია, რომელთა თავისუფალმა, შეუზღუდავმა მაუწყებლობამ ქვეყანა გადააგვარა და რეალობას მოსწყვიტა. სწორედ ამ არხების გამოყენებით იკეთებს სააკაშვილი დღეს პიარს და გვაოცებს მისი „ბრძნული“ აზრებით.

**ოთარ დალაქიშვილი**

## მოკლედ

### გორბაჩოვს დასჯას უპირებენ

**სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი 21 წლის წინათ აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად უნდა დაისაჯოს.** აზერბაიჯანელი ისტორიკოსის, პროფესორ ჯამილ გასანლის განცხადებით, „თავდაცვის სამინისტროს უშუალოდ მიეცა ბრძანება, გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა და ბაქოს ოკუპაცია განეხორციელებინა... ეს აზერბაიჯანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იყო და, ვინც ეს ჩაიდინა, მათი პასუხისგებაში მიცემა დაგვიანებული ჯერ კიდევ არ არის“.

### ტუნისიდან ტონა-ნახევარი ოქრო წაიღეს

**სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ტუნისიდან გაქცეულმა ყოფილი პრეზიდენტის — ბენ ალის ოჯახმა საზღვარგარეთ ტონა-ნახევარი ოქრო გაიტანა. სახელმწიფოს ყოფილმა მეთაურმა თავშესაფარი საუდის არაბეთში მიიღო.** თავდაპირველად ტუნისის ცენტრალური ბანკიდან ოქროს ზოდების მიღებას ექს-პრეზიდენტის მეუღლე ლეილა ტრაბელსი ცდილობდა, თუმცა მას ამ განზრახვაზე უარი უთხრეს. გარკვეული დროის შემდეგ ბანკს თავად ბენ ალიმ მიმართა. თავდაპირველად მასაც უარი განუცხადეს, მაგრამ საბოლოოდ ოქრო მაინც ჩაუთვალეს. საბოლოო ჯამში წყვილმა ქვეყნიდან ტონა-ნახევარი ოქრო გაიტანა. ოქროს ღირებულება 45 მილიონი ევროა.

### იანუკოვიჩი „ტრიზუბს“ გადაურჩა

**უკრაინაში, ივანო-ფრანკოვის ოლქში, დააკავეს ნაციონალისტური დაჯგუფების 9 წევრი, რომლებიც ქვეყნის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩსა და სხვა მაღალჩინოსნებზე თავდასხმის მზადებაში არიან ეჭვმიტანილნი.** ეჭვმიტანილთა ბინიდან კარგად ჩანდა პრეზიდენტის თვითმფრინავის კურსი. ბინიდან ამოღებულია სნაიპერული იარაღი. თავად დაკავებულებმა განაცხადეს, რომ ორგანიზაცია „ტრიზუბის“ წევრები არიან. ორგანიზაციიდან ამოღებულია დიდი ოდენობით იარაღი, მათ შორის — ყუმბარები, ავტომატები, კვალის მოსპობის მოწყობილობა. ნაციონალისტების მიერ ქვეყნის პრეზიდენტზე შესაძლო თავდასხის შესახებ ოლქის გუბერნატორმა მ. ვიშივანიუკმა განაცხადა.



# კრიმინალური პოლიციის უფროსის — ერეკლე კოდუას ცოლისძმა ციხიდან მეუღლის ფეხმძიმობის მოტივით გაუშვეს

**იმ ფაქტმა, რომ კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელის — ერეკლე კოდუას ცოლის, ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანის ძმა, მიშა ჟორჟოლიანი პატიმრობიდან, არც მეტი არც ნაკლები, ცოლის ფეხმძიმობის მოტივით გაათავისუფლეს, „ქრონიკული მიშისტებიც“ კი შეაცბუნა. არადა, კოდუას ცოლისძმასთან ერთად დაკავებულ ვლადიმერ დოლიძეს საქალაქო სასამართლომ თავისუფლების 10 წლით აღკვეთა მიუსაჯა. დანარჩენი ექვმიტანილების საქმე ცალკე წარმოებაშია და მათ მიმართ განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ.**



შეგახსენებთ, რომ აპრილის შუა რიცხვებში პოლიციამ ვლადიმერ დოლიძე, მიშა ჟორჟოლიანი და დავით ბენიძე ქუჩური გარჩევის დროს დააკავა. მათთან ერთად აიყვანეს კონსტანტინე ჩაჩავა და ირაკლი ღლონტი. ხუთივეს აღმკვეთ ღონისძიებად ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. ვლადიმერ დოლიძის ადვოკატი მამუკა ნოზაძე განაჩენს უსამართლოს უწოდებს და არგუმენტად „საქმეში დაშვებული იურიდიული ნონსენსები“ მოჰყავს.

**„მოწმედ გამოცხადების შემდეგ მიშა ჟორჟოლიანმა, დავით ბენიძემ და კონსტანტინე ჩაჩავამ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს. დაიკითხა მხოლოდ ირაკლი ღლონტი, რომელმაც მათი დაპატიმრების დროს სამართალდამცველთა მხრიდან დაშვებულ კანონდარღვევებზე ისაუბრა. პირს, რომელსაც სასამართლო მოწმედ იძახებს, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება არ აქვს. ამის გამო ადამიანებს იჭერენ, აღნიშნული პირებისთვის კი რატომღაც მორიგი გამონაკლისი დაუშვეს.**

ის ფაქტი, რომ დოლიძის გარდა, იმავე ბრალდებით (353-ე მუხლის მეორე პუნქტით) დაკავებული 4 პირი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, უსამართლობაა, რადგან სასამართო სამედიცინო დასკვნა მხოლოდ დოლიძეს გააჩნდა, ჟორჟოლიანის გათავისუფლების მოტივად კი მართლმსაჯულების ისტორიაში კიდევ ერთი უპრეცედენტო მოტივი — მეუღლის ფეხმძიმობა დასახელდა,“ — აცხადებს ადვოკატი.

ამის შემდეგ პროკურატურამ სასამართლოს აღნიშნული ოთხი პირის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა მოსთხოვა, მოტივად კი კიდევ ერთი ძალზე უცნაური გარემოება დაასახელა — რომ **„დასაკითხია პატიმრები და საქმე, შესაძლოა, გაჭიანურდეს“.**

რეალურად ყველა მოწმე უკვე დაიკითხა, სასამართლო გამოძიება კი დასრულდა. შესაბამისად, პროკურატურის მხრიდან აღნიშნული მოტივაციის დაფიქსირება აბსოლუტურად ალოგიკურად გამოიყურება და აჩენს ეჭვს, რომ ეს ყველაფერი დოლიძის პატიმრობაში დატოვებას ისახავდა მიზნად, რადგან მოგვიანებით, დოლიძის გარდა, ყველა დაკავებული გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. დოლიძის ადვოკატის მტკიცებით, ეს უკანასკნელი პატიმრობისთვის კიდევ ერთი საქმის გამო გაიწირა, რომელიც რამდენიმე წლის წინანდელ ინციდენტს ეხება, როდესაც ვლადიმერ დოლიძე და მისი მამა — შალვა დოლიძე ბახმაროს ტყეში იარაღის გასროლის გამო ხულიგნობის ბრალდებით გაასამართლეს.

**საქართველოს მართლმსაჯულების ისტორიაში ცოლის ფეხმძიმობის გამო განთავისუფლების შემთხვევა, ალბათ, პირველი და, ღმერთმა ქნას, უკანასკნელი პრეცედენტი იქნეს.**

**ლალი აფციაური:**

— გადმოცემითაც კი არ მსმენია ანალოგიური პრეცედენტის შესახებ. უცნაური ფაქტია მართლმსაჯულებაში ის, რომ ცოლის ფეხმძიმობის გამო გაათავისუფლო პატიმარი. ესაა აბსურდი, სამართლებრივი კუთხით ვამბობ ამას. ჩემთვის გაუგებარია, ხელისუფლების ფავორიტების ახლობლებისა და ოჯახის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაული დანაშაული რომ არაა, სხვათა მიერ ჩადენილი კი ორმაგად და სამმაგად მძიმედ ისჯება. არასოდეს არავის გათავისუფლების წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, პირიქით. მაგრამ, როდესაც ასეთი შეუსაბამობები ხდება, ესაა სწორედ უსამართლობა. ნებისმიერი ადამიანის გათავისუფლება ჰუმანურია, მაგრამ ის, რაც მოხდა, ამორალურია. **უამრავ პატიმარს ვიცნობ, რომელთა ცოლებიც ფეხმძიმედ არიან. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი პატიმრის ცოლი ტყუპებზეა ორსულად და უფლება მაქვს, მოვითხოვო, ამ მიზეზით გაათავისუფლონ? ასეთი სიტუაცია სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. უმძიმესი ავადმყოფი პატიმრები გვყავს, ერთი და ორი დღის სიცოცხლე რომ აქვთ დარჩენილი, და არათუ ათავისუფლებენ, სასჯელის გადავადებაზეც არ საუბრობენ, უარს ეუბნებიან.** ამის ფონზე ადამიანს ცოლის ფეხმძიმობის გამო რომ გაათავისუფლებ, ხელისუფლების მხრიდან არა მარტო ამორალური, არამედ დანაშაულებრივი ქმედებაა.

## ლალი აფციაური:

## ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ერთ-ერთი პატიმრის ცოლი ტყუპებზეა ორსულად და უფლება მაქვს, მოვითხოვო, ამ მიზეზით გაათავისუფლონ?



ცოლ-ქმარი — ნინო და მიშა ჟორჟოლიანები

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ



### ჰამიდ ყარზაი რუსეთს ეწვევა

**ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი 20-21 იანვარს ოფიციალური ვიზიტით რუსეთში გაემგზავრება. იგი რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მიიწვია.** პრეზიდენტების შეხვედრა 21 იანვრისთვისაა დაგეგმილი. როგორც ცნობილია, 2010 წლის ნოემბერში ლისაბონში გამართულ ნატოს სამიტზე პრეზიდენტმა მედვედევმა განაცხადა, რომ მოსკოვი ოფიციალურ ქაბულთან მრავალმხრივ თანამშრომლობას გეგმავს. აღნიშნული მიწვევაც სწორედ მაშინ მიიღო მისმა ავღანელმა კოლეგამ. 2010 წლის 3 ნოემბერს ყარზაიმ და მედვედევმა ავღანური მხარის ინიციატივით ტელეფონით ისაუბრეს და შემდგომი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები განიხილეს. მანამდე, 2010 წლის აგვისტოში, სოჭში შეხვედრისას მხარეებმა უკვე განიხილეს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებები. რუსეთის პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ტერორიზმისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას.

### ამერიკა ბელარუსს ემუქრება

**თუკი მინსკი უახლოეს დღეებში არ გაათავისუფლებს ყველა ოპოზიციონერს, რომლებიც ბელარუსის დედაქალაქში მასობრივი არეულობების დროს დააპატიმრეს, ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყანას ეკონომიკურ სანქციებს დაუწესებს.** აშშ-ის პოზიცია სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ნენსი მაკელდონმა გაახმაურა. მისი თქმით, თუკი მინსკი ოპოზიციონერებს არ გაათავისუფლებს, ამერიკა მათ პოლიტიკურ პატიმრებად აღიარებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბელარუსის წინააღმდეგ კვლავ ამოქმედდება ეკონომიკური სანქციები. ბელარუს ექსპერტებს ოპოზიციონერთა უახლოეს მომავალში გათავისუფლების იმედი არ აქვთ. ბელარუსის პარლამენტის ყოფილი წევრი ოლგა აბრამოვა აცხადებს, რომ მინსკისთვის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მხოლოდ მოსკოვის პოზიციაა.

## გაფრიზებულნი



**ირმა ინაშვილი, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი:**

„წინააღმდეგობის მოძრაობას“ არ აქვს გადაბირების საჭიროება, იმდენი ადამიანი გვაკითხავს ყოველდღე. არ არის ჩვენი სტილი გადაბირება-გადმობირება, ჭორების გავრცელება და ეჭვიანობა. მე მინდა, ყველას მოვუწოდო, როდესაც იქმნება ახალი მოძრაობა, ძალიან გთხოვთ, ნუ მოიქცევით ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი იქცევა — „თუ არა ხარ ჩემიანი, ხარ ჩემი მტერი“. ამ პრინციპით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ, უნდა დავეხმაროთ თანამოაზრეები ერთმანეთს, იმისთვის, რომ ამ რეჟიმს დავუპირისპირდეთ და არ ვიქცეთ ერთმანეთის მტრად.

*„ალია“*



**სოსო ჯაჭვლიანი, მსახიობი, რეჟისორი:**

სვანეთში რომ ავიდნენ, კონცერტი გამართეს და იქეიფეს, აბა, შეეკითხონ აფრასიძეების ოჯახს, ცალანების ოჯახს, ჯაფარიძეების ოჯახს, ნავერიანების ოჯახს, ეზეიმებათ და ეკონცერტებათ?

კონცერტები გაუცოცხლებს მათ ამათ მიერ დახოცილ ქმრებსა და შვილებს? კონცერტები გამოიყვანს ციხიდან ამათ მიერ უსამართლოდ და უდანაშაულოდ დატყვევებულ ქალებს? რასაც სვანეთში აშენებენ, ყველაფერი სააკაშვილის მიერ დახოცილი უდანაშაულო სვანების სისხლზე შენდება!

*„ასავალ-დასავალი“*



**კახა ბექაური, ტელეკომპანია „მაესტროს“ ყოფილი გენერალური დირექტორი:**

კიწმარიშვილმა პირდაპირ მითხრა, ტელეკომპანია „მაესტრო“ უნდა იყოს „რუსთავი 2“-ის მოწინააღმდეგე ტელევიზიაო. მოგეხსენებათ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ არის სახელისუფლო პროპაგანდის გამტარებელი. აქედან გამომდინარე, „მაესტროც“ მხარედ, უფრო სწორად,ეროსის პოლიტიკური ინტერესების გამტარებელ იარაღად იქცეოდა.

*„ყველა სიახლე“*



**რევაზ მიშველაძე, მწერალი:**

მუხრან მაჭავარიანის 80 წლისთავის ერთ-ერთ სუფრაზე თამადა ვიყავი. საქართველოს სადღეგრძელო შევსვი და მუხრანთან ალავერდს გადავედი. ადგა მუხრანი და მითხრა: ჩემო რეზო, არ გეწყინოს და მე ამ სადღეგრძელოს არ დავლევო. შევცბით ყველანი. მე არ ვილებ ამ გადედლებულ, დაცვედნებულ საქართველოს, რომელმაც დღენახევარში დაასრულა სამშობლოსთვის ომი და გამოიქცა ცხინვალიდანო, — აი, ეს იყო დიდი მუხრანის პასუხი.

*„ასავალ-დასავალი“*



**გია კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი:**

ამ ხალხმა ოპოზიცია რომ დაირქვა, ჯერ საზოგადოებაში ნდობა უნდა დაიმსახუროს როგორც ოპოზიციამ, შენ იმით კი ნუ სარგებლობ, რომ კაცი გაჭირვებულია, საჭმლის ფული რომ არ აქვს, საერთო სულიერება რომ არ უვარგა. ამით ნუ სარგებლობ, რომ მოგეტმასნოს... ის გაჭირვებული კაციც აზრზე მოვიდა და დაფიქრდება, — შენ რას მაძლევ, მომავალი საქართველოსთვის თუ რაღაცის გაკეთება გინდა, თუ არაფერს მაძლევ, მაშინ, ძმაო, კი ვცხოვრობ ასე და ჩემი გაჭირვებული ცხოვრებით გავალ, რა... შეჩვეული ჭირი მირჩევნია. ჰოდა, ოპოზიციამ ამას მიაღწია, ყველაზე დიდი უბედურება ეგ არის... ერთ მშვენიერ დღეს თუ შემობრუნდა ეს ხალხი, შეიძლება ოპოზიციას შემოუბრუნდეს პირველ რიგში. იმ ხალხს შემოუბრუნდეს, ვინც უკეთესი მომავლის რწმენა გაუტეხა.

*„ალია“*



**სანდრო ბრეგაძე, ყოფილი პარლამენტარი:**

„ნაციონალებმა“ სააკაშვილის თბილისური მარცხის მიზეზები კარგად გააანალიზეს და მთლიანად საქართველოში მისი მხარდაჭერის გასაძლიერებლად გადაწყვიტა მისი მხარდამჭერი ელიტის გაფართოება და ეს დაევალა რამდენიმე ცნობილ ქალბატონს, ე.წ. ცნობილ სახეს.

*„ალია“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გარგანტუას ბატი და

**ცივილიზებული კაცობრიობა სამართლიანად მიიჩნევს, რომ ისტორია არის ბრძოლა დავიწყებასთან. ისტორიასთან ბრძოლა კი ერის განწირვაა სრული ამნეზიისთვის. საქართველოში მიმდინარე პროცესები, რომელთა ლოკომოტივი ქართული კულტურის ანგლიკანიზაციაა, ასეთი კატასტროფული ვარაუდის რეალობაში გვარწმუნებს. თანდათან, მაგრამ — გარდუვალად და შეუქცევადად.**





## რეზო ამაშუკელი:

# პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, მაგრამ... არა მამამისის ფქვილით

ვიქტორ შკლოვსკი, ცნობილი რუსი მწერალი, რომელიც საქართველოსადმი განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩეოდა, თავის ერთ-ერთ ესეში შენიშნავდა: **„ძველ საბერძნეთამდე მისული პრომეთეს — ქართულად ამირანის — გმირობის ამბავი კავკასიის მთებიდან მოდის. მსოფლიო კულტურის ფუძემდებელი ეს ტიტანი — პირველი მემაღაროე და მჭედელი, სახლებისა და აფრების პირველგამომგონებელი, ცხენთა პირველი მომთვინიერებელი — კავკასიონის მთებზე, თავისი სამშობლოს მთებზე იყო მიჯაჭვული. აქ უკორტნიდა გულს არწივი და აქ იყო მისი დასატირებელი ადგილი. ეს მთები ოდითგან, ძველ ტრაგიკოსთა ნაწარმოებებშიც, კულტურის მთებად იყო შერაცხული“.**

იყოო შერაცხული.

ახლა?

ახლა, როცა პრომეთე-ამირანი ყუმისთავის კარსტულ მღვიმეში ტურისტების მოსაზიდად ჩაგვიკეტეს, ვიღას ახსოვს „კულტურის მთები“!

**რეზო ამაშუკელი, რომლის წარდგენა ჩვენს განათლებულ მკითხველს არ სჭირდება, შეცბუნებულია ასეთი პერსპექტივით.**

**და ფრიად აღელვებულია.**

მისი სახელდახელო ინტერვიუც ამ ჟანრისთვის დადგენილი კალაპოტის, დასაშვები ზღვარის წალეკვასავითაა. მაგრამ „ომში არც ანგელოზებია, არც — დემონები“.

შემოქმედი კაცის ამბოხება 13 იანვარს „კავკასიის“ ეთერში გაცხადდა: **„დღეს ყურადღება რომ მოგაქციონ, ან ცისფერი უნდა იყო, ან — როსკიპი, ან — ნაციონალი!“**

გული ამოაყოლა, ისე თქვა.

**— გაშიფრეთ, ბატონო რეზო.**

— აი, ახლა, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, შუადღეა და ტელეეკრანზე იტყლარჭებიან, როგორც ძველ ქალაქში იტყოდნენ, ცხრა ღობეზე გადამხტარი დედაკაცები. რა ჯლანავთ ამ უბედურებს ან რა უხარიათ?! რას ლაპარაკობენ ან რას ტლინკაობენ?! უბედურებაა, როცა სამშობლო, საქართველო ფეხებზე ჰკიდია ყველას... **უბედურებაა, როცა ნახევარი საქართველო შიმშილობს, ამ გარყვნილ „ნაციონალურ არხებს“, რაც კი ცვედანი და ბოზია საქართველოში, ყველა შეყრილი ჰყავთ თავიანთ ეთერში, ამათ ღრეობას გვაყურებინებენ. მხოლოდ ამათია ეს დრო. ხალხს კი, ხომ ხედავთ, სამსახურებიდან ყრიან, დევნილებს ასახლებენ, ქუჩაში აგდებენ ამ გაგანია ზამთარში.**

ეს ჩვენი ვალოდია ჯინჭარაძე კი დარბის აქეთ-იქით და არიგებს გამარჯვების ორდენებს, ვითომ ვინმეს აინტერესებდეს ან მისი ჩასვლა, ან მისი ჯინჯილები, ან მისი ლაპარაკის მოსმენა. პანჩურით ხომ არ გამოაგდებენ?!

ხომ ხვდებით, რა მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში!

უბედურება კიდევ ის არის, რომ არც ჩემს ლაპარაკს აქვს ფასი. დავიღალე.

**— ესაია წინასწარმეტყველთან, ბატონო რეზო, ასეთი რამ ამოვიკითხე: „ჩემს ერს ბავშვები ჩაგრავენ და დიაცები უბატონდებიან. ჩემო ერო, შენმა მეგზურებმა დაგაბნიეს და გზა-კვალი აგირიეს!“ (ესაია, 5,15) ასე ხომ არ არის ჩვენი საქმე?**

— ეკლეზიასტეც იგივეს ამბობს. ბავშვი და ბრიყვი გიზის ტახტზეო, მოხელეები დილიდან ჭამენ და თქვლეფენ, ხალხი კი უბედურიაო. ჩემს ერთ-ერთ ლექსში გადმოვიღე ეკლეზიასტეს ეს შეშფოთება, რადგან ზუსტად მიესადაგება ჩვენს ყოფას:



**უბედურებაა, როცა ნახევარი საქართველო შიმშილობს, ამ გარყვნილ „ნაციონალურ არხებს“, რაც კი ცვედანი და ბოზია საქართველოში, ყველა შეყრილი ჰყავთ თავიანთ ეთერში, ამათ ღრეობას გვაყურებინებენ. მხოლოდ ამათია ეს დრო. ხალხს კი, ხომ ხედავთ, სამსახურებიდან ყრიან, დევნილებს ასახლებენ, ქუჩაში აგდებენ ამ გაგანია ზამთარში.**

**გალობს შაშვი და**
**აყვავებულ ხეხილებს ათოვს,**
**და მახსენდება**
**სიტყვა-სიტყვით**
**ეკლეზიასტე:**
**„ვაი, ქვეყანავ,**
**ბავშვი გიზის ტახტრევანს**
**მეფედ,**
**მრავალსიტყვაა ბრიყვი,**
**ვისაც**
**ბედი მიანდე,**
**დიდებულები დილიდანვე**
**ჭამენ და თქვლეფენ...“**

**ამერიკა კოსმოსიდან რომ იყურება და იცის, რამდენჯერ გავალ აივანზე და ქალაქს გადავხედავ, დავიჯერო, ვერ ხედავს, რა ხდება ქვეყანაში, ბრიყვები რომ მართავენ ქვეყანას და რაღაც რეფორმებს უქებენ?! რა რეფორმაა ისეთი, მე თუ ვერ ვიგრძენი, ხალხმა თუ ვერაფერი იგრძნო?**

**— ხალხს თავისი გასჭირვებია, ოპოზიციამ კი თავისი უნიათობა და უძლობაც მას გადააბრალა — სამოქალაქო საზოგადოება ვერ შედგა და ამიტომაც ვერაფერი მოვუხერხეთ ამ ხელისუფლებასო. თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ასეთი უკანდახევა?**

— სხვისა არ ვიცი, ჩემთვის კი ეს ნიშნავს, რომ მე უკვე აღარავის ვენდობი. მგონი, ამით გარკვეული პასუხი გაგეცით. ის კი არა, უკვე სიძულვილი გამიჩნდა ოპოზიციის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც მარტო ლაქლაქებს და ქაქანებს და საკუთარ თავს პოლიტიკოსს უწოდებს. **ზოგიერთები ანდაზებს მოიშველიებენ და ამბობენ — პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო.**

**კი, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, მაგრამ... არა მამამისის ფქვილით... ხომ გასაგებია?**

ან კიდევ — ყველაზე განათლებული და ინტე- ▶




## მოკლედ

### სავიზო რეჟიმის გამარტივება

**საფრანგეთი და იტალია მხარს უჭერენ ესპანეთის წინადადებას, რომლის თანახმადაც რუსეთის მოქალაქეებზე პირველად ერთჯერადი შენგენის ვიზა გაიცემა, მეორედ — ორწლიანი, მრავალჯერადი შესვლის უფლებით, ხოლო მესამედ — ხუთწლიანი.** რუსეთი, თავის მხრივ, გაზრდის იმ კვალიფიციური სპეციალისტების სიას, რომელთაც ქვეყანაში უვიზოდ შესვლა ეკუთვნით. მიუხედავად რუსეთთან მჭიდრო კავშირისა, ევროკავშირის ქვეყნებს შორის აღნიშნული სიახლე ყველაზე ნაკლებად გერმანიას ახარებს. ევროპის ქვეყნები თავად ვიზების შენარჩუნებას მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ ამით რუსეთის გავლით ევროპაში დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკური მიგრანტების დიდი რაოდენობით შედინებისგან დაიცავენ თავს.

### რუსეთში ხელფასებს გაზრდიან

**რუსეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს მიმდინარე წელს პენსიებსა და ხელფასებს გაუზრდიან. ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის დამოუკიდებელი პროფკავშირების ფედერაციის ყრილობაზე განაცხადა.** მთავრობის მეთაურმა უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ სამუშაო კვირა, შესაძლოა, 60-საათიანი გახდეს და პირობა დადო, რომ ზემოქმედებას მოახდენს იმ კომპანიების ხელმძღვანელებზე, რომელთა თანამშრომლებსაც ხელფასები უგვიანდებათ. „ჩვენ ხალხზე არ გადაგვიტანია კრიზისის მთელი ტვირთი, პრობლემებთან და სიძნელეებთან ერთი-ერთზე არ დაგვიტოვია ისინი, მოვძებნეთ საჭირო რეზერვები და გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა მხარში დავდგომოდით ჩვენს მოქალაქეებს“, — განაცხადა პუტინმა.

### მოლდოვას ახალი მთავრობა ჰყავს

**მოლდოვის პარლამენტმა, როგორც იქნა, დაამტკიცა ახალი პროგრამა და ახალი მთავრობა, რომელმაც პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვლად ფილატი წარადგინა.** ახალი პარლამენტი ლიბერალური, ლიბერალ-დემოკრატიული და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. ამ პარტიებმა გასულ წელს ჩატარებულ არჩევნებში საკანონმდებლო ორგანოში 101 მანდატიდან 59 მოიპოვეს და მმართველ კოალიციად ჩამოყალიბდნენ. პარლამენტში საკმარისი რაოდენობის ადგილები ვერ მოიპოვა კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც 42 ადგილს დასჯერდა და ოპოზიციაში გადავიდა. სამაგიეროდ, კომუნისტებმა პირნათლად შეასრულეს ოპოზიციის როლი — მთავრობის ახალი პროგრამა გააკრიტიკეს და მისთვის ხმის მიცემაზე უარი განაცხადეს.

### იაპონიის მთავრობა კვლავ გადადგა

**მოსალოდნელ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით იაპონიის მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით გადადგა. მთავრობის ახალი შემადგენლობა უკვე ცნობილია.** „ვაპირებ, ხელმძღვანელობის სისტემის განმტკიცებით კაბინეტის რეორგანიზება მოვახდინო და ამით უზრუნველვყო ადრე მიღებული მნიშვნელოვანი კურსის (რეფორმები) განვითარება“, — განაცხადა მთავრობის მეთაურმა ნაოტო კანმა. მინისტრთა კაბინეტის ახალი გენერალური მდივანი, რომელიც იაპონიის ბიუროკრატიული იერარქიის მიხედვით „ნომერ მეორე ადამიანად“ ითვლება, 46 წლის დემოკრატი იუკიო ედანო გახდა. კანმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში მიიწვია ყოფილი ფინანსთა მინისტრი კაორუ ესანოც, რომელმაც ამ შემოთავაზებასთან დაკავშირებით ოპოზიციის რიგები დატოვა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მიშას ტელეარხები




რეზო ამაშუკელი:

## ყურადღება რომ მოგაქციონ, ან ცისფერი უნდა იყო, ან — როსკიპი, ან — ნაციონალი!







◀ ლექტუალური პარტია ჩვენა ვართო. განათლებული და ინტელექტუალური ჩემი წიგნების კარადაცაა, მაგრამ ვერაფერს გვიშველის, ინფორმაცია იქ უფრო მეტია. ვიდრე ნებისმიერ პარტიაში — სამი თაობის შეგროვებული ბიბლიოთეკა მაქვს...

**ხალხია გაუბედურებული და დაჩაჩანაკებული კიწმარიშვილისა და მისნაირების მიერ. იმ ყუთმა წარყვნა საქართველო, რომელსაც ტელევიზორი ჰქვია. ესენი, ვიმეორებ, არიან როსკიპების, პედერასტების, ჩამშვებების, ნაციონალების ნაკრები, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენს საზოგადოებასთან.** მუტანტები არიან. ამ მაძღარ პითონს, თვალებს, რომ ვერ ახელს, გიგა ბოკერიას ქართველი ერის თავის ქარგაზე გადაკეთება სურს.

**— „კავკასიის“ ეთერში ამ ბოლო ჩართვისას თქვენ თქვით, რომ ლაპარაკობთ იმ ენით, რომლის გამოც ვერავინ ვერსად გიჩივლებთ.**

— ჩემი პროფესია სახეებით აზროვნებაა. სიტყვის თავისუფლება კი ღვთისგან მაქვს ნაბოძები, ამათგან — არა. კორექტულობაზე რომ ლაპარაკობენ, თავიანთ ლექსიკას მიხედონ! ის მეფისტოფელი ლომაია, განათლების მინისტრად რომ დაგვისვეს, ძაღლი ყეფს ქარავანი მიდისო, განგვიცხადა — ძაღლი უწოდა მთელ ერს.

**ვის რაზე უნდა ელაპარაკო იმ ქვეყანაში, შაშკინი რომ ეყოლება განათლების მინისტრად, თუთიყუში ესა! როგორი ჩაცმული დახტის ბეკეკასავით! რატომ შექმნა კაცობრიობამ ტანსაცმელი? ადგილისა და დროის შესაფერისად რომ ყოფილიყო შემოსილი. ახლა, რა? ზედ არ შეეხედება ამ „ხელისუფალ“ ბიჭბუჭობას. რა უნდა ისწავლონ ბავშვებმა ამათგან?!**

ხომ გვყავდა ერთი „პირველი ლედი“ და გვყოფნიდა. ამ უცხოელმა ქალბატონმა ქართული მაინც იცის. ახლა „მეორე ლედი“ გამოჩნდა, ვერა ქობალია, მინისტრი, ქართულად რომ ვერ ლაპარაკობს.

„წიკვინებენ“, „ჭყლოპინებენ“, „ჩარეცხილები“, „ძალიან მაგარია“, „ნურას უკაცრავად“, ამის იქით არ მიდის ამათი ლექსიკური მარაგი. და კიდევ — დამუქრება: „თქვენს სისხლს დავლევ!“ ან: „დაგშლით მარტივ მამრავლებად!“.

**— სიმარტივე ამ შემთხვევაში გენიალობას არ ნიშნავს...**

— გაუნათლებელია, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ! ენების ცოდნა არაფერს ნიშნავს... ერთმა განათლებულმა ფსიქიატრმა ქალბატონმა მითხრა ასეთი რამ: გიჟია ადამიანი, ჩამოყალიბებული ავადმყოფი. მაგრამ, რომ ჰკითხო, რამდენი იქნება 5700-ის 6014-ზე ნამრავლი, წამში გიპასუხებს ზუსტად, უშეცდომოდ...

უშბას გავანათებო!

— კიდევ რა გითხრათ?!

გულდასაწყვეტი ისაა, რომ ჩვენი ფეოლები, ხომ გახსოვთ ფილმი „ფეოლა“ — ძალად მწვრთნელის შესახებ, იპოლიტე ხვიჩია მთავარ როლში? ასე ჩაუდგნენ სათავეში ოპოზიციურ მოძრაობას ზოგიერთები. მაგათ მოიყვანეს ქვეყნის სათავეში ეს ჩვენი დამაქცევარი და ხელისუფლებაშიც მასთან ერთად მოღვაწეობდნენ. ახლა არიან ოპოზიციაში.

**კუტუნიოს კონცერტზე 5 ათასი კაცი რომ მივა, უნივერსიტეტიდან წიხლებით რომ ჰყრიან პროფესორებს და შენ 500 კაცსაც ვერ შეაგროვებ, რა ოპოზიცია ხარ, იქნებ მითხრათ?**

**— მაშ, ამათი იმედი არ უნდა გვქონდეს?**

— სანამ ეროვნულის განცდა არ აფეთქდება, მანამდე არაფერი გვეშველება. ჩემთვის უპირველესი არის სამშობლო, რომელიც რწმენასთან და ქრისტიანობასთან არის გაიგივებული.

საქართველოში რა გამოლევს გონიერ და გულმართალ ადამიანებს. იმათ უნდა მივანდოთ ჩვენი მომავალი.

**პირადად არ ვიცნობ, მაგრამ რასაც ამ ბოლო დროს ვკითხულობ და ვისმენ, სულ უფრო მეტი სიმპათიით ვარ განწყობილი ალექსანდრე ჭაჭიას მიმართ. უდავოდ ნიჭიერი ადამიანია. მებრძოლი, მოაზროვნე. მომწონს მისი კრიტიკული პათოსი და ანალიტიკური განსჯა. სწორედ ასეთებს სჭირდება მხარდაჭერა. თორემ გაცალცალკევება იმ შედეგს ვერ მოიტანს, რომელსაც ასე ველოდებით. ახალგაზრდობის დაბრუნებაა საჭირო, თორემ ამათ თვალსა და ხელს შუა გარყვნეს მომავალი თაობა.**

ვინ ეკითხება ან რა იცის ამერიკელმა სენატორმა, ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის თუნდაც პრეზიდენტმა, რა გვიჭირს, რა გვინდა, რა არის აუცილებელი დღეს და სამომავლოდ საქართველოსთვის?! რომ აქებენ და კატის კნუტივით თავზე ხელს რომ უსვამენ, ეგაა საქმე? ამაზე დიდი დამაქცევარი საქართველოს არ ჰყოლია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. გარგანტუამ რომ მოისაქმა, ბატი ამოისვა, თეთრბუმბულიანი. რას დაწერდა რაბლე, დღევანდელ საქართველოს რომ მოსწრებოდა?**



**ხალხია გაუბედურებული და დაჩაჩანაკებული კიწმარიშვილისა და მისნაირების მიერ. იმ ყუთმა წარყვნა საქართველო, რომელსაც ტელევიზორი ჰქვია**

## მოკლედ

### კორეის რაკეტები აშშ-ს მისწვდება

**ხუთი წლის შემდეგ ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნის კონტინენტთაშორის ბალისტიკურ რაკეტებს, რომელთაც აშშ-ის ტერიტორიამდე მიღწევა შეეძლებათ.** ამის შესახებ პენტაგონის თავკაცმა რობერტ გეიტსმა განაცხადა. მისივე თქმით, ახლა ვაშინგტონი აქტიურ დიალოგს აწარმოებს ფხენიანთან და ცდილობს, ჩრდილოეთ კორეის მთავარი მოკავშირე და სპონსორი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დაარწმუნოს, რომ გავლენა მოახდინოს ფხენიანზე. „იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთ კორეა განაგრძობს ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების შექმნას, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა აშშ-ისთვის პირდაპირ საფრთხედ ყალიბდება და ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ“, — განაცხადა მან.

### ასანჟის „სადაზღვევო“ დოკუმენტები

**სკანდალური საიტის „ვიკილიქსის“ შემქმნელმა ჯულიან ასანჟმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევისთვის, თუ მას ან მის რესურსს რაიმე დაემართება, საიდუმლო დოკუმენტების „სადაზღვევო“ პაკეტს გამოაქვეყნებს.** „კომპრომატების მეფემ“ სახიფათო სუირპრიზი არა მხოლოდ აშშ-ის ხელისუფლებას, არამედ მედიამაგნატ რუპერტ მერდოკსაც მოუმზადა. 504 დიპლომატიური გზავნილი, რომელთა შინაარსიც მსოფლიოს უდიდესი მედიაიმპერიის მოღვაწეობის დეტალებს ასახავს, საგულდაგულოდაა გადანახული „შავი დღისთვის“. გარდა ამისა, ასანჟმა თავისი რესურსის მთავარ „ტექნოლოგიურ მტრად“, აშშ-ის ნაცვლად, ჩინეთი დაასახელა. ცოტა ხნის წინათ ასანჟის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ, თუ მათი დაცვის ქვეშ მყოფს ამერიკას გადასცემენ, მას სიკვდილით დასჯა ემუქრება.

### იპოთეკური რეკორდი

**2010 წელს ამერიკულმა ბანკებმა და საკრედიტო სააგენტოებმა საკუთრებაში მიიღეს უძრავი ქონების 1,05 მილიონი ობიექტი, რომელთა მფლობელებმა იპოთეკური სესხის გადახდა ვერ შეძლეს.** ეს ამერიკული უძრავი ქონების ბაზრისთვის რეკორდული მაჩვენებელია. წინა რეკორდი ისევ ამერიკას ეკუთვნის — 2009 წელს იქ ვალების გადაუხდელობის გამო მფლობელებს 918 ათასი სახლი წაართვეს. 2010 წლის დეკემბერში კრედიტის გადაუხდელობის გამო აშშ-ის მოქალაქეები იძულებული გახდნენ, 69847 ათასი სახლი დაებრუნებინათ. ერთი წლის მანძილზე ამერიკაში 2,9 მილიონმა ადამიანმა მიიღო შეტყობინება ბინის მოსალოდნელი ჩამორთმევის თაობაზე. მხოლოდ დეკემბერში ამგვარი შინაარსის შეტყობინება 257,7 ათას ადამიანს გაუგზავნეს.

### რუსეთმა საგარეო პროვოკაციებს უპასუხა

**საუბრები არქტიკის რესურსებისთვის შესაძლო ომზე პროვოკაციაა. ამის თაობაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გასული წლის შეჯამებისა და მიმდინარე წლისთვის დასახულ მიზნებზე საუბრისას განაცხადა.** „პრობლემები, რომლებიც ჩრდილოეთში არსებობს, ზღვის სივრცეთა შემოსაზღვრის ჩათვლით, პოლიტიკურ, სამართლებრივ გადაწყვეტილებებს ექვემდებარება და ამიტომ ლაპარაკი იმაზე, რომ ჩრდილოეთში სადაცაა რესურსებისთვის ომი დაიწყება, პროვოკაციული მიდგომაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო საკითხის საქმიანად მოგვარების შესაძლებლობასთან“, — განაცხადა ლავროვმა. მისივე თქმით, საზღვრების დემარკაციის მიზანი მხოლოდ ღობის აშენება კი არა, ამ საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების კომფორტული ურთიერთობაა.

# ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის ყოფილმა პაციენტმა «მიცვალებულთა გათეთრების» სქემა გაშიფრა

**ხუდადოვის ტყესთან, მარუაშვილის ქუჩის №50-ში მდებარე ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში ავადმყოფებს მკურნალობის კურსის გავლა უმძიმეს და სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში უწევთ. ამის შესახებ ზემოაღნიშნული დისპანსერის ერთ-ერთმა პაციენტმა რომან კარაპეტიანმა გვაცნობა, რომელიც გასულ კვირას დაგვიკავშირდა და გვთხოვა, ამ საკითხზე ყურადღება გაგვემახვილებინა. „საქართველო და მსოფლიო“, ბუნებრივია, დაინტერესდა სამკურნალო დაწესებულებაში არსებული მდგომარეობით და იმის გასარკვევად, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია, დისპანსერის დირექციას დავუკავშირდით; თავის მხრივ, ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა იაგორ კალანდაძემ ჩვენთან საუბარში პაციენტის მიერ მისი და მისი დაწესებულების მიმართ გამოთქმულ უკმაყოფილებას უსაფუძვლო უწოდა და აღნიშნა, რომ დისპანსერში ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, ხოლო ჯანდაცვის უწყებაში, რომელთანაც დაკავშირება საკმაოდ გაგვიჭირდა, კომენტარზე უარი ერთადერთი მიზეზით გვითხრეს: კითხვა, რომელსაც თქვენ სვამთ, აბსურდულია და აბსურდზე ლაპარაკს არ ვაპირებთო...**
**ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში არსებულ მდგომარეობასა და პრობლემებზე დეტალურად რომან კარაპეტიანი გვესაუბრება.**



## რომან კარაპეტიანი: ციხეში გარდაცვლილ პატიმარს ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში ისეთ საბუთებს უდგენენ, თითქოს საავადმყოფოში გარდაიცვალა








**— რომან, სატელეფონო საუბარში მითხარით, რომ ტუბერკულოზის ეროვნულ ცენტრში პაციენტებს უმძიმეს პირობებში მკურნალობენ. კონკრეტულად რას გულისხმობდით, რა პირობებია იქ შექმნილი?**

— მე იქ დაახლოებით ორი თვე ვიწექი და საკუთარი თვალით ვნახე, რომ სამკაციან პალატაში ხუთი და ხშირად მეტი ავადმყოფი წევს, არ არის დაცული სანიტარული ნორმები, კვების რაციონი. ყველაზე მეტად რამაც შემაშფოთა, ის იყო, რომ „პლიუსიან“ და „მინუსიან“ ავადმყოფებს ერთ პალატაში ათავსებდნენ და თანაც ამას ისე მოურიდებლად აკეთებდნენ, თითქოს არანაირი კანონდარღვევა არ ყოფილიყო. არადა, ამას შეიძლება ფატალური შედეგი მოჰყვეს, რადგან „პლიუსიანი“ ავადმყოფი ეს არის ავადმყოფი, რომელსაც დაავადება აქვს აქტიურ ფაზაში და რომელთან ერთადაც ოთახში ყოფნა სერიოზულ საფრთხეს შეიცავს ნებისმიერი ადამიანისთვის. მეტიც, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში ეს იწვევს „მინუსიანი“ ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას, დამძიმებას, რაც ხშირად ფატალური შედეგით მთავრდება. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ყველა ასეთი ავადმყოფი, ფაქტობრივად, განწირულია. ვიმეორებ: ეს არის რეალობა, რომელიც ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყანაში არ უნდა ხდებოდეს.

**— თქვენ თქვით, რომ „პლიუსიან“ და „მინუსიან“ პაციენტებს ერთ პალატაში ათავსებდნენ. ნუთუ მათ არ უჩნდებოდათ კითხვა სამედიცინო პერსონალის ან დისპანსერის დირექციის მიმართ, რატომ ხდება ასე?**

— პირადად მე სამი კვირა ვიწექი „პლიუსიანებთან“ ერთად და თავიდან არც კი ვიცოდი ამის შესახებ. მაგრამ, როცა გავიგე, რომ პალატაში ჩემთან ერთად მყოფ პაციენტებს დაავადება აქტიურ ფაზაში ჰქონდათ, ბუნებრივია, ავნერვიულდი და ვიკითხე, აქ რატომ ვარ-მეთქი. ერთი გენახათ ექიმების რეაქცია, წარბიც არ შეტოკებიათ, ოთახები არ გვყოფნის და აქ იმიტომ დაგაწვინეთო. ეს ისე მითხრეს, თითქოს ადამიანი კი არა, პირუტყვი ვყოფილიყავი და ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონოდა, სად და ვისთან ერთად მომათავსებდნენ...

**— სხვა პაციენტებმა თუ იკითხეს მიზეზი?**

— კითხვა, ბუნებრივია, ყველას უჩნდებოდა, მაგრამ ბევრი ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ვერ ბედავდა იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, ტუბერკულოზით დაავადებულებს ოცდახუთლარიანი ვაუჩერები ეძლევათ, მკურნალობაც უფასო აქვთ და, უბრალოდ, ეშინოდათ, ეს ყველაფერი არ დაეკარგათ...

**— ისე, თუ ყოფილა შემთხვევა, რომ „პლიუსიანებთან“ მოთავსების გამო „მინუსიანი“ ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულიყო ან ვინმე გარდაცვლილიყო ამის გამო?**

— დიახ, თუ არ ვცდები, 10 იანვარს გარდაიცვალა ერთი პაციენტი, რომელიც „მინუსიანი“ იყო და მოათავსეს „პლიუსიანებთან“. ადრეც ყოფილა ასეთი შემთხვევები და ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალშიც იქნება, ვინაიდან არავინ ამას ყურადღებას არ აქცევს და არავინ ამბობს, თუ კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად.

**— თუ გიცდიათ, რომელიმე შესაბამისი სახელმწიფო უწყებისთვის, თუნდაც ჯანდაცვის სამინისტროსთვის გეცნობებინა ტუბდისპანსერში არსებული მდგომარეობის შესახებ?**

— არ მიცდია და არც ვაპირებ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამას, უბრალოდ, აზრი არ აქვს. თქვენ, ალბათ, მკითხავთ, რატომო. — იმიტომ, რომ ჯანდაცვის სამინისტროში და, საერთოდ, ხელისუფლებაში ისედაც კარგად იციან, სად რა ხდება და რომელ საავადმყოფოში რა მდგომარეობაა. მეტიც, ესენი შეკრულები არიან ერთმანეთთან. **აი, მაგალითად, ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი პირდაპირ თანამშრომლობს სასჯელაღსრულების სამინისტროსთან და იცით, რაში გამოიხატება ეს თანამშრომლობა? იმაში, რომ, როცა ციხეში ტუბერკულოზით დაავადებული პატიმარი შემოაკვდებათ, მიჰყავთ დისპანსერში და ისე აფორმებენ, თითქოს იქ გარდაიცვალა.** მე, პირადად, როცა მკურნალობის კურსს გავდიოდი, ფანჯრიდან საკუთარი თვალით დავინახე, როგორ შემოასვენეს გარდაცვლილი პატიმარი საავადმყოფოს შენობაში...

**— ეს უკვე სერიოზული ბრალდებაა კალმახელიძის უწყების მიმართ...**

— მე რასაც ვამბობ, ვიღაცის მონაყოლი არ არის, როგორც გითხარით, ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე და საკუთარი ყურით გავიგონე; აქვე იმასაც ვიტყვი, რომ „მიცვალებულების გათეთრება“ ერთადერთი ფორმა არ არის, რითაც ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი ხელისუფლებას თავის ბნელ საქმეებში ეხმარება, არამედ მისი ხელმძღვანელობა სხვა, უფრო „ეფექტიანი“ მეთოდებითაც არ ერიდება ხოლმე „ნაცმოძრაობის“ მხარდაჭერას. ასე, მაგალითად, **ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა მე იქ ვიწექი, დირექციის წარმომადგენლებმა ასეთი რამ გამოგვიცხადეს — საღამოს ოთხ საათამდე არც ერთი პაციენტი შენობიდან არ გავიდესო. ერთი სიტყვით, გარეთ გასვლა აგვიკრძალეს, მიზეზი კი არავის აუხსნია. თავიდან ვერავინ მიხვდა, რატომ გამოგვკეტეს შენობაში, ადრე ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ შემდეგ რაღაც-რაღაცებს ყური მოვკარი და გავიგე, რაც ხდებოდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ოპოზიცია ქუჩის პერმანენტულ აქციებს მართავდა და ჩვენც იმიტომ გამოგვამწყვდიეს ოთხკედელში, რომ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობა არ მიგვეღო.** აი, ასეთი მდგომარეობა იყო და არის დღესაც მაგ დისპანსერში და ასეთ აუტანელ პირობებში უწევთ იქ პაციენტებს მკურნალობა. აწი თქვენ თვითონ განსაჯეთ, რამდენად ნორმალურია ეს ყველაფერი და შეიძლება თუ არა ასე გაგრძელდეს.

**რომან კარაპეტიანთან საუბრის შემდეგ ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში არსებული მდგომარეობის თაობაზე კომენტარისთვის უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს დავუკავშირდით.**

— პირადად ჩემთვის სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ტუბდისპანსერში პაციენტებისთვის ძალზედ ცუდი და, ასე ვთქვათ, არახელსაყრელი პირობებია შექმნილი. ეს კი თავისთავად იმ ცინიკურ და უკიდურესად არაჰუმანურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, რაც ამ ხელისუფლებას ადამიანების, განსაკუთრებით კი ავადმყოფი პატიმრების მიმართ გააჩნია. პატიმრები იმიტომ ვახსენე, რომ დღესდღეობით საპყრობილეებში ტუბერკულოზით დაავადებული უამრავი მსჯავრდებულია, რომლებიც სასწრაფოდ მკურნალობას საჭიროებენ, მაგრამ ამის მიუხედავად, საავადმყოფოში არ გადაჰყავთ. მეტიც, როცა ეს ადამიანები ითხოვენ მედიკამენტებსა და სამედიცინო დახმარებას, მათ სასტიკად უსწორდებიან — სცემენ, აწამებენ და საშინელ დღეში აგდებენ. გარდაცვალების შემთხვევაში კი ცხედარი მიაქვთ საავადმყოფოში და ადგენენ საბუთს, რომ თითქოს მას უტარდებოდა მკურნალობა და არაფერს აკლებდნენ, მაგრამ ვერ უშველეს. ასეთი არაერთი ფაქტი ვიცი და ბევრი მათგანი ფართო საზოგადოებისთვისაც ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არც ერთ მსგავს შემთხვევაზე არც ხალხის და არც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არანაირი რეაგირება არ ყოფილა.

**ხელისუფლების თავგასულობა ნაწილობრივ, ალბათ, ამითაცაა განპირობებული და ამიტომ მინდა, მოვუწოდო ყველას, თითოეულ მოქალაქეს და განსაკუთრებით მსჯავრდებულთა ახლობლებსა და ოჯახების წევრებს, რომ ნუ დახუჭავენ თვალებს უსამართლობაზე და ნუ მოითმენენ უკანონობას. ეს არ არის გამოსავალი, იმიტომ, რომ დღეს ჩვენ საქმე გვაქვს წარმოუდგენელ ავტორიტარულ რეჟიმთან, ძალასთან, რომელიც ყველაფერს თრგუნავს და რომლის მოშორებაც და გასტუმრებაც პოლიტიკიდან, გვინდა თუ არ გვინდა, ერთადერთი გამოსავალია.**

ჯაბა ჭვანია

**ნანა კაკაბაძე:**

## ციხეში გარდაცვალების შემთხვევაში ცხედარი მიაქვთ საავადმყოფოში და ადგენენ საბუთს, რომ თითქოს პატიმარს უტარდებოდა მკურნალობა და არაფერს აკლებდნენ, მაგრამ ვერ უშველეს

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა ღირს მანქურთობა, ანუ თანამდებობრივ სარგოში კონვერტირებული 30 ვერცხლი

**უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელის შეცვლის შემდეგ საკადრო ცვლილებებს უამრავი ადამიანის კარიერა ეწირება, პრეზიდენტი კი, მოგეხსენებათ, „კარუსელებით" ხშირად ერთობა, თუმცა 2010 წელი ამ მხრივ შედარებით მშვიდი იყო. დიდი გადაადგილებები არ მომხდარა, სამაგიეროდ, რიგ უწყებაში შტატები თითქმის განახევრდა. კადრების ოპტიმიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტის დაზოგვის მიზნით ხორციელდებოდა, შემცირებები კი, ძირითადად, საშუალო რგოლის წარმომადგენლებს შეეხო. გასაგებია, რომ მინისტრები იმ ჩინოვნიკებს არ მოხსნიდნენ, რომლებიც თავად დაასაქმეს უწყებაში და მაღალი თანამდებობები და შესაბამისი ხელფასიც დაუნიშნეს. „საქართველო და მსოფლიო" დაინტერესდა, თუ სად „უჭირდა" ყველაზე მეტად ხაზინას და როგორ „დაზოგა" მან საბიუჯეტო სახსრები...**

„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა" 2010 წლის დასასრულს შეიქმნა, პროექტი საჯარო უწყებების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებას, საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტურობასა და ტრანსფარენტულობას, ელექტრონული დემოკრატიის სტანდარტების დამკვიდრების გზით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობასა და მოსახლეობის, არასამთავრობო სექტორისა და მედიის ჩართულობით საჯარო დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. **საიტი, რომელზეც, წესით, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის სახელმწიფო პროგრამები, სახელფასო ფონდები, გამოცხადებული ტენდერები, სახელმწიფო შესყიდვები, შიდაუწყებრივი პრემიებისა და სარეზერვო ფონდების ოდენობა, უწყებების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები უნდა გამოქვეყნებულიყო, სრულფასოვნად ვერ ამუშავდა, რადგან ბევრმა უწყებამ** (მათ შორის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, შს სამინისტრომ, თავდაცვის სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ და სხვ.) **ეს ინფორმაცია დამალა.**

მაშინ, როცა ქვეყანაში მასობრივი შემცირებები მიმდინარეობდა, როცა ათასობით ადამიანი სამსახურისა და შემოსავლის გარეშე დარჩა, გაურკვეველი დანიშნულებისა და ფუნქციის **სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესა და მის 29 თანამშრომელზე, 2010 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე ხელფასის სახით 435 501 ლარი გაიცა, პრემიის სახით კი — 105 322 ლარი**. შესაბამისად, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორ დაიზოგა სახელმწიფო სახსრები და რისთვის იყო საჭირო ასობით ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლება.

**საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს, მისივე სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, 2009 წელს პრემიის სახით 43950 ლარი აუღია, მის**





## 2010 წლის 10 თვის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრის, მინისტრის მოადგილეებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ პირებზე დარიცხული საერთო კვარტალური პრემიების ოდენობის შესახებ

| თანამდებობა | 2010 წელი | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | I კვარტალი | II კვარტალი | III კვარტალი | IV კვარტალი | სულ |
| მინისტრი | 10620 | 10620 | 10620 | 3540 | 35400 |
| მინისტრის პირველი მოადგილე | 8850 | 8850 | 11800 | 2950 | 32450 |
| მინისტრის მოადგილე (2009-5 საშტ ერთ) | 33840 | 32640 | 38080 | 13600 | 118160 |
| დეპარტამენტის დირექტორი (17 საშტ ერთ) | 59700 | 58657 | 63750 | 20150 | 202257 |
| ჯამი | 113010 | 110767 | 124250 | 40240 | 388267 |
| | | | | | |







**პირველ მოადგილეს — 37550, დანარჩენ ოთხ მოადგილეს კი — 145600 ლარი, დეპარტამენტების დირექტორებს (18 საშტატო ერთეული) — 281659 ლარი. ჯამში საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების პრემიებმა 508750 ლარი შეადგინა. 2010 წელს ვაშაძემ პრემიის სახით მიიღო 35400 ლარი, სამი ათასი ლარით ნაკლები მიიღო მისმა პირველმა მოადგილემ გიგა ბოკერიამ (32450); დანარჩენმა ხუთმა მოადგილემ კი — 118160 ლარი, 17 დეპარტამენტის დირექტორებმა — 202257 ლარი. ჯამში საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა 2010 წელს პრემიის სახით მიიღეს 388267 ლარი.**

ბიუჯეტს რომ მართლაც უჭირდა 2010 წელს და ეკონომიკის ექსპერტები მიმდინარე წელს უფრო სერიოზულ კრიზისს პროგნოზირებენ, ცხადია, მაგრამ გაცემული პრემიების რაოდენობა ცხადყოფს, რომ კადრების ოპტიმიზაციის მიზნით რეორგანიზაციები და ასობით ადამიანის გათავისუფლება, ბიუჯეტში ასობით ათასი ლარის გამოთავისუფლება იმისთვის განხორციელდა, რომ ამ ჩინოვნიკებს პრემიები მიეღოთ, რადგან მათ ის ხელფასი არ ჰყოფნით, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებულებით ეძლევათ.

**მთავრობის კანცელარიის უფროსს საქართველოში, სადაც საშუალო პენსია 70 ლარია, ხელფასი 3540 ლარი აქვს, რაც წელიწადში 42480 ლარია, მის მოადგილეს — 2720 ლარი.** ასეთივე ხელფასი აქვს მთავრობის საპარლამენტო მდივანს, პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსსა და მრჩეველთა ჯგუფის უფროსს; დეპარტამენტის უფროსებს — 2200 ლარი; მრჩეველებს — 2130, დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს — 1800, მთავრობის პრესსპიკერს — 1660, სამმართველოს უფროსებს — 1450, პრემიერ-მინისტრის თანაშემწეს — 1300. ეს მაშინ, როცა დამხმარე მოსამსახურეებს 300-დან 750 ლარამდე აქვთ ანაზღაურება. **რაც შეეხება მათ პრემიებს, მთავრობის კანცელარიაც იმათ შორისაა, ვინც პრემიების შესახებ ინფორმაციას მალავს.**

**ენერგეტიკის მინისტრის ანაზღაურება 3540 ლარს შეადგენს, მისი პირველი მოადგილისა — 2950-ს, მოადგილის — 2720-ს, უფროსი მრჩევლის ხელფასი 1540 დან 1420 ლარამდე მერყეობს, დეპარტამენტის უფროსების ხელფასი 2010 ლარია. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ხელფასიც 3540 ლარია, პირველი მოადგილისა — 2950, დეპარტამენტის უფროსების — 2150, მრჩევლების კი — 1900. მოკლედ რომ ვთქვათ, მაღალჩინოსნების ყოველთვიური შემოსავალი ბევრად აღემატება პენსიონერის მთელი წლის შემოსავალს, ისევე, როგორც ხშირ შემთხვევაში დაბალი რანგის მოხელის წლის შემოსავალს.**

პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს მინისტრის, სახელმწიფო მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის ეროვნული უშიშროების საკითხებში — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანამდებობრივი სარგოები 3540 ლარითაა განსაზღვრული. **პრემიერ-მინისტრ გილაურის ხელფასი კი 4250 ლარს შეადგენს.**

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში ხელფასები ასე ნაწილდება: დეპარტამენტის უფროსები 2130 ლარს იღებენ, მოადგილეები — 2070-ს, გენერალური ინსპექციის უფროსი — 2130-ს, მოადგილე — 2070-ს, სამმართველოს უფროსები კი — 1660 ლარს. ეს მაშინ, როცა შარშან თითქმის განახევრდა თანამშრომელთა რაოდენობა თბილისის მერიაში, თავდაცვის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, სასამართლოებსა და თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში. 2010 წელს შემცირებები იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც. გაცემულ პრემიებს ეს სამინისტროც ასაიდუმლოებს, ამიტომ კვეზერელის უწყებაში გაცემულ მხოლოდ ხელფასებს გავეცნოთ.

**2009 წელს ბაკურ კვეზერელს ხელფასის სახით 42480 ლარი აუღია, 2010 წელს, იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით, 35400 ლარი აქვს აღებული;** მის პირველ მოადგილეს — ლევან ჭოლაძეს 2009 წელს აუღია 35400 ლარი, 2010 წლის ოქტომბრის ჩათვლით — 29500; მოადგილე ალექსანდრე ცინცაძეს 2009-ში 32640 ლარი მიუღია, 2010-ში — 27200; დეპარტამენტის უფროსებს 2009 წელს 21600 ლარი აქვთ მიღებული, 2010-ის 10 თვეში — 18000 ლარი; **რეინტეგრაციის ყოფილ მინისტრ თემურ იაკობაშვილს, რომელმაც ახლა ამერიკის ელჩის პორტფელი მიიღო, 2009 წელს 88500 ლარი აუღია. იგი ხელფასის სახით 3540 ლარს იღებდა და ყოველთვიურად ამავე რაოდენობის პრემიით იჯილდოებდა თავს.**

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სახელმწიფო დაფინანსებაზე არსებული უწყებების უმეტესმა ნაწილმა ხელფასებისა და პრემიების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა. თუმცა აღნიშნული ინფორმაციაც ნათელს ხდის თუ როგორ ინაწილებენ პრემიებსა და ხელფასებს ქართველი მაღალჩინოსნები და იმის გამო, რომ მათ ფუფუნება არ მოაკლდეთ, ათასობით ადამიანი ელემენტარული შემოსავლის წყაროს გარეშეა დარჩენილი. **ექსპერტების აზრით, მიმდინარე წელი გაცილებით რთული იქნება და, თუ სახელმწიფო მოხელეები პრემიებისთვის თანხების გამოთავისუფლების იმავე მეთოდს გამოიყენებენ, უმუშევართა არმიას კიდევ ბევრი ადამიანი შეემატება.**

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვაზელინიანი გზა მინისტრის მოადგილის მძღოლობიდან განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრობამდე

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი შარშან არაერთხელ მოექცა პრესის ყურადღების ცენტრში და თითქმის ყველა ინფორმაცია მის უკანონო საქმიანობასა და პოსტიდან გადაყენების შესახებ ვარაუდებს ასახავდა. სუბელიანის პერსონაზე საუბარი არც წელს წყდება და, როგორც კულუარებში ამბობენ, მას წლის დასაწყისშივე მოუწევს პოსტის დატოვება. მაგრამ, ჟურნალისტური ვარაუდებისა და კულუარული ინფორმაციების მიუხედავად, დღემდე დაზუსტებით არავინ უწყის, ვინ ჩაიბარებს მის თანამდებობას.**



მთავრობაში სუბელიანის შეცვლაზე დიდი სჯა-ბაასი მიდის, მაგრამ იმასაც ამბობენ, სუბელიანის მიერ გაპარტახებული სტრუქტურის სათავეში ჩადგომა არავის სურს, რის გამოც მინისტრთა კაბინეტს დიდი თავსატეხი გაუჩნდა.

ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით, მანამდე კი, ვიდრე სუბელიანის ორწლიანი მინისტრობის შესაძლო დასასრულის მიზეზებზე ვისაუბრებთ, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მის არც თუ ისე მომხიბვლელ და თითით საჩვენებელ წარსულს.

მართალია, მის ბიოგრაფიაში არაა აღნიშნული, მაგრამ, როგორც ცნობილია, **სუბელიანი 2004 წელს უშიშროების მაშინდელი მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას პირად მძღოლად მუშაობდა. იმავე წელს უგულავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დაინიშნა და ერთგული მძღოლიც თან წაიყვანა, 2005 წლის აპრილში კი, როდესაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დანიშნეს, კვლავ თბილისში ჩამოიყვანა. იმავე წლის ზაფხულში გიგი უგულავა დედაქალაქის მერი გახდა, მისი ერთგული მძღოლი კი მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად გაამწესა.**

გარდა იმისა, რომ სუბელიანის გვარი ცნობილი ჯერ კიდევ უგულავას მძღოლობის პერიოდში გახდა, **მისი თბილისის მერიაში მუშაობის პერიოდს უკავშირდება საკანალიზაციო მილების ქურდობის სკანდალიც, რომელშიც უკვე სუბელიანთან ერთად მისი შეუცვლელი შეფის, უგულავას გვარიც ფიგურირებდა.**

ამ ბრალდების მასალები კონტროლის პალატაში დღესაც ინახება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წინა მოწვევის პარლამენტში ამ ამბავთან დაკავშირებით დიდი ხმაური ატყდა, მას გრიფით საიდუმლო ადევს. როგორც ჩანს, უგულავას გავლენა უკვე იმდენად ძლიერი იყო, რომ მასა და მის ვეზირს სამართალმა ძირი ვერ შეურყია, მეტიც, ადგილობრივი ხელისუფლებიდან უგულავას მძღოლმა ცენტრალურში გადაინაცვლა — სუბელიანმა დედაქალაქი იმდენად „კეთილმოაწყო“, რომ ხელისუფლებამ დევნილების კეთილდღეობა ჩააბარა.

**2007 წლის ნოემბრის ცნობილ მოვლენებს მორიგი სამთავრობო ცვლილებები მოჰყვა, როცა ლტოლვილთა და განსახლების მაშინდელი მინისტრი გიორგი ხევიაშვილი სწორედ სუბელიანით შეცვალეს და რამდენიმე დღეში „გულისამაჩუყებლად“ გააპიარეს.**

2007 წლის ნოემბრის მიწურულს, მორიგი პიარაქციის დროს, რომელიც თბილისის მერიაში გიგი უგულავას, კობა სუბელიანისა და პრეზიდენტობიდან იძულებით გადამდგარი და ამავე დროს პრეზიდენტობის კანდიდატის — მიხეილ სააკაშვილის მონაწილეობით გაიმართა, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად „საქართველოს მთავრობის ყველაზე მზრუნველი ადამიანი“ დაინიშნა.

**„ჩვენ გვჭირდება ადამიანი, რომელიც მხოლოდ ძველ პრობლემებს კი არ გადაჭრის, არამედ ავადმყოფს საწოლთან დაუჯდება, თვალებში ჩახედავს და იმედს მისცემს, ახალდაქორწინებულებს შეუქმნის უკეთეს პირობებს... კაბინეტში კი არ დაიმალება, თვითონ მივა მათთან,“** — განაცხადა სააკაშვილმა და იქვე კომპაქტურად ჩასახლების ყველა ობიექტის რეგისტრაციისა და მათი დევნილების საკუთრებაში გადაცემის შესახებ მთავრობის ინიციატივა გააჟღერა.

2008 წლის აპრილში „ყველაზე მზრუნველმა“ მინისტრმა პარლამენტში გადაინაცვლა, იმავე წლის ნოემბერში კი კვლავ ლტოლვილთა მინისტრად დანიშნეს. იმ დროიდან დღემდე დევნილებს მის თვალებში „იმედი“ არასოდეს დაუნახავთ. პირიქით, **დანიშვნიდან სულ მოკლე ხანში ის დევნილებისთვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულეს, თუმცა მისი გადაყენების სა**ნად დარია ხელი და წლების მანძილზე დაკავებული საცხოვრებელი ფართები ნებით თუ ძალით დაატოვებინა.

მინისტრს კი სჯეროდა, რომ სკანდალის თავიდან აცილებას შეძლებდა, მაგრამ შარშან, სექტემბერ-ოქტომბერში, ჯერ დიპლომატიურ, შემდეგ კი მორალურ სკანდალში გაეხვა.

**საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მაშინდელმა ხელმძღვანელმა პერ ეკლუნდმა სასწრაფოდ მოითხოვა პრემიერ-მინისტრთან ნიკა გილაურთან შეხვედრა, რომელიც კი დღის წესრიგიდან მალევე მოიხსნა. 2009 წლის ზაფხულში საქმეში კვლავ უგულავა ჩაერია და მორიგი დანაშაულიც ჩაიფარცხა, რადგან სუბელიანი თვითმმართველობის არჩევნებში „საჭირო კაცი იყო“,** მითუმეტეს, რომ 30 მაისის არჩევნებში სახელისუფლო ფრთის მერობის კანდიდატი სწორედ მისი გუნდის კაპიტანი — გიგი უგულავა გახლდათ.

შარშან კი სუბელიანი საზოგადოებამ ერთხმად აღიარა „გამოსახლების“ მინისტრად, რომელმაც სვანური სიჯიუტის გამოყენება მხოლოდ იმ საკითხში შეძლო, რომ თბილისში, კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში მცხოვრებ დევნილებს, მათი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ერთიანად დარია ხელი...



თბილისის მერიაში მისი მუშაობის პერიოდს უკავშირდება საკანალიზაციო მილების ქურდობის სკანდალიც, რომელშიც უკვე სუბელიანთან ერთად მისი შეუცვლელი შეფის, უგულავას გვარიც ფიგურირებდა

**ვედრა და მთავრობის მეთაური მკაცრად გააფრთხილა, რომ, თუ დევნილების მიმართ მსგავსი პოლიტიკა გაგრძელდებოდა, საქართველოსთვის განსაზღვრული 4-მილიარდიანი დახმარების ფარგლებში გამოყოფილი მორიგი, 23 მილიონი ევროს ტრანში ქვეყანას, შესაძლოა, ვერ მიეღო.**

ელჩ ეკლუნდის მონდომების შემდეგ დევნილთა გამოსახლების პროცესი მართლაც შეჩერდა, თუმცა, მიუხედავად სამინისტროს მტკიცებისა, რომ გამოსახლება აღარ იგეგმებოდა, მოგვიანებით ეს პროცესი განახლდა. გავრცელდა ინფორმაცია სუბელიანის შესაძლო გადაყენებისა და მისი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორით ზაზა გოროზიათი ჩანაცვლების თაობაზე, თუმცა, როგორც გოროზიასთან დაახლოებული პირები ამბობდნენ, გუბერნატორს სუბელიანის პოსტის ხსენებაზეც კი ზარავდა, რადგან დანგრეული სისტემის სათავეში ჩადგომას არ აპირებდა.

**სუბელიანის მფარველებმა ამ საკითხის მოგვარებაც შეძლეს, მაგრამ როგორც კი მთავრობამ პერ ეკლუნდი ქვეყნიდან შორს დაიგულა, დევნილების გამოსახლების პროცესი კვლავ განახლდა, რასაც კიდევ ერთი სკანდალი მოჰყვა. აფხაზეთიდან დევნილმა ნანა ფიფიამ სუბელიანის უწყების შენობის წინ თავი დაიწვა.**

**როგორც გარდაცვლილის ახლობლები და სხვა დევნილები ყვებოდნენ, გამოსახლებულ ფიფიას სამინისტროში არაერთხელ მიაყენეს შეურაცხყოფა.**

მინისტრი სუბელიანი სინდისის ქენჯნას არც ნანა ფიფიას მიერ თვითმკვლელობის მცდელობისა და არც მისი სიკვდილის გამო შეუწუხებია; არადა, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, ნორმალური მინისტრი ამ სკანდალის შემდეგ, სხვა თუ არაფერი, თანამდებობიდან მაინც გადადგებოდა, რადგან ასეთ სიტუაციაში, წესით, მორალური პასუხისმგებლობა გაცილებით მნიშვნელოვანია.

ნაცვლად ამისა, სუბელიანმა მოღვაწეობა ჩვეულ რიტმში განაგრძო, თუმცა 2011 წლის დადგომისთანავე მისი შესაძლო გადაყენების თაობაზე ინფორმაცია კვლავ გავრცელდა. ჯერჯერობით, იგი არც უცხოეთში გაუშვიათ „სასწავლებლად“ და არც სამთავრობო კარუსელში ჩაურთავთ, რადგან, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ზაზა გოროზიას მსგავსად, ამ პოსტის შეთავაზებისას წელსაც ბევრს დაუვლის ჟრუანტელი.

**ლევან სულაშვილი**

## მოკლედ

### გაეროს ახალი პრიორიტეტები

**გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა გენერალური ასამბლეის 65-ე სესიაზე 2011 წლის პრიორიტეტები დაასახელა. მთავარ პრიორიტეტებში ახალი თითქმის არაფერია.** გაეროს საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, პირველ ადგილზე მყარი განვითარებაა, შემდეგ მოდის კლიმატის ცვალებადობა, შედარებით უსაფრთხო მსოფლიოს შექმნა, პლანეტაზე ჰუმანიტარული კრიზისების გადაწყვეტა, ადამიანის უფლებების დაცვა, განიარაღება, ქალთა უფლებების გაფართოება და ორგანიზაციის განმტკიცება. უსაფრთხო მსოფლიოზე საუბრისას გაეროს გენმდივანმა ყურადღება გაამახვილა ახლო აღმოსავლეთში, კოტ-დივუარში, ერაყში, ავღანეთში, სომალში, ნეპალსა და სუდანში არსებულ პრობლემებზე.

### ბრიტანელი დეპუტატები ამხილეს

**საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაში ეჭვმიტანილმა დეპუტატმა ანალოგიურ მაქინაციებში მონაწილე თავისი კოლეგების ვინაობა სამართალდამცავ ორგანოებს გაუმხილა.** ეჭვმიტანილის მიერ ჩამოთვლილ სავარაუდო დამნაშავეთა შორის ორი ყოფილი მინისტრია, ორი — ლეიბორისტი, ორი — კონსერვატიული პარტიის წევრი. სამართალდამცავთა ინფორმატორმა განაცხადა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი ადამიანები სწორედ ისევე იქცევიან, როგორც ის და კოლეგებისგან მხოლოდ მისი გამოყოფა გამოძიების მხრიდან არასამართლიანი ქმედება იყო. ბრიტანეთის პარლამენტარები თანხების არამიზნობრივად ხარჯვის სკანდალში პირველად არ გახვეულან. 2009 წლის მაისში ანალოგიურ დანაშაულზე ეჭვის გამო პოლიციამ პარლამენტისა და ლორდთა პალატის 14 წევრის საქმე შეისწავლა.

### პირველი ერთობლივი სხდომა

**20 იანვარს სტამბოლში რუსეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების — სერგეი ლავროვისა და ახმედ დავუთოღლუს თავმჯდომარეობით სტრატეგიული დაგეგმარების ერთობლივი ჯგუფის პირველი სხდომა გაიმართება.** სხდომაზე აღნიშნული ახალი მექანიზმის მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს განიხილავენ. ამასთან, ორმხრივი და საერთაშორისო დღის წესრიგის საკითხების ფართო სპექტრთან დაკავშირებით აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხდება. საუბარი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ევროპის უსაფრთხოების პრობლემატიკა, ახლო აღმოსავლეთის პრობლემების დარეგულირების ირგვლივ შექმნილი ამჟამინდელი სიტუაცია, ასევე ბალკანეთის, ამიერკავკასიისა და მსოფლიოს რიგი სხვა რეგიონების მდგომარეობა.

### კრემლის ბანერის საქმეს იძიებენ

**ვლადივოსტოკის პროკურატურამ ქალაქის ერთ-ერთი პროვაიდერის ანიმაციურ ბანერში ექსტრემიზმის ნიშნების შემოწმება დაიწყო.** შემოწმებაში ჩართულია რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის რეგიონალური განყოფილებაც. შემოწმების ობიექტად ქცეულ ბანერზე დაკლიკებისას საიტის მომხმარებლებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ვირტუალურად ესროლათ კრემლისა და კრემლის კედლის მიღმა მდგარი იმ ფიგურისათვის, რომელიც რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს ჰგავდა. 14 იანვარს საიტის ადმინისტრაციას ბანერის მოხსნა მოუხდა, ახლა კი პროვაიდერის დირექტორი ანდრეი პატრიკეევი ირწმუნება, რომ ბანერზე ყველა ფიგურა ანიმაციური გამონაგონი და შემთხვევითობაა. მისივე თქმით, ბანერზე გამოსახული ზღვა მიანიშნებს, რომ ეს მოსკოვი არაა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ არ დაფრინავენ ბეჰემოთები, ანუ «ნაცების» ბოცას მორგებული კიდევ ერთი საცობი

**ხელისუფლების მეხოტბე პაიკი პოლიტიკოსების რაოდენობა პიკს აღწევს, თუმცა განსაკუთრებით უფუნქციო ცნობილ სახედ ნუგზარ წიკლაური მიიჩნევა. მისი ენთუზიაზმი და განცხადებები ხალხისთვის გამაღიზიანებელი მერკანტილიზმია. სააკაშვილისადმი წიკლაურის მონური მორჩილება რეკორდულ სიმაღლეებს იპყრობს ...**

## ნუგზარ წიკლაურის მორიგი აღმასვლა ზვიადისტობიდან კომპრადორობამდე



ნუგზარ წიკლაური, ზვიად გამსახურდიას თავგამოდებულ მომხრედ ცნობილი ადამიანი, რომელიც 1990-იან წლებში იმჟამინდელ საქართველოს ხელისუფლებას ჩეჩნეთში თან ახლდა, დღეს შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირელების პარტიის სიით ხელისუფლებაში მოსული „ნაციონალი" „ჩინოვნიკია". 1996-1997 წლებში კორესპონდენტობდა „ზვიადისტურ" გაზეთ „თავისუფალ საქართველოში". 2001-2006 წლებში გამომცემლობა „ლიტერას" გამგეობის თავმჯდომარედ მოგვევლინა, ხოლო 2006 წლიდან 2008 წლამდე თსუ-ის გამომცემლობას დირექტორობდა. სულ ესაა მისი „მიღწევები", ვიდრე კარიერის გამო პოლიტიკური შეხედულებებისა და პოზიციების პინგ-პონგის ბურთივით გამოცვლა არ „დაამუღამა".

**როცა დასავლეთის პოლიტიკური ძალებისგან ინიცირებული, ჯორჯ სოროსის უშუალო ფინანსური თანამონაწილეობითა და აშშ-ის ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტის იდეოლოგიური პატრონაჟით „ვარდების რევოლუცია" მზადდებოდა, აქტივისტის კვალობაზე, ნუგზარ წიკლაური ამ პროცესების აქტიური თანამგზავრი გახლდათ. ქამელეონ აქტივისტს ის კი „დაავიწყდა", რომ გამსახურდიას იდეოლოგია, საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ერთ დროს მისთვის ამოსავალი წერტილი იყო, რაც საქართველოსთვის სოროსისა და დასავლეთის პირობებში ნამდვილად პარანოიაა.**

როგორც ირკვევა, წიკლაური ნაციონალების შეკრულ გუნდში სრულიად შემთხვევით მოხვდა. „ვარდების რევოლუციამდე" რამდენიმე დღით ადრე, როცა მომავალი ჩინოვნიკები მიტინგების შემდეგ, რესტორნებში შინაურულად იკრიბებოდნენ და მთავრობის „გადატრიალების" სადღეგრძელოებს სვამდნენ, სწორედ ამ დროს **ეს ჩვენი უბრალო აქტივისტი წიკლაური, რომელიც სუფრაზე არსაიდან აღმოჩნდა, ამჟამად მოქმედ სამთავრობო პირებს პირადად ეცნობოდა. როგორც ჩანს, ერთხელ, შემთხვევით „სასტავში გაჩითვის" შემდეგ, ურთიერთობების გაღრმავებას უკვე საკუთარი ძალებით შეეცადა.** მოტივი, რა თქმა უნდა, არა მათთან მიტინგების შემდეგ ჭიქების ჭახუნი, არამედ პირადი კარიერის აწყობა იყო.

იგი თავიდან ნიკა რურუასთან ერთად „მოძრაობდა" ნაციონალურად, ხოლო 2008 წლიდან უკვე „ნაციონალური მოძრაობის" სიით გასულ პარლამენტის წევრად მოგვევლინა. Mმიუხედავად ამისა, მისი ფუნქცია და წონა, არც თავად ნაციონალებისთვის აღმოჩნდა ღირებული და არც ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის. როგორც ირკვევა, **ოპოზიციის დიდი ნაწილი მას პიროვნულად საერთოდ არ იცნობს, ნაწილს კი მასზე საუბარი იმ ელემენტარული მიზეზით არ უღირს, რომ ცარიელ ფიტულად აღიქვამენ.**

**თუ კარგად დავაკვირდებით ნაციონალების ფუნქციურ დაყოფას, წიკლაურის როლი მმართველ პარტიაში მართლაც მინიმალურია. მათ პირველ ჯგუფს ინტელექტუალები წარმოადგენენ, რომელშიც წონიანი ჩინოვნიკები და თავისუფლების ინსტიტუტი ერთიანდება, მეორე ჯგუფში ტელევიზიების ლობისტები და არჩევნების გამყალბებელი, შავი საქმის შემსრულებლები არიან, ხოლო მესამე ჯგუფი, ისეთი პაიკი პოლიტიკოსებისგან ჰყავთ დაკომპლექტებული, რომლებიც თავიანთ საქმეში შეუცვლელები ვერასოდეს გახდებიან და უბრალოდ ხელისუფლების ზღვარგადასული პიარი ევალებათ.** აქვე წიკლაურის ფუნქციებსაც თუ გადავავლებთ თვალს, მისი ერთადერთი მოვალეობა სააკაშვილისა და მისი რეჟიმის „გაპრავებაა". ხელისუფლების ნებისმიერ ნაბიჯს და გადაწყვეტილებას თავგამოდებით იცავს. ერთის მხრივ, მასაც შეიძლება კაცმა „გაუგოს", გამსახურდიას პერიოდიდან მოყოლებული ხან ერთ მთავრობას მიეტმასნა, ხან მეორეს, ბოლოს და ბოლოს, მასაც ხომ უნდა თუნდაც მცირედი საზღაური გაწეული „ღვაწლისთვის".

### ამ მუდამ უპოზიციო «გაპოზიციონერებულს» ჰგონია, რომ საზოგადოებას მართლა «დააგროიმებს» თავისი ვარდისფერი სათვალით

ავტორიტეტი და მნიშვნელოვანი ფიგურა იგი არც გამსახურდიას იდეოლოგიის მატარებელი საზოგადოებისთვის ყოფილა. როგორც 1992 წლიდან საქართველოდან დევნილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი წიკლაურის შესახებ ამბობს: **„ნუგზარ წიკლაური (ეკა ხერხეულიძის მსგავსად) ეროვნულ მოძრაობას მიკედლებული ერთ-ერთი პოლიტიკური აქტივისტი იყო და არ მახსენდება, ლეგიტიმური ხელისუფლების რომელიმე შტოს წარმომადგენელი ან ჩინოვნიკი ყოფილიყო...**

**სამწუხაროდ, ეროვნულ მოძრაობასთან და ეროვნულ ხელისუფლებასთან „გაკარებულ" მაგათ მსგავს პირებს არ აქვთ სწორად გაგებული არც პირადად ზვიად გამსახურდიას და არც ზოგადად ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების იდეოლოგია და მიზნები. წიკლაურსა და მისნაირებს ჰგონიათ, რომ მთავარი იყო „რუსეთთან ომი", „შევარდნაძესთან ბრძოლა", ფორმალური „დამოუკიდებლობა" და საქართველოს ტერიტორიის (და არა ერის) „აყვავება-განვითარება", თავქუდმოგლეჯილი პროდასავლურობა. ანუ ფრიად პრიმიტივისტული შეხედულებები აქვთ ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული ხელისუფლების იდეოლოგიასა და მიზნებზე (როგორც ბევრ სხვას). აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ წიკლაურიც ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორული ძალების ორგანულ შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. მტკიცედ დადგა ბარაბას გზაზე",** — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ბესარიონ გუგუშვილმა.

აქვე საინტერესოა, „ზვიადისტი" წიკლაურის ზოგადი პრინციპები და მისი კერპი სააკაშვილისადმი „მიმტევებლობა" — თუკი ადრე, წიკლაურის „ზვიადისტური" აზრით, გოგა ხაინდრავა საქართველოს დამაქცევარი და ერთ-ერთი მთავარი პუტჩისტი იყო, იგი მის მიერ გაკერპებულმა სააკაშვილმა თავის დროზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრად დანიშნა. **და თუ დღეს ხაინდრავა წიკლაურისთვის ოპონენტად ითვლება, საბაბი ისაა, რომ ხაინდრავა სააკაშვილის გუნდის წევრი აღარაა, და არა ის, რომ ზვიადის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო.**

სხვა შემთხვევაში, წიკლაური სააკაშილის თითოეული ნაბიჯის გამართლებას არ ეცდებოდა, რომლის გუნდის ძირითადი ბირთვი სწორედ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირზე" დაიმყნო.

როგორც ჩანს, წიკლაურისთვის პრესისა და მედიის ყურადღება იმდენად აზარტული აღმოჩნდა, მათ წინაშე საკუთარი მლიქვნელობის დამალვას არც კი ცდილობს. სააკაშვილის იდეოლოგიაზე ისეთ განცხადებებს აკეთებს, თითქოს რომელიმე იდეოლოგიის ერთგული და რეალური მატარებელი ოდესმე ყოფილიყო. **„ეს არის მოდერნიზაციის, ქვეყნის ტრანსფორმაციისა და ცივილიზებულ სამყაროსთან ინტეგრაციის კურსი. ასევე, ესაა შეურიგებლობა იმ ვითარებასთან, რომელიც არის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილი, როგორც ყველაზე დინამიკური ფიგურა, 2013 წლის შემდეგაც მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ როლს ითამაშებს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში",** — ასე აფასებს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსსა და იდეოლოგიას მომთაბარე წიკლაური.

როცა გადაცემა „პროფესია ჟურნალისტში" ის ხელისუფლების ერთ-ერთ ასეთ მაპიარებელ დავალებას თავმომწონედ ასრულებდა, განაცხადა: **„ქუჩაში რომ მანქანა გაგიჩერდეს ან საბურავი დაგეშვას, მოვა პატრული და გკითხავს — ძმობილო, რით შემიძლია დაგეხმაროო".** მართალია, წიკალაურს გამსახურდია და მისი იდეოლოგია, სოროსის გულუხვობამ და ნაციონალების დავალებებმა გადაავიწყა, მაგრამ ქართული მეტყველება მაინც რამ დაავიწყა სპეციალობით ფილოლოგს?! ესეც არ იყოს, **ამ მუდამ უპოზიციო „გაპოზიციონერებულს" ჰგონია, რომ საზოგადოებას მართლა „დააგოიმებს" თავისი ვარდისფერი სათვალით?!**

ნუგზარ წიკლაურზე წინა თაობებისგან მონაყოლი კომუნისტობისდროინდელი ანეკდოტი გამახსენდა: **რაიკომის მეორე მდივანს ჰკითხეს — ბეჰემოტები მართლა დაფრინავენო? — რას ამბობ, გადაირიეო? — აბა, პირველმა მდივანმა რომ თქვაო? — ნუ, კი... კი დაფრინავენ, მაგრამ მთლად მაღლა ვერ ადიანო.** წიკლაურსაც მეორე მდივნის როლი ერგო, თუმცა მისმა თავგამოდებამ ანეკდოტის გმირსაც კი გადაუსწრო.

ფაქტია, რომ წიკლაური დღეს ბოლშევიზმის პრიმიტიული გადმონაშთია. საინტერესოა, კიდევ რამდენ ახალმოსულ მთავრობას შეაფარებს თავს ან რამდენ ახალ იდეოლოგიას აიტაცებს „ყოვლისმომცველი" წიკლაური. **სწორედ ასეთებზეა ნათქვამი „პრობკასავით ყველა ბოთლს ერგებაო".**

**ეკა რობაქიძე**

## მოკლედ

### ჰაიტიზე დიქტატორი დაბრუნდა

**გაძევების შემდეგ 25 წლის მანძილზე საფრანგეთში მცხოვრები ყოფილი დიქტატორი ჟან-კლოდ დიუვალიე ჰაიტიზე დაბრუნდა. 59 წლის პოლიტიკოსი იქ მეუღლესთან ერთად ჩაფრინდა.** ყოფილ დიქტატორს აეროპორტში მისი ყოფილი მთავრობის რამდენიმე მინისტრი და ათიოდე მომხრე დახვდა. დიუვალიემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამშობლოში „დასახმარებლად" დაბრუნდა. იგი ჰაიტიზე მას შემდეგ ჩავიდა, რაც ცნობილი გახდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური აღარ ჩატარდება, რადგან ქვეყნის საარჩევნო კომიტეტში 2010 წლის ნოემბერში ჩატარებული არჩევნების შემდეგ ამ დრომდეც ვერაფრით დაიანგარიშეს პირველი ტურის შედეგები. დიუვალიემ ჰაიტის მეთაურის პოსტი მამისგან მემკვიდრეობით 1971 წელს მიიღო.

### აშშ-მა სირიისთვის ელჩი გაიმეტა

**სირიაში 2005 წლის შემდეგ პირველად აშშ-ის ელჩი ჩავიდა. რობერტ ფორდი აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დამასკოში ელჩად 2010 წლის 29 დეკემბერს დაამტკიცა. დანიშვნა სენატის გვერდის ავლით მოხდა.** პრეზიდენტს უფლება აქვს, საპარლამენტო არდადეგებისას მსგავსი დანიშვნების შესახებ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღოს. ობამამ ფორდის სასარგებლოდ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2010 წლის თებერვალში მიიღო, მაგრამ რესპუბლიკელები ამ კანდიდატურას არ ეთანხმებოდნენ და ამიტომ პრეზიდენტს სენატში სასურველი შედეგის მიღება არ შეეძლო. სირიაში აშშ-ის უკანასკნელი ელჩი მარგარეტ სკობი დამასკოდან ლიბანის პრემიერ-მინისტრის — რაფიკ ჰარირის მკვლელობის შემდეგ გაიწვიეს. ერთ-ერთი ვერსიით, ამ მკვლელობის უკან იდგა მოძრაობა „ჰეზბოლა", რომელსაც სირია უჭერს მხარს.

### ირანის ცენტრიფუგები ისრაელმა დააზიანა

**კომპიუტერული ვირუსი „Stuxnet"-ი, რომელმაც შარშან ირანის ბირთვული ობიექტები დააზიანა, დიმონში მდებარე ისრაელის საიდუმლო ბირთვული ობიექტის მიერ ჩატარებული გამოცდა იყო.** როგორც ცნობილი გახდა, დიმონში, სადაც, სავარაუდოდ, ისრაელები თავიანთი ბირთვული არსენალის შიგთავსს ამზადებენ, აშენდა ცენტრიფუგები, რომლებიც, პრაქტიკულად, ირანის ცენტრიფუგების იდენტურია. ამ ცენტრიფუგებზე ამერიკელებმა და ისრაელებმა ერთობლივად გამოსცადეს ვირუსი. ოპერაციის მიზანი იყო, არ დაეშვათ ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნა. იმის შესახებ, რომ ვირუსმა ირანის ბირთვული ობიექტები მართლაც დააზიანა, 2010 წლის სექტემბერში გახდა ცნობილი. მან ურანის ცენტრიფუგების ძრავი დააზიანა.

### აშშ-ის ვალი 14 ტრილიონია

**აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის ვალმა 14 ტრილიონ დოლარს მიაღწია. ახლა თითეული ამერიკელის პირადი ვალი მარტივი გადანაწილებით 45 ათას დოლარს შეადგენს.** 2010 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი 14,3 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა. ახლა კონგრესი იძულებულია, ზედა ზღვარი კიდევ ერთხელ გაზარდოს და საამისოდ სპეციალური კანონი მიიღოს ან მკვეთრად შეამციროს დანახარჯები. ცოტა ხნის წინათ აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა რობერტ გაიტნერმა განაცხადა, რომ ადრე დაწესებულ ზღვარს სახელმწიფო ვალი 2011 წლის 31 მარტისთვის მიაღწევს. მინისტრი ზღვარის გადაწევას მოითხოვდა და ირწმუნებოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკას კატასტროფა ელის.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სოროსი-ზუგდიდი-თბილისი, ანუ გამერებული ყარაულის იღბლიანი რეისი

**თბილისის მერი გიგი უგულავა საზოგადოებას ჯერ კიდევ მოძრაობა „კმარადან“ ახსოვს. გავრცელებული ინფორმაციით, იგი სოროსის ფონდის ოფისის შენობის დარაჯი გახლდათ და იქედან გაიკვალა გზა პოლიტიკაში. ახალგაზრდობაში უგულავა სტიქაროსანი იყო; რელიგიის ისტორიასაც ასწავლიდა სკოლაში, თუმცა ამას მასზე კვალი აშკარად არ დაუტოვებია. სოროსის ფონდთან დაახლოებამდე იგი ჟურნალისტიკითაც იყო დაკავებული, მაგრამ მისი წარმატებები მაინც ორგანიზაცია „კმარას“ უკავშირდება. რევოლუციის შემდეგ მან უშიშროების მინისტრის მოადგილეობას გამოჰკრა ხელი, მაგრამ მას შემდეგ, რაც უშიშროების სამინისტროში მისმა მიყვანილმა კადრებმა ლამის შეთქმულებები მოაწყვეს მერაბიშვილის მარჯვენა ხელის, ამჟამად მისი მოადგილე შალვა ჯანაშვილის წინააღმდეგ, სააკაშვილმა უგულავას ზუგდიდში უკრა თავი და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დანიშნა.**

**ზუგდიდიდან უგულავა ჯერ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დაგვიბრუნდა, შემდეგ კი თბილისის მერის სავარძელში ჩაესვენა და დღემდე ამ პოსტს ინარჩუნებს.**




## გიგი უგულავამ დეკლარაციიდან არათუ ქონება, ოჯახის წევრებიც კი ამოიღო

თბილისის მოქმედი მერის დეკლარაციაში რომ ჩავიხედოთ, შესაძლოა, ცრემლი მოგვადგეს თვალზე, რადგან ბოლო დეკლარაციიდან უგულავამ, არათუ უძრავი ქონება, ოჯახის წევრებიც კი ამოიღო. მისი დეკლარაცია მხოლოდ თანხის — 20185 ლარით, და წლის განმავლობაში აღებული ხელფასით — 93456 ლარით შემოიფარგლება. 2006 წელს კი უგულავა დეკლარაციაში პირველ მეუღლეს, მშობლებს, ძმას, ძმისშვილსა და რძალსაც კი უთითებდა და დეტალურად აღწერდა მათ შემოსავლებს.

ყველაზე სამარცხვინოდ უგულავას დეკლარაციაში ოჯახის წევრთა ჩამონათვალთან საკუთარი სახელისა და გვარის გასწრივ მინაწერი: „თვითონ“ გამოიყურება. თუმცა მისი განათლების დაბალი დონე კარიერულ წინსვლაში ხელს სულაც არ უშლის. მეტიც, ხელისუფლების სათავეში მოქცეულს ამბიციები გაუმძაფრდა. **ძნელი სათქმელია მისი მეუღლის — ლელა კილაძის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადამისამართება უგულავას დამსახურებაა თუ პირიქით, უგულავას კარიერაზე დადებით გავლენას კილაძის პრეზიდენთან ურთიერთობა ახდენს. მაგრამ ცნობილია, რომ მანამდე უგულავას მეუღლე ლელა კილაძე, თბილისის მერიის აპარატის უფროსის მოადგილე იყო.** მაშინ უგულავამ კილაძესა და პარლამენტის დეპუტატ გიორგი მელაძეს სარეზერვო ფონდიდან 9277 ლარიც კი გამოუყო.Eეს მოკლედ თბილისის მერის ოფიციალური ინფორმაციის შესახებ მის ქონებრივ მდგომარეობასა და ბიოგრაფიაზე, ვრცლად კი **უგულავას მოღვაწეობის შეფასება კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ ლაშა ჩხარტიშვილს ვთხოვეთ:**

— უგულავა არის სააკაშვილის მიერ დანიშნული ქალაქის მოურავი, რომელმაც მერის პოსტი ფორმალურად მოიპოვა არჩევნების ტოტალური გაყალბების და ამომრჩევლებზე ზეწოლის შედეგად. უგულავამ როგორც პირველი, ასევე მეორე ვადის განმავლობაში იმდენი დანაშაული ჩაიდინა, რომ თამამად შეიძლება ვუწოდოთ ჯალალედინის, აღა-მაჰმად-ხანისა და თბილისის სხვა ამაოხრებლების ახალი რეინკარნაცია, რადგან თავის სულიერ წინაპრებზე ნაკლები ზიანი ნამდვილად არ მიუყენებია თბილისის იერსახის, არქიტექტურისა და ბაღ-პარკებისთვის. უგულავას ხელდასმით დაინგრა რამდენიმე ისტორიული ძეგლი, მათ შორის იმელის შენობა; იწყება „ზარია ვოსტოკას“ ისტორიული შენობის ნგრევა... უგულავას ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით მოხდა ე. წ. „2009 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი“, როდესაც, მერის წარდგინებით, თბილისის საკრებულომ დედაქალაქში არსებულ 49 პარკს რეკრეაციული ზონის სტატუსი მოუსხნა და, შესაბამისად, გაწირა ისინი ნგრევისა და გაჩეხ-

# კუდის რისხვას გადარჩენილ ბარამიას ტრამვაის მეისრე მალაშხიათი ჩაანაცვლებენ

**აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, გიორგი ბარამიას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია არაერთხელ გავრცელდა. იგი პრეზიდენტმა ამ პოსტზე 2009 წლის ივნისში დანიშნა. გიორგი ბარამიას, რომელიც მანამდე საბერძნეთში საქართველოს კონსული გახლდათ, მისი ყოფილი თანამშრომელი აფხაზეთის მთავრობის ფუნქციის მოშლაში, ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვასა და კანონდარღვევებში ადანაშაულებს.**

**აფხაზეთის ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა დალილა ხორავამ ბარამიას მიერ ხელმოწერილი გათავისუფლების ბრძანება და პრეზიდენტის მიერ გამოგზავნილი ღირსების ორდენი ერთ დღეს მიიღო. ჯერჯერობით ბარამია თანამდებობას ინარჩუნებს, თუმცა ამბობენ, რომ ძვირადღირებული მივლინება და საქართველოს მოსახლეობისთვის მიმართვა, რომელიც მან ლევილში, ნოე ჟორდანიას საფლავთან გააკეთა, მისი ბოლო გასეირნება იყო პარიზში.**

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის წევრ შოთა მალაშხიათი ჩაანაცვლებენ.

აფხაზეთის საკითხებში ძალად ექსპერტ მალაშხიასთან სააკაშვილი ვალშია. მან რევოლუციამდე, საპარლამენტო არჩევნების დროს, რევოლუციურ ლიდერებს, რომლებსაც იუსტიციის სამინისტრომ პარტია არ დაურეგისტრირა, საკუთარი პარტია ათხოვა. ამიტომაც თურმე რეინტეგრაციის მინისტრობაც სურდა, მაგრამ მაშინ იაკობაშვილის დასაქმება უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის.



## დალილა ხორავა: გიორგი ბარამიას აპარატის უფროსად და მოადგილედ სიძეები ჰყავს დანიშნული, მისი ცოლი, რძალი და ძმაც აფხაზეთის მთავრობაში მუშაობენ

შოთა მალაშხია ექიმი-ნევროპათოლოგი გახლავთ. მან შრომითი საქმიანობა 26 კომისრის რაიონის სახლმმართველობის სამშენებლო-სარემონტოს მუშიდან დაიწყო, შემდეგ თბილისის №132 ტექნიკური სასწავლებელში „სამედიცინო ხელსაწყოთა მე-3 თანრიგის ელექტრომექანიკოსის“ სპეციალობას დაეუფლა და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მე-3 თანრიგის ელექტრომონტიორი გახდა, შემდეგ კი — ტრამვაის №1 დეპოს მეისრე. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მალაშხია ჯერ ექიმ-ლაბორანტად, შემდეგ კი ექიმ-ნევროლოგად მუშაობდა. 2004 წლიდან საქართველოს პარლამენტის წევრია და ახლა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეობას ელოდება. რადგან, როგორც ამბობენ, **ბარამიას სააკაშვილი აღარ სწყალობს. გავრცელებული ინფორმაციით, მის დაკავებას ცოტა ხნის წინათ კუდის თანამშრომლები პირდაპირ კაბინეტში აპირებდნენ, მაგრამ ბარამიამ ერთი ზარი ითხოვა, რომელსაც მისი გადარჩენა მოუხერხებია;** ოღონდ ამბობენ, რომ — დროებით, ვინაიდან ახლა მის საქმიანობას კონტროლის პალატა სწავლობს.

**რა შედეგები დაიდება კონტროლის პალატის მიერ, ალბათ, მალე გახდება ცნობილი. მანამდე კი იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე თავის საქმიანობას, „საქართველო და მსოფლიოს“ აფხაზეთის მთავრობის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი დალილა ხორავა ესაუბრება:**

— ქალბატონო დალილა, არსებობს ინფორმაცია, რომ გიორგი ბარამიას თანამდებობიდან გათავისუფლება იგეგმება, ვინაიდან მის უწყებაში კონტროლის პალატამ დარღვევები აღმოაჩინა. თუ გსმენიათ ამის შესახებ?

— ბარამიას გათავისუფლება ნამდვილად სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან, რაც უფრო მალე მოაშორებენ ამ პიროვნებას და მისნაირებს ხალხის სამსახურს, კარგი იქნება.

**— რატომ? კონკრეტულად რაში ადანაშაულებთ?**

— ბარამიას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ►

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვისთვის, რათა უგულავასა და მისი კლანის ბიზნესინტერესები დაეკმაყოფილებინა.

**— რა ბიზნესინტერესებს გულისხმობთ, კონკრეტულად რა მოტივით ნადგურდება თბილისში ასეთი ბაღ-პარკები?**

— ქალაქში მასიურად იჩეხებოდა და იჩეხება ბაღ-პარკები სამი ძირითადი მოტივით. ეს არის უკანონო მშენებლობები და წინასაარჩევნო პიარი სხვადასხვა გაუაზრებელი პროექტების განხორციელებით. ამის ნათელი მაგალითია „მზიურის“ მასიური გაჩეხვა და გზის გაკეთება, რომლის დატვირთვა ძალიან დაბალია; მან ვერ მოხსნა გადატვირთულობის პრობლემა და თბილისს დიდი ზიანი მიაყენა.Mმაგრამ პროექტი განხორციელდა იმისთვის, რომ, ერთის მხრივ, პიარი გაეკეთებინა უგულავას და მეორეს მხრივ, ამ მშენებლობისთვის გამოყოფილი ფული მიეთვისებინათ.

ასევე ხელისუფლებას აქვს ინტერესი და ახორციელებს კიდეც ამ გეგმას, რომ „მზიურის“ ტრასის გაყვანის საშუალებით აითვისონ მისი მიმდებარე მიწები. ეს უკვე დაწყებულია და ერთ-ერთი პირველი ნაგებობა, რომელიც აშენდა „მზიურის“ ტერიტორიაზე, იყო პოლიციის შენობა. უფრო მეტიც, **თუკი სადმე შენდება ადმინისტრაციული შენობა, ეს, ძირითადად, — ბაღ-პარკების ტერიტორიაზე. ამის მაგალითია ვაკე-საბურთალოს გამგეობის, დიღომში აშენებული გამგეობის, მზიურის ტერიტორიაზე, ასევე, სანზონის ტერიტორიაზე პოლიციის ახალი შენობები.**

ერთ-ერთი უმთავრესი ბრალდება უგულავას წინააღმდეგ, ეს არის საკუთარი მოსახლეობის ეკოციდი, ანუ გენოციდი, განხორციელებული ეკოლოგიური გარემოს განადგურების გზით, რისი ამოსავალი წერტილიც იყო ფული, იმიტომ, რომ **უგულავას მთავარი ამოცანა იყო არა ქალაქის გამწვანება, არამედ საააკაშვილთან ერთად საკუთარი ჯიბის „გამწვანება“ მწვანე ფერის ვალუტით. ამგვარი მიდგომის შედეგია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში თბილისში სამჯერ მოიმატა სიმსივნური დაავადებებით ავადობის მაჩვენებელმა. გიგი უგულავას თამამად შეიძლება დაერქვას თბილისის კიბო.**

**გიგი უგულავა შეიძლება გამოვაცხადოთ ერთ-ერთ უმსხვილეს ოლიგარქად. მის საქმიანობაში აშკარად გამოსჭვივის მიზანი, მოახდინოს ლობირება ან საკუთარი კომპანიების, რომლებიც ოფშორულ ზონებში აქვს გაფორმებული საკუთარი ნათესავების გვარებზე და ამის სანაცვლოდ მოუსპოს ადამიანებს პატიოსანი შრომით, საკუთარი ოჯახების რჩენის საშუალება.** ამის გამოხატულება იყო გარემოვაჭრეებთან განხორციელებული ქმედება, როცა ათიათასამდე გარემოვაჭრეს აეკრძალა თბილისში ვაჭრობა და მათ მიერ დაკავებული სეგმენტი ვაჭრობის სფეროში დაიკავა ჯიხურების ქსელმა. მათ შორის აღსანიშნავია „კოლხი ჯგუფი“, რომელიც პურს ყიდის. პურის ჯიხურები თბილისში არ მახსოვს, ეს გაკეთდა იმისთვის, რომ პურით გამოვაჭრეების ადგილი დაეკავებინათ და ამით ათასობით გაჭირვებული მოქალაქის ნაცვლად ერთ კომპანიას ეშოვა ფული. უგულავა თანამდებობას იყენებს იმისთვის, რომ იშოვოს დიდი კაპიტალი ბიზნესის სხვადასხვა სფეროებიდან, მეწარმეების განდევნისა და საკუთარი ოლიგარქიული კომპანიების ლობირების გზით.

**— თქვენ საუბრობდით არამიზნობრივ ხარჯებზეც, რომელთაც მერია ახორციელებს.**

— არაერთი ასეთი ფაქტის გახსენება შეიძლება, რომელიც უგულავას მიერ განხორციელდა წინასაარჩევნოდ თუ შემდეგ. საკუთარი მხარდამჭერების დაჯილდოება ფულადი თუ სხვადასხვა მატერიალური საჩუქრებით, საკუთარი ოჯახის წევრების დაფინანსება, ევროპაში სხვადასხვა — სამედიცინო თუ გასართობი — ღონისძიებების ორგანიზებისთვის. **გახსოვთ, ალბათ, უგულავას მოგზაურობა მეუღლესთან ერთად ევროპაში თბილისელების ხარჯზე, მაშინ, როდესაც თბილისში ადამიანების უმრავლესობას ელემენტარული საცხოვრისი არ აქვს და მათთვის ერთი თეთრიც არ იხარჯება.**

ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ უგულავას მიერ საკუთარი ოჯახის წევრის პლასტიკური ოპერაციის დაფინანსება და სხვა უამრავი ფაქტი, როცა თბილისის ბიუჯეტი იხარჯება მერის ოჯახის წევრებსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებზე, და არა მათზე, ვისაც ეს კანონით ეკუთვნის და ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უგულავა არის იმ გეგმის მთავარი აღმასრულებელი, რომელიც გულისხმობს თბილისის დაცლას დევნილებისგან. და, რაც მთავარია, **უგულავას პერსონა, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირისა, შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოში არჩევნების ერთ-ერთი უმთავრესი გამყალბებელი!**

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**


დალილა ხორავა

◀ დევნილების სასიკეთოდ. ჯანდაცვის სამსახურმა 3 წლის განმავლობაში 18 პროგრამა შექმნა და ემსახურებოდა ხალხს, ბარამიამ კი ყველა შეკვეცა და ბიუჯეტის გარეშე დატოვა. თუ ოფიციალურ, სტატისტიკურ მონაცემებს გადახედავთ, ნახავთ, რომ წლის განმავლობაში ჩვენ 37000 ადიამიანს შევუმსუბუქეთ მდგომარეობა — ზოგს გამოკვლევა ჩავუტარეთ, ზოგს პროფილაქტიკური კვლევები ან მშობიარობის თანხა ავუნაზღაურეთ, ძალიან ბევრი გაკეთდა დევნილებისთვის, და ეს ყველაფერი ბარამიამ ერთი ხელის მოსმით მოსპო. **შეიძლება პრიორიტეტები იცვლებოდეს, მაგრამ ადამიანი ხომ რჩება პრიორიტეტად? 2010 წლის ბიუჯეტის გადანაწილება, რომელიც ბარამიამ ჩამოაყალიბა, იყო აბსოლუტურად უსამართლო, არასოციალური და არა ხალხზე ორიენტირებული.** მიმაჩნია, რომ ეს არის დანაშაული. ბარამიას, უკეთეს შემთხვევაში, არ აქვს უნარი, განსაზღვროს პრიორიტეტები, ხოლო უარეს შემთხვევაში — იგი ამას აკეთებს შეგნებულად.

**— რატომ, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს მას?**

— მეც დავსვი ეს საკითხი და ყველა მეუბნება, რომ ჩემი დაპირისპირება ბარამიასთან სამოქალაქო გმირობის ტოლფასი იყო. მე ვკითხე მას, თუ რატომ ამცირებდა ჯანდაცვის თანხებს ხუთჯერ და რატომ ნაწილდებოდა ეს თანხები სხვა უწყებებში, იქ, სადაც რეალურად ხალხი და ტერიტორიები არ ფიგურირებდა, მაგრამ მას პასუხი არ ჰქონდა. ალბათ, ოდესმე კონტროლის პალატა ნახავს, რაც ხდება და ხდებოდა 2009-2010 წლებში აფხაზეთის მთავრობაში.

**— და რატომ იყო სამოქალაქო გმირობა ბარამიასთან დაპირისპირება?**

— ყველა მეუბნება, რომ მას აქვს კრიმინალური წარსული. არ დაგიმალავთ, რომ ჩემს ტელეფონზე იყო გამაფრთხილებელი ზარები, თვალთვალი...

**— გვაქვს ინფორმაცია, რომ ბარამიას მივლინებებში სოლიდური სახსრები იხარჯება, ერთ-ერთი ასეთი ძვირადღირებული მივლინება იყო ლევილში.**

— ბარამიას ვოიაჟები საზღვარგარეთ მე შესწავლილი ამ მაქვს, მაგრამ, **როცა ადამიანი ხუთკაციანი დელეგაციით მიდის ამერიკაში, იმისთვის, რომ კოლეჯის დირექტორს შეხვდეს, უკვე ყველაფერი ნათელია. ასევე, ნათელია, რა თანხა იხარჯება ათკაციანი, ორკვირიანი ვოიაჟებისთვის გერმანიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში.** არც ისაა ცნობილი, რა სიკეთე მოიტანა ამ ვიზიტებმა. სამწუხაროდ, ამას ვერ ხედავენ ის უწყებები, რომლებიც უნდა ხედავდნენ.

**— ნათესავები ჰყავს დასაქმებული ბარამიას?**

— სულ ნათესავები ჰყავს, ოჯახის წევრებისა და ნათესავების მეტს არავის აჩერებს. გიორგი ბარამიას აპარატის უფროსად და მოადგილედ დეიდაშვილების ქმრები — თორია და ფიფია ყავს დანიშნული. საკუთარ უწყებაში დასაქმებული ყავს აგრეთვე ცოლი, რძალი და ძმა, რომელიც აფხაზეთის მთავრობაში მინისტრის პოსტზე მუშაობდა, ახლა კი კუდში გადაიყვანეს და აფხაზეთის საკითხებზეა პასუხისმგებელი.

**„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის გიორგი ბარამიასაც დაუკავშირდა, მაგრამ მან აღნიშნულ საკითხებზე საუბარი არ ისურვა.**

**სოფო გელაშვილი**

# როგორ ვმტრობთ ყოველ ნაბიჯზე ქვეყანას

## ჯერ რუსული, ახლა ინგლისური ენა — საქართველოს სახელმწიფო ენა!



**„მარშრუტკაში“ ორი თინეიჯერი ერთმანეთს ემშვიდობება:**

**— დამიქოლინგე, რა!**

**— ოფკორსუნებიი!**

მძღოლი შუახნის მამაკაცია, აშკარად შემცბარი და გაოგნებული ჩანს, ვერაფერს ხვდება, ჩვენი გაზეთის ამ ნომერს თუ შეიძენს, გასაგებად, მისთვის ნაცნობ ენაზე ავუხსნით. **ამერიკული „დამიქოლინგე“** მისთვის გასაგებ, რუსულ-ქართულ სლენგზე **„დამიზვანოკეა“**, ხოლო **„ოფკორსუნებიი“ — „კანეშნა, ტო“.**

მთლიანობაში კი სლენგის პირველი ნაწილი ქართულად **„გთხოვ, დამირეკე“-დ** ითარგმნება, მეორე კი — **„რა თქმა უნდა“-დ.**

შუახნის მძღოლები იქით იყოს და, ერთ-ერთ ინტერნეტფორუმზე ახალგაზრდა ავტომოყვარულებს დიდი მსჯელობა ჰქონდათ გამართული — რა ჰქვია „პავაროტნიკს“ ქართულად. ზოგი წერდა, რომ — ციმციმა, ზოგი — მოხვევის მანიშნებელიო. ავტოსაგზაო მოძრაობის წესების თეორიაში „პავაროტნიკი“ მოხვევის შუქურა-მაჩვენებელია. **ავტოსახელოსნოში, ანუ „პროფილაქტიკაში“ კი „ჟეშტიანჩიკს“, „ელექტრიკს“, „ხადავიკს“ და „დვერშიკს“ უფრო ადვილად მიაგნებთ, ვიდრე მეთუნუქეს, ელექტრობის ან სავალი ნაწილების შემკეთებელს. იქნებ უკანაც გამოგაბრუნონ, როგორც ერთი ჩემი ნაცნობი: „არა, გენაცვალე, მე ჟეშტიანჩიკი ვარ, მეთუნუქე აქ საერთოდ არ გვყავსო“.**

ჩვენს რეალობაში დამკვიდრებული სლენგების ასეთი სიმრავლე რუსულის ან ჩვენში ესოდენ ასე გაპოპულარებული ინგლისურის ცოდნით განპირობებული არაა. ქართული ენის მესვეურნი ამას მშობლიური ენის მიმართ უპატივცემულობას უწოდებენ.

აღნიშნული საკითხი, რაღა თქმა უნდა, ლოკალური სულაც არ გახლავთ და მხოლოდ ავტომოყვარულებით, მგზავრებით, თინეიჯერებითა და ავტოშემკეთებლებით არ შემოიფარგლება. ჩვენს სინამდვილეში ეს უფრო გლობალური ამბავი უნდა იყოს.

ამ საკითხში ჩვენი კოლეგებიც საკმაოდ ხშირად სცოდავენ (გნებავთ — პრესისა, გნებავთ — ტელევიზიის).

მაგალითისთვის, **რატომ „მუსირებს“** ქართულ ტელესივრცეში ყოველი სიუჟეტის ნაბიჯზე სიტყვა **„მუსირებს“?**

ან რას ნიშნავს სრულიად გაუმართავი და ალოგიკური ფრაზა — **„არც უარყოფს და არც ადასტურებს“?** მხოლოდ ქართულ ტელეარხებზე შეიძლება შეხვდე ავტომანქანის მარკას „ბიემდაბლიუ“, ხოლო რუსეთის პრემიერს ყოველგვარი ღადაობის გარეშე „პუწინი“ უწოდო.

**„მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის“ — წმინდა ილია მართალმა ბრძანა და რა გამოდის? ყოველი ფეხის ნაბიჯზე საკუთარი ქვეყნის „მტერობა“ გვიწევს, რასაც ჩვენს ქვეყანაში მეგობარი ამერიკიდან ინგლისურის მასწავლებლების ჩამოყვანაც მოწმობს.** ესენი ქართველ მოზარდებს ინგლისურ ენას სრულიად უფასოდ შეასწავლიან — უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია, ხოლო ქართული ენის მასწავლებლებს ყველიც ენატრებათ, პურიც და...

ენის მტრობა ქვეყნის მტრობაა, ამის დასამტკიცებლად რუსთაველის გამზირზე ერთი უწყინარი გასეირნებაც საკმარისია. დაწვრილებით არ ჩამოვთვლით იმ მაღაზიებსა თუ კომპანიებს, რომელთაც საკუთარ აბრებზე მხოლოდ ინგლისურენოვანი წარწერები ამშვენებს.

**სამუშაოს მაძებართათვის ასეთ განცხადებას წავაწყდი – მაშველი სჭირდებოდათ, რომელმაც წყალში დასახრჩობად განწირული უნდა გადაარჩინოს. მოთხოვნები შესაბამისი იყო — 100 მეტრის უმოკლეს დროში გაცურვა, სპორტული აღნაგობა, გამოცდილება და... ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა(?!),** ესე იგი, მაშველი ხედავს წყალში მოფართხალე სუბიექტს, რომელსაც წყალი აქვს ბლომად ნაყლაპი, საწყალობლად იქნევს ხელ-ფეხს და ყვირის „ჰელფ, ჰელფ“! ქართველმა მაშველმა, ინგლისური თუ არ იცის, არც ხელს გაანძრევს და ყურსაც არ გააბარტყუნებს, სანაპიროდან ფეხსაც არ მოიცვლის(?!).

ავადსახსენებელმა საბჭოთა მმართველობამ მშობლიურ ენად ლამის რუსული ენა გაგვიხადა. რომ არა ქართველი სტუდენტობის თავგადადებული ძალისხმევა, ასეც მოხდებოდა, მაგრამ გასული საუკუნის სამოციან წლებში ეს ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, მოხერხდება ახლა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ინგლისური ენა ლამის საქართველოს სახელმწიფო ენად გვიქციონ!

**ნანა ლაღაძიშვილი**

## მოკლედ

## ლონდონში მინი-ნატოს ქმნიან

**დიდი ბრიტანეთის, ისლანდიის, შვედეთის, ფინეთის, ნორვეგიის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის პირველი პირები 19-20 იანვარს ლონდონში შეიკრიბებიან და ჩრდილოევროპულ სამიტზე თანამშრომლობის გაღრმავებას, ჩრდილოეთის მინი-ნატოს შექმნის იდეას განიხილავენ.** მოსალოდნელია, რომ მინი-ნატოს შექმნის იდეას სამიტის მონაწილე ქვეყნების ლიდერებს დიდი ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კემერონი შესთავაზებს. ახალი სამხედრო ალიანსის შექმნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება აპრილში, ჰელსინკში დაგეგმილ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე იქნება მიღებული. როგორც ცნობილია, სკანდინავიაში გაერთიანებაზე, დიდი ხანია, ფიქრობენ. United Nordic Federation-ის შექმნის იდეა ცნობილ შვედ ისტორიკოსს, პროფესორ გუნარ ვეტებერგს ეკუთვნის. 2009 წელს მან გამოსცა წიგნი, სადაც ახსნილია, რომ ახალი გაერთიანება, შესაძლოა, შვეიცარიის სკანდინავიური ანალოგი ან სკანდინავიური შეერთებული შტატები გახდეს — ეს იქნება გაერთიანება წევრების ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით, ფედერალურ ორგანოებში სახელმწიფო სუვერენიტეტთა ხაზგასმით, საერთო საგარეო, თავდაცვითი და ეკონომიკური პოლიტიკით. წიგნი ნორდული საბჭოს ოფიციალურ დოკუმენტად აღიარეს — საბჭო რელიგიურ-პოლიტიკური საკონსულტაციო ორგანოა ყველა ნორდული სახელმწიფოსა და კუნძულისთვის.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# სამხედრო ექსპერტი კრწანისის ინციდენტში კაპრალების დაუდევრობას გამორიცხავს

**11 იანვარს კრწანისის სასწავლო ცენტრში წვრთნებისას მოხდა აფეთქება, რასაც სამი სამხედრო ემსხვერპლა, 13 კი — დაიჭრა. დაიღუპნენ 25 წლის რუსთაველი ზურაბ კუცია, რომელსაც რვა თვის ვაჟიშვილი დარჩა; 23 წლის ხაშურელი ემზარ შოშიაშვილი, მას ორი თვის ქალიშვილი ჰყავდა და დავით გოგიჩაიშვილი. სამივე გარდაცვლილი კაპრალია.**





თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, რუსული წარმოების 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის ჭურვის აფეთქების მიზეზი წვრთნის დროს დაშვებული ტექნიკური შეცდომა იყო. სამხედრო პოლიციამ დაიწყო გამოძიება და პირველი შედეგებიც გამოაქვეყნა. **დააკავეს უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლზე პასუხისმგებელი სამი პირი: ეროვნული სასწავლო ცენტრის სასწავლო კურსის უფროსი, საარტილერიო ქვედანაყოფების შეფასებისა და მომზადების კურსის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ტრისტან ტყეშელიაძე, საცეცხლე პოზიციის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი მამუკა ფარეშიშვილი და პირველი საარტილერიო ბრიგადის ბატარეის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი მალხაზ ქობალია.** დაკავებულ პირებს კრწანისის სასწავლო ცენტრში უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლი ევალებოდათ. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 403-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც 6-დან 10-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამით ამოიწურა თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მომხდარ საზარელ ფაქტთან დაკავშირებით. **საზოგადოებაში კი უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დაგროვდა, გამოითქვა უამრავი მოსაზრება, ვარაუდი, მაგრამ აფეთქების რეალური მიზეზი დღემდე უცნობია.**

**მომხდარ საზარელ შემთხვევას თავისებურ ახსნას უძებნის სამხედრო ექსპერტი ზურაბ ხუციშვილი, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა.**

**— ბატონო ზურაბ, თქვენი შეფასებით, რას შეეძლო გამოეწვია 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის ჭურვის აფეთქება?**

— ჩემთვის გაუგებარია, რატომ აფეთქდა ჭურვი. იქიდან გამომდინარე, რომ თავდაცვის სამინისტრო არანაირ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით არ ავრცელებს, მიჭირს, ზუსტი ახსნა მოვუძებნო ამ ტრაგიკულ შემთხვევას. ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად შეიძლება მივიჩნიო ის, რომ ნაღმი წუნიანი იყო. ამან გამოიწვია ნაღმმტყორცნის შიგნით ტროტილის ან ტროტილ-ჰექსოგენის შენადნობის აფეთქება. ამ აფეთქებას კი ვერც ერთი კალიბრის ნაღმმტყორცნი ვერ გაუძლებდა.

## რატომ იღუპებიან მშვიდობიანობის დროს სამხედრო პირები? ეს ყველაზე დიდი დანაშაული და შეცდომაა

**— კაპრალთა დაუდევრობა გამოირიცხება?**

— კიდევ ვიმეორებ, ჩემთვის გაურკვეველია, რაში გამოიხატება კაპრალთა დაუდევრობა. დიდი ფილოსოფია არ უნდა ნაღმმტყორცნის გამოყენებას; ზევიდან ლულაში უნდა ჩაუშვა ჭურვი, წამოეგება ნემსაზე და გაისვრის. მაგალითად, თუ სასროლად დაყენებული იყო ნაღმმტყორცნი და ამ შემთხვევაში ზევიდან დაუწყო ყურება კაპრალმა, მხოლოდ მას მოხვდებოდა სახეში და იმსხვერპლებდა. არც კი აფეთქდებოდა, იმიტომ, რომ ძალიან სუსტი წინაღობა ექნებოდა ადამიანის სახით ამ ნაღმს.

**— და რატომ მოჰყვა ამ აფეთქებას ამხელა მსხვერპლი?**

— წარმოიდგინეთ, რომ ჭურვი თვითონ ნაღმმტყორცნში აფეთქდა, ანუ ჭურვის ნამსხვრევებს დაემატა ნაღმმტყორცნის ფოლადის ნამსხვრევებიც. ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდი წნევა წარმოიშობა. ბოლოს და ბოლოს, მსხვრევად-ფუგასური ნაღმია.

**— დაკავებულია უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლზე პასუხისმგებელი სამი პირი. თქვენი შეფასებით, ხომ არ იკვეთება სხვა პირების ბრალეულობაც?**

— უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელს, რა თქმა უნდა, მოეკითხება ეს საქმე. მაგრამ მარტო მაგათ არ უნდა წაუყენონ ბრალდება. რადგან, ჩემი ვარაუდით, ნაღმი იყო უვარგისი. აუცილებელია, გამოძიება დაიწყოს ასევე იმ კუთხითაც, თუ ვინ, როდის, ვისგან შეისყიდა ეს საბრძოლო მასალა და იყო თუ არა ვადაგასული. უნდა დაიკითხოს შეიარაღების სამსახურის უფროსიც.

**— თავდაცვის სამინისტროს დღევანდელი კარჩაკეტილი პოლიტიკა ხომ არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მსგავსი ტრაგიკული მოვლენა კვლავ განმეორდეს?**

— თუკი ჩვენი მთავრობა აცხადებს, რომ ჩვენ ვდგავართ დემოკრატიული განვითარების გზაზე, მაშინ აუცილებელია, საზოგადოებას მიაწოდოს არა ზედაპირული, არამედ რეალური ფაქტები, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რამდენი იხარჯება სამხედრო სტრუქტურებზე. დღეს კი ამის საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებს თავდაცვის სამინისტრო. რატომ იღუპებიან მშვიდობიანობის დროს სამხედრო პირები? ეს ყველაზე დიდი დანაშაული და შეცდომაა.

ესაუბრა
**ოთარ დალაქიშვილი**

**P.S. სამწუხაროდ, შარშანაც მოხდა სხვა ტრაგიკული ფაქტი შეიარაღებულ ძალებში წვრთნის დროს, რასაც ერთი სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა. მარტში გონიოს პოლიგონზე სპეციალური ოპერაციების ძალების კაპრალი სოსო ჟვანია ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. მაშინ ერთი სამხედრო პირი დააკავეს, მაგრამ რა შედეგით დასრულდა გამოძიება, უცნობია. კიდევ ერთი ტრაგიკული ფაქტი ზაფხულში მოხდა, როცა გორელი კაპრალი ალექსანდრე ასკილაშვილი თანამებრძოლმა არჩილ აზალაძემ ავტომატიდან დაცხრილა.**

# ჯადო — ბიუჯეტის შევსების წყარო

**ჩამოვრჩებით ევროპას. იმერულად თუ მოვუქცევთ, ნამეტნავად ჩამოვრჩებით, მარტო დასავლეთს კი არა, — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსაც; მაგალითად, რუმინეთს, რომელიც ჩაუშესკუს რეჟიმიდან პირდაპირ ევროკავშირში გადახტა.**

ნამეტნავად ჩამოვრჩებით, განსაკუთრებით, ახალი გადასახადების დაწესებისა და მათი ადმინისტრირების საქმეში. კი არის ჩვენი ფინანსთა სამინისტრო ფისკალური ტალანტების პოდიუმი, მაგრამ არც ამათი განათლება, არც ნიჭი, არც გაქანება არა და ვერ წვდება საბაზრო ეკონომიკის უკიდეგანობის უსაზღვრო შესაძლებლობებს, რეზერვსა და რესურსს, რაც ამოღებული გადასახადებიდან ქვეყნის ბიუჯეტს უნდა მოხმარდეს.

მოუვიდა, მაგალითად, ვინმეს აზრად ვარსკვლავთმრიცხველებისა და მჩხიბავების დაბეგვრა პროგრესული მეთოდით?

არა.

რუმინეთში კი სწორედ ასე მოიქცნენ.

**აჯანყდნენ ჯადოქრები! ცხადია, თავისებურად, მათი ორიგინალური პროფესიის შესაფერისად. ცამეტმა რუმინელმა ჯადოქარმა ქვეყნის მინისტრთა კაბინეტი დაწყევლა და ჯადო გაუკეთა: უკუნი ღამით მდინარე დუნაის ნაპირზე არალეგალურად შეიკრიბნენ, ჩაასხეს შხამიანი მანდრაგორას (მცენარეა ძაღლ-ყურძენათა ჯიშიდან) ნახარში, ჩააგდეს მკვდარი ძაღლი და კატის ექსკრემენტები ჩაყარეს.**

**ჯადოსნური კოქტეილი!**

**ჯადოქრები უკმაყოფილონი დარჩნენ იმით, რომ მთავრობამ მკითხავები და ჯადოქრები ინდმეწარმეებს მიაკუთვნა და 16-პროცენტიანი გადასახადი დააკისრა.**

სანამ თავისუფალი პროფესიების ეს ინდმეწარმენი დუნაის პირას სხედან და ელოდებიან, ერთიანად როდის ამოწყდება მათგან დაწყევლილი ბოროტი მთავრობა, ეს უკანასკნელი, ჩვენი ხელისუფლებისა არ იყოს, ახალ და ახალ ღონისძიებებს სახავს ხალხის კიდევ უფრო გასაღატაკებლად. მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ სიღარიბის მოსპობის ყველაზე ეფექტიანი საშუალება საკუთრივ ღარიბების პირწმინდად გაწყვეტაა.

მაგრამ ისტორიას რა ვუყოთ, ანუ იმ ფაქტს, რომ ნიკოლაე ჩაუშესკუმ, რუმინეთის დიქტატორმა ქვეყნის საგარეო ვალები ნულამდე დაიყვანა... ხალხის მასობრივი გაღატაკების ხარჯზე?

რა ტრაგიკული შედეგი მოჰყვა ასეთ „ეკონომიკურ პოლიტიკას“, ცნობილია: სასწრაფოდ და სახელდახელოდ დახვრიტეს ჩაუშესკუების წყვილი.

მტრისას! მაგრამ ვინ გამორიცხავს ასეთ ფინალს?! მით უფრო, მკითხავი ბოშა-ქალები ბუქარესტში თავზესაყრელია. თავად მინახავს. დაწყევლა ამათ იციან, თუ იციან, ჯადოს გაკეთებაც და ათასი სხვა უბედურებაც.

მარტო ეს რომ იყოს!

**რუმინეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, შავი მაგიის მიმდევრების გარდა, დაიბეგრებიან ასტროლოგებიც. აი, ისეთები, როგორიც ჩვენი მიხეილ ცაგარელია. გადასახადები განსხვავებული იქნება — კუროს ერთკვირიანი პერსპექტივა ღრიანკალზე ძვირი დაჯდება, გადასახადსაც აქედან გამომდინარე დაუწესებენ, რადგან ვნებებითაა სავსე. ლომი ცხოველთა მეფეა და გადასახადების ლომის წილი მას დააწვება, მშვილდოსანს რაღაც შეღავათი ექნება: შეიარაღებულია და, გამორიცხული არ არის, თუ გაბრაზდა, ისარი ისეთ ადგილზე გაურჭოს გადასახადების ამკრეფს, სადაც მეტია ხორცი და ნაკლებია ძვალი.**

მერწყული წყალსაც წაუღია!

ევროპისკენ ჩვენი სვლა მრუდე სარკეში ცქერასავითაა, დამახინჯებული, ჩაბჟირებამდე სასაცილო. ამიტომ არც არავის გაუკვირდება, თუ ჩვენი ასტროლოგები ერთ მშვენიერ დღეს, როცა ვერძის თანავარსკვლავედში დიდი დათვის შავი ხვრელის მახლობლად სავსე მთვარე ბუნიობის ჟამს შევა და დაორსულდება თავისუფალი სამყარო ახალი გადასახადით.

მაგრამ ცაგარელი ხმას არ იღებს. ეტყობა, ეეჭვება, რომ ჩვენი საგადასახადო სამსახური ასეთ სარისკო ნაბიჯს გადადგამს.

რატომ სარისკოს?

იმიტომ, რომ **მიხეილ სააკაშვილზე უფრო დიდი ნათელმხილველი და წინასწარმეტყველი ქვეყანას არ ჰყავს, მაშასადამე, მკითხაობაზე გადასახადის დაწესება პირველად მას შეეხება.**

**გაბედე და მიდი ამოსაღებად!**

ეს იმას დაემსგავსება, როცა საბჭოთა პერიოდში საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთმა უკანასკნელმა თავმჯდომარემ პავლე გილაშვილმა, რომელიც მანამდე მოსკოვში, პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პარტორგანიზაციის მდივნად იყო არჩეული, გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს საწევროების გადაუხდელობის გამო საყვედური აჰკიდა.

დღეს ასეთ ცეცხლს არავინ ეთამაშება.

**რუმინელი ჯადოქრების ხელმძღვანელმა ბრატარა ბუზეამ საჯაროდ განაცხადა: „ჩვენ იმათ ვუკეთებთ ცუდს, ვინაც ჩვენ გვვნებს!“.**

ჯადოქრები მიიჩნევენ, რომ ისინი თავიანთი საქმიანობით კაპიკებს იღებენ, პოლიტიკოსები კი ჯერ ფულს იპარავენ, შემდეგ კი მათთან მიდიან და თავიანთ კონკურენტებს ჯადოს უკეთებენ.

რუმინელ პოლიტიკოსებზეა ლაპარაკი, ჩვენები ამას, აბა, როგორ იკადრებენ!

**შავი მაგია, ირწმუნება რუმინეთის პრესა, ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში აქტიურად ფიგურირებს. პრეზიდენტ ბესესკუს მუდამ დაჰყვება პირადი პარაფსიქოლოგი და ნათელმხილველი ალიოდორ მანოელა. თვითონ პრეზიდენტი კი ხშირად შინდისფერი ტანსაცმლით იმოსება, რომელიც ავი თვალისგან იცავს.**

ნაკლებ სავარაუდოა, რომ მიხეილ სააკაშვილის პირადი პარაფსიქოლოგი სოლოლაკელი მარინა იყოს. უფრო სავარაუდოა — ვერონიკა ქობალია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თან დაჰყვება მიხეილს. მეორეც, იმიტომ, რომ მისი ლაპარაკი და წინასწარმეტყველება ისეთივე გაუგებარი და ცრუა, როგორც ნებისმიერი ნათელმხილველის.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. პანურგმა, მხიარულმა ტაკიმასხარამ და ქურდბაცაცამ რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელიდან“, ფულის შოვნის 63 ხერხი იცოდა, რომელთა შორის ყველაზე პატიოსანი ქურდობა იყო.**

**აი, ეს ეშმაკის ფეხი თავდაჯერებით აცხადებდა, რომ მას ჰქონდა ფილოსოფიური ქვა, რომელსაც შეეძლო ფულის ამოძრობა სხვისი ჯიბიდან ისე, როგორც მაგნიტს — რკინისა.**

**ეტყობა, ეს ქვა კონტრაბანდულად შემოიტანეს საქართველოში.**

# სოდომიის ამერიკული თავისებურებანი, ანუ მამათმავლობის ბირთვული ხიბლი

**აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯონ ბაიდენი ჭკვიანი კაცია: რასაც აკეთებს, ყველაფერს თავის სასარგებლოდ აკეთებს. ადგება ახლა ვინმე არამკითხე და იკითხავს: რა სიკეთე და სარგებელი ნახა ამ კაცმა, ამერიკის კონგრესში ერთსქესიანთა შორის ქორწინების დაშვების შესახებ კანონპროექტის შეტანას რომ დაუჭირა მხარი? დიდი სიკეთე! და არა მარტო მომავალ არჩევნებში მხარდამჭერი ელექტორატის რესურსის გაზრდის თვალსაზრისით, არამედ ამერიკისა და პერსონალურად თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხითაც.**

რა საშიშროებას წარმოადგენენ პედერასტები, ლესბოსელები და მასტურბატორები ამერიკისთვის?.. კვლავ იკითხავს მოლიბერალო ურწმუნო თომა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ახლა კი ავიამზიდების შესახებ, რომლებიც აშშ-ის შეიარაღებული ძალების იმდენად პრესტიჟულ ელემენტად ითვლება, რომ ამერიკის პრეზიდენტების სახელებს მხოლოდ ამ საბრძოლო ერთეულებს ანიჭებენ: **„დუაიტ ენზერჰაუერი", „თეოდორ რუზველტი", „აბრაამ ლინკოლნი", „ჯორჯ ვაშინგტონი", „ჰარი ტრუმენი", „რონალდ რეიგანი", „ჯორჯ ბუში"...**

ავიამზიდები მაღალი მანევრირების მქონე უმძლავრესი საბრძოლო ერთეულებია, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვანი საომარი პოტენციალის თავმოყრა მსოფლიო ოკეანის ნებისმიერ წერტილში, საჭიროებისამებრ.

მსოფლიოში მოქმედი სხვადასხვა ქვეყნის 21 ავიამზიდიდან 11 ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტისაა.

მათ შორისაა **ატომური ავიამზიდი „ენტერპრაიზიც". სწორედ ამ ხომალდის კაიუტების ინტიმურ სიმყუდროვეში გადაღებული ავხორცული ორიენტაციაარეულობის კადრებს, მამათმავალთა და ვარდისფერთა ფილმად შეკრული ორგიების ავიამზიდის შიდა ტელექსელით დემონსტრაციას მოჰყვა ის სკანდალი, რომელსაც, პენტაგონის განცხადებით, კაპიტანი ოუენ ონორსი ეწირება.**

ვარაუდობენ, რომ პორნოკადრები 2006-2007 წლებშია გადაღებული, როცა ონორსი კაპიტნის უფროს თანაშემწედ მუშაობდა. პრესა იტყობინება, რომ „ენტერპრაიზზე" გადაღებულ კლიპებში მეზღვაურები ჰომოსექსუალთა „გართობას" წარმოგვიდგენენ; ქალი-მეზღვაურები საშხაპეში იტყლარჭებიან; ვიდეოფირზე მასტურბაციის კადრებიცაა გადაღებული.

**მოკლედ, ისეთი „პორნუხაა", რომლის გამყიდველიც და მყიდველიც, საქართველოში ახლახან მიღებული კანონით, ერთნაირად ისჯება.**

**მაგრამ, უკაცრავად, ეს იმ არმიის ოფიცრები ხომ არ არიან, რომლის ინსტრუქტორებიც ჩვენს ჯარისკაცებს წვრთნიდნენ?!**

**კი, ჩვენს ჯარისკაცებს ამ არმიის ინსტრუქტორები წვრთნიდნენ და წვრთნიან.**

კიდევ უკაცრავად: წვრთნისას, შემთხვევით, ის ინსტრუქტორები **დამხმარე, საჩვენებელ მასალად ასეთ უხამსობას ხომ არ იყენებდნენ?**

**არ ვიცი.**

ამაზე პასუხის გამცემიც არავინ იქნება: ამ „სამხედრო საიდუმლოებას" კი არა, აგერ ჩვენს ცხვირწინ „ინგლისურის მასწავლებელ" ფლეთჩერის მსგავს უბედურებას არა მარტო გადაეფარა ჩვენი განათლების მინისტრი შაშკინი, არამედ ზუგდიდის ერთ-ერთ სკოლაში ბუდედადებულ „პედაგოგს" საკუთარი პერსონით ეწვია და შეუქო საქმიანობა — არ შეშინდე, ბარაშკაჯან!

ადრეც გვილაპარაკია ამაზე.

**შიში მაშინ გენახათ, „ენტერპრაიზის" პედერასტობა რომ აბუნტდებოდა ბაიდენს და მისი პრეზიდენტის ადმინისტრაციას და თავისი ატომურქობინიანი რაკეტები ვაშინგტონსთვის დაემიზნებია. აჯანყდებოდა ხელისუფლებას ისე, როგორც რუსეთის პირველი — 1905 წლის რევოლუციის დროს ჯავშნოსანი „პოტიომკინის" — „Князь Потемкин Таврический"-ს ეკიპაჟი მოიქცა.**

ბაიდენის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი მაინც და მაინც აი ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად იყოო მიმართული, ვერავინ დაიჩემებს.

თუმცა — ჰგავს კი.

დიდ ძალისხმევად დაუჯდა აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციას კონგრესში იმ საკანონმდებლო ინიციატივის გატანა, რომელიც ამერიკის შეერთებულ ძალებში მომსახურე ჰომოსექსუალებსა და ლესბოსელებს შეეხებოდა.

**გაზეთ Virginia Pilot-სა და მასმედიის სხვა საშუალებებში „ენტერპრაიზის" მეზღვაურთა „უწყინარი თამაშების" კადრების გამოქვეყნებამ ამერიკელების აღშფოთება გამოიწვია, იტყობინება ბი-ბი-სის კორესპონდენტი ჯონი დაიმონდი. ისინი აღშფოთდნენ „არა მხოლოდ იმიტომ, რომ მსგავს უხამსობას სამხრეებიანი ადამიანები სჩადიან, არამედ იმიტომ, რომ მათ შემწყნარებლად ეკიდებიან".**



ამერიკელები აღშფოთდნენ „არა მხოლოდ იმიტომ, რომ მსგავს უხამსობას სამხრეებიანი ადამიანები სჩადიან, არამედ იმიტომ, რომ მათ შემწყნარებლად ეკიდებიან"



„ინგლისურის მასწავლებელ" ფლეთჩერის მსგავს უბედურებას არა მარტო გადაეფარა ჩვენი განათლების მინისტრი შაშკინი, არამედ ზუგდიდის ერთ-ერთ სკოლაში ბუდედადებულ „პედაგოგს" საკუთარი პერსონით ეწვია და საქმიანობაც შეუქო

აშშ სამხედრო საზღვაო ძალების წარმომადგენელმა კრის სიმსმა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ **ეს ფილმები „მიუღებელი იყო მაშინ და დღევანდელი ფლოტისთვისაც მიუღებელია". უფროსი თანაშემწეები „ღირსების, სიმამაცისა და საქმის ერთგულების მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ".**

დასძინა, რომ სამხედრო საზღვაო ფლოტის სარდლობამ აღძრა საქმე ამ ფაქტთან დაკავშირებით.

ესე იგი, არ ყოფილა სიმშვიდე მადრიდის სამეფო კარზე. ეს დაახლოებით იგივეა, რაც კორუფციის ახლადგამჟღავნებული ფაქტების დაუსრულებელი რიგი, რომელსაც ლამის ყოველ საღამოს გვაჩვენებენ კორუფციის დამმარცხებელი ქვეყნის ტელეეკრანებზე. უფრო მეტიც, ანტიკორუფციულ ახალ სპეცსამსახურსაც კი ქმნიან პროკურატურაში.

რისთვის?

საბრძოლველად იმ კორუფციასთან, რომელიც „ძირფესვიანად არის აღმოფხვრილი". ჭეშმარიტად — „ლოგიკა არის დარწმუნებით სვლა არასწორი მიმართულებით".

**იანვრის ბოლოს ავიამზიდი „ენტერპრაიზი" ახლო აღმოსავლეთისკენ გაემართება.**

**ფლეთჩერი ზუგდიდში რჩება.**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. არც ამერიკაზე მაქვს გართულება, არც შტატოფობიით ვარ დაავადებული. ამერიკაში ემიგრირებული მწერალი და პუბლიცისტი ნოდარ ჯინჯიხაშვილი წერდა: „ამერიკის შესახებ შეგიძლია თქვა ყველაფერი, რაც გსურს... და ყველაფერი მართალი იქნება, რადგან ამერიკა არაფრით განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოსგან".**

**გაჩუმება ხომ არ აჯობებდა? აკი ნათქვამია, დუმილი მჭევრმეტყველებისა და ზეშთაგონების უმაღლესი ფორმააო!..**

**თუმცა ამ ინფორმაციის ერთ-ერთი პირველწყაროს, ბი-ბისის ცნობით, ამერიკული საზოგადოება განსაკუთრებით აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ სამხედროთა ამ მამათმავლურ-ლესბოსურ ორგიებს ავიამზიდის საბორტო მოწყობილობებითაც აჩვენებდნენ, ანუ ამ საქმეში ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა ფული იხარჯებოდა...**

**ჰოი, საოცრებავ და ვაი საზოგადოებავ, რომელსაც საკუთარი ქვეყნის მესაჯდომე ოფიცრების მიერ ერთმანეთისათვის საჯდომის გაფართოებაზე მეტად ის აღელვებს, რომ „გაფართოების პროცესს" ეს ტიალი სამხედროები ხაზინის ფულით შეძენილ მოწყობილობაზე აფიქსირებდნენ...**

**მართალი იყო კატონი — კართაგენი უნდა დაინგრეს!!!**

## მოკლედ

### მეკობრეობა მსოფლიოს 7-12 მილიარდით აზარალებს

**მეკობრეების „მოღვაწეობა" მსოფლიო ეკონომიკას წელიწადში 7-დან 12 მილიარდამდე დოლარი უჯდება, ამასთან, მთელი ზარალის 95%-ზე პასუხისმგებლობა სომალელ მეკობრეებზე მოდის.** არადა, ისინი გემების გატაცებისთვის უბრალო ნავებს იყენებენ, მათი მთელი აღჭურვილობა კი კალაშნიკოვის ტიპის ავტომატების, ლუზისა და კიბისგან შედგება. ფასი, რომელსაც ყოველწლიურად იხდის მსოფლიო საზოგადოება, მოიცავს მეკობრეების მიერ გატაცებულთა გამოსასყიდებს, სადაზღვევო პრემიებსა და სხვა ხარჯებს. 2006 წლიდან მოყოლებული მეკობრეები 1600 გემს დაესხნენ თავს და 60-მდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს. 2010 წელს გატაცებულთა საშუალო გამოსასყიდმა 5,4 მილიონი დოლარი შეადგინა.

### წყალდიდობა ბრაზილიაში

**ბრაზილიის სამხრეთ-აღმოსავლეთით წყალდიდობასა და მეწყერს, სულ მცირე, 500 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ამასთან, სასამართლო ექსპერტიზის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ რაოდენობაში მხოლოდ ამოცნობილი გვამები იგულისხმება.** ოფიციალური მონაცემებით, რაც ინფორმაციის გადაცემის სირთულის გამო არასრულია, 5,5 ათასი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. დაღუპულებისა და დაკარგულების სამძებრო სამუშაოებში 800-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. ეს წყალდიდობა ბრაზილიის ისტორიაში ყველაზე მძიმე ბუნებრივ კატასტროფად შეფასდა. მანამდე ასეთად საპორტო ქალაქ კარაგუატატუბაში 1967 წელს მომხდარი წყალდიდობა ითვლებოდა. მაშინ, სხვადასხვა მონაცემებით, 436-მდე ადამიანი დაიღუპა.

### ავღანელი ქალები ისწავლიან

**ავღანეთის განათლების მინისტრმა ფაროქ ვარდაკმა განაცხადა, რომ მოძრაობა თალიბანი ავღანეთში მცხოვრები ქალებისთვის განათლების მიღების მომხრეა.** ავღანეთის სახელმწიფო მინისტრის მტკიცებით, მას აქვს სანდო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ამიერიდან თალიბანი სკოლაში გოგონების სიარულის წინააღმდეგი აღარ იქნება. თავად თალიბანის ლიდერებს მსგავსი გადაწყვეტილების თაობაზე ჯერ არაფერი უთქვამთ და არავინ იცის, რის საფუძველზე აკეთებენ ხელისუფლების წარმომადგენლები ოპტიმისტურ განცხადებებს, მით უფრო, რომ მოძრაობა თალიბანი განათლების მიღებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა — ავღანეთში თალიბანის რეჟიმის მმართველობის პერიოდში, 2001 წლამდე გოგონებს სკოლაში სიარული ეკრძალებოდათ.

### ბუნდესვერს ავღანეთში მანდატი გაუგრძელეს

**გერმანიის ხელისუფლებამ ავღანეთში ბუნდესვერის მანდატი კიდევ ერთი წლით გააგრძელა, წლის ბოლოდან ჯარების გაყვანის დაწყება მთელი რიგი პირობების დაცვითაა დაგეგმილი.** გერმანული კონტინგენტის რაოდენობრივი შემცირება დამოკიდებული იქნება, უპირველესად, ავღანეთში უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მანდატის გაგრძელება იანვრის ბოლოს ბუნდესტაგმა უნდა დაამტკიცოს. გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ხელისუფლების პირობა, დაიწყოს ჯარების გაყვანა, ძალზე ბუნდოვანია და რაიმე კონკრეტულ გეგმას არ შეიცავს. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვნება თავად ხელისუფლებაშიც არაა — საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვესტერვალე ჯარების გაყვანას 2011 წლიდან მოითხოვს, თავდაცვის მინისტრი კი კონკრეტული თარიღების დასახელების კატეგორიული წინააღმდეგია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## რუსეთში ჯაშუშების ოჯახი დააკავეს

**საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა დედა-შვილი დააკავეს** — სამხრეთის სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **დავით რუსლანის ძე ალიევი,** რომელიც ქართული სპეცსამსახურების დავალებით ოლქის ჯარებზე ინფორმაციას აგროვებდა, და დედამისი **ირინა იაკოვლევის ასული ალიევა,** რომელიც შვილის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ქართულ მხარეს გადასცემდა. დაკავებულებს 12-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

## მსოფლიო ეკონომიკამ ზრდა დაიწყო

**მსოფლიო ეკონომიკა კრიზისის შემდგომი გამოცოცხლების სტადიიდან ნელ, მაგრამ მდგრად ზრდაზე გადავიდა. ამგვარი ოპტიმისტური დასკვნა გააკეთეს მსოფლიო ბანკის სპეციალისტებმა მოხსენებაში „2011 წლის გლობალური ეკონომიკური პერსპექტივები“.** ექსპერტების მტკიცებით, ეკონომიკის მამოძრავებელი განვითარებადი ქვეყნები გახდებიან. მალე საერთო შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებლების მიხედვით ლიდერები მსოფლიოში ჩინეთი და ინდოეთი იქნებიან. ეკონომისტების მტკიცებით, განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნები ამ წელს ეკონომიკური ზრდის მთლიანი მაჩვენებლის ნახევარს უზრუნველყოფენ, მათი საერთო შიდა პროდუქტი წელს 6%-ით, მომავალ წელს კი — 6,1%-ით გაიზრდება. ამავე დროს, განვითარებული ქვეყნები, შესაბამისად, მხოლოდ 2,4 და 2,7 პროცენტიან ზრდას მიაღწევენ.



## ბაკიევი დაასაქმეს

**ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ყირგიზეთში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დევნილობაში მყოფი ქვეყნის ექსპრეზიდენტი ყურმანბეკ ბაკიევი ბელარუსის ერთ-ერთი სამხედრო ქარხნის დირექტორად დანიშნა.** საგულისხმოა, რომ ამ დანიშვნის შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად არ დადასტურებულა. თავად ბაკიევის დაცვის კომიტეტი აცხადებს, რომ ექსპრეზიდენტი ბელარუსში იმყოფება, მაგრამ კვლავ უმუშევარია. ცნობილი არაა, კონკრეტულად რომელი დაწესებულების ხელმძღვანელობა მიანდეს ბაკიევს; ამის თაობაზე ინფორმაცია ბელარუსის ოფიციალურ საიტებს არ გამოუქვეყნებია. შეგახსენებთ, რომ ყურმანბეკ ბაკიევი სამშობლოდან 2010 წლის აპრილში, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, გაიქცა. ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლება ბელარუსისგან დღემდე ითხოვს ბაკიევის ექსტრადირებას.

## საელჩოებს ანგარიშები დაუხურეს

**უცხოელი დიპლომატები ამერიკის ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ — რამდენიმე ამერიკულმა ბანკმა ნიუ იორკში განლაგებულ საელჩოებს ანგარიშები დაუხურა.** სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათთვის საბანკო მომსახურების გასაწევად მზადმყოფი ახალი ბანკების ძიებამ შედეგი არ გამოიღო. აღნიშნულთან დაკავშირებით გაეროს ოფისში დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები და 150 უცხოელი დიპლომატი ესწრებოდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პატრიკ კენედიმ განაცხადა, რომ ბანკები ამ გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ კომერციული ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ და უცხოელმა დიპლომატებმა ალტერნატიული გზები უნდა მოიძიონ.



## ნიკოლოზ ბარათაშვილი —

# ძეგლთმებრძოლი ხელისუფლების მორიგი სამიზნე

**მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!**

ალბათ, ბევრ თბილისელს ახსოვს, სოლოლაკის ქედზე ორი ქართლის დედა რომ იდგა. მართალია, „დედის გამოცვლის“ ეს სანახაობა მაშინ ცოტა ხანს გაგრძელდა, მაგრამ ბევრს გაუხეთქა გული ერთდროულად დედისა და დედინაცვლის ნახვამ. შოთა რუსთაველის ძეგლის გამოცვლაც გეხსომებათ 1989 წელს — ქვის შოთა ბრინჯაოთი რომ შეცვალეს და ძველ რუსთავში გადაიტანეს.

ერთ ძეგლს აიღებდნენ და იმავე ადგილას მეორე ძეგლს დგამდნენ, ახალს, უფრო მშვენიერს! გავიდა დრო და დღეს ვეღარსად ნახავთ ასეთ „ზამენებს“, დღეს ძეგლებმა ფეხი აიდგეს და პანტა-პუნტით ჩამოდიან კვარცხლბეკებიდან...

ამ თემაზე ცნობილმა მწერალმა რეზო ჭეიშვილმა ენამოსწრებულად იხუმრა: „მოქანდაკეებმა ყველა ძეგლს ბორბლები ბარემ თავიდანვე გაუკეთონ, ხელისუფლებამ წინ და უკან რომ აგორიალოსო“.

ძეგლების მიმართ ანტიპათიურად განწყობილი ჩვენი ხელისუფლების მომდევნო სამიზნე ნიკოლოზ ბარათაშვილი აღმოჩნდა. სულ ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბარათაშვილის ძეგლი სანაპიროდან გადააქვთ, მის ადგილას საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა აშენდესო.

შენობის პროექტის ფოტოები ინტერნეტით უკვე გავრცელდა, თუმცა მერიაში, როგორც ყოველთვის, „მსგავსი გადაადგილების შესახებ“ არაფერი იციან და ეს ყოველივე ბოროტი ადამიანის მოგონილია, რომელიც ასე ხელაღებით „ბღალავს“ თბილისის მერის „უმწიკვლო“ სახელს!

მერიის პრესსამსახურის თანამშრომლის — **ნანუკა ზაქარეიშვილის** განცხადებით, მაკეტი, რომელიც მედიით გავრცელდა, **„ვიღაცამ საკუთარი ინიციატივით გააკეთა და ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს“.**



**ქართველი რომანტიკოსი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი ბარათაშვილის ხიდთან, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, 1975 წელს დადგეს. ძეგლის ავტორი მოქანდაკე ბორის ციბაძეა, ხოლო არქიტექტორი — შოთა ყავლაშვილი. სამწუხაროდ, ორივე მათგანი გარდაცვლილია.**

ჯერჯერობით უცნობია, რომელ უბანში გადაიტანენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლს, მაგრამ, რომ გადაიტანენ, ეჭვი არ მეპარება, რადგან ასეთი „ჭორები“, როგორც წესი, „ნაცმოძრაობას“ ღამის საფარქვეშ მოჰყავს სისრულეში. ის უფრო მაინტერესებს, როდის და როგორ ვითარებაში მოხსნიან ბარათაშვილის ძეგლს კვარცხლბეკიდან და სად „გადაასახლებენ“ ტატოს. სულაც არ გამიკვირდება, ეს ღამით ქურდულად გააკეთონ, როგორც სტალინის ძეგლი გააქრეს გორში. არადა, ბედი მართლა არ სწყალობს ამ ბრწყინვალე რომანტიკოს პოეტს. ჯერ იყო და, სიცოცხლეშივე იძულების წესით გაამწესეს განჯაში, სადაც 27 წლისა მალარიით მძიმედ დაავადებული გარდაიცვალა. თავდაპირველად პოეტი იქვე, განჯაში, დაკრძალეს; 1893 წელს თბილისში, დიდუბის პანთეონში, გადმოასვენეს; 1938 წლიდან კი პოეტის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში განისვენებს. სიცოცხლეში უბედურ პოეტს არც სიკვდილში ჰქონია ბედი. ახლა მისი ძეგლი გაამზადეს მორიგი „გადასახლებისთვის“.

**ᲗᲔᲝ ᲢᲐᲑᲐᲢᲐᲫᲔ**

### როდის და როგორ ვითარებაში მოხსნიან ბარათაშვილის ძეგლს კვარცხლბეკიდან და სად «გადაასახლებენ» ტატოს?!

**P.S. „წარვედ წყალის პირს
სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს
განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ
ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე
მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის
ლაჟვარდი ცისა კამარა“.**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მითი ტურისტული სამოთხის შესახებ უთოვლობამ დაამსხვრია

**თეთრი ტურიზმი საფრთხეშია. და არამარტო ტურიზმი, — ის 150 მილიონი ლარიც, რომლის მიღებასაც ხელისუფლება წლევანდელი სეზონისგან ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ სეზონი ყველგან გაიხსნა, რეალურად არსად დაწყებულა.**

**ზამთრის ტურისტული სეზონი დიდი ფეიერვერკებითა და ხმაურით გაიხსნა მესტიაში, რომელიც, როგორც ტურისტული კურორტი, წელს შეემატა ამ სფეროს. ორსაათიანი გრანდიოზული კონცერტი სვანეთში უკრაინელმა მომღერლებმა ქართული სიმღერით დახურეს. უკრაინულ შოუს საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო.**

**სეზონი გაიხსნა გუდაურსა და ბაკურიანშიც, თუმცა სამივე საკურორტო ზონა ჯერჯერობით ტურისტების სიმწირეს განიცდის. მიზეზი კი უთოვლობაა.**

მთავრობის განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ წელს საქართველოს ზამთრის კურორტებზე 100 ათასი უცხოელი ტურისტი ჩამოვა, შესაძლოა, მხოლოდ ცარიელი სიტყვები აღმოჩნდეს.

რაც შეეხება გასულ სეზონს, შარშან ზამთარში გუდაურსა და ბაკურიანს ოფიციალურად 60000-მდე ტურისტი სტუმრობდა. წელს კი მნიშვნელოვანი ნაკლებობაა ტურისტების მხრივ, თანაც, თუ გარემოს დაცვის სამინისტროს გრძელვადიანი პროგნოზების ცენტრს დავუჯერებთ, იანვრის ბოლომდე ნალექი მოსალოდნელი არაა.

როგორც ჩვენთან საუბარში **ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა მაია სიდამონიძემ** განაცხადა, ზამთრის კურორტებზე წელს 100 ათას ტურისტს ელიან. მისი თქმით, თოვლიც აუცილებლად იქნება იმ რაოდენობის, რაც ზამთრის კურორტისთვის საჭიროა.

**„ჯერ სეზონი ახალი დაწყებულია და ვერ ვიტყვით, რომ არარეალურია იმაზე საუბარი, რომ ტურისტების რაოდენობა საკმარისი არაა. წელს კურორტებს მესტიაც დაემატა, ამიტომ უფრო მეტი ვიზიტორი იქნება, ვიდრე ეს თუნდაც 2009 წელს იყო,“** — აცხადებს სიდამონიძე.

ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში უკვე მუშაობენ სარეკლამო რგოლებზე, რაც ქვეყანას ტურისტების მოზიდვაში დაეხმარება, თუმცა რეალობის გარკვევას დამსვენებლები ტურისტული სააგენტოების საშუალებით მაინც ახერხებენ.

**„ior Trevelis“ ტუროპერატორ სალომე მწარიაშვილის განცხადებით, ზამთრის კურორტებზე წამსვლელთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია და ეს რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ტუროპერატორი რეალურ ვითარებას იმით ხსნის, რომ თოვლის საფარი საკმარისი არაა, უმრავლესობას მაინც სურს დასვენება და თოვლის ის რაოდენობაც აკმაყოფილებთ, რაც არის.**

**მიუხედავად ამისა, ცარიელია სასტუმროები ბაკურიანსა და გუდაურში. სტუმრების მხრივ უფრო რთული მდგომარეობა ბაკურიანშია. უთოვლობამ მარტო სასტუმროები კი არა, მაღაზიებიც აზარალა, რომლებიც სათხილამურო აქსესუარებით ვაჭრობენ.**

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში ამბობენ, რომ ამ პერიოდში მცირე თოვლი ბაკურიანისთვის საგანგაშო მოვლენა არ არის; იმედს გამოთქვამენ, რომ იანვარში თოვლი საკმარისი რაოდენობით მოვა.



## ლევან აბრამიშვილი: ექვსი კოტეჯი მაქვს და ჯავშანი ყველაზე მოხსნილია

ადგილობრივები შიშობენ, რომ, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ტურისტული სეზონი ჩაიშალოს, რადგან უთოვლო კურორტზე დასვენებაში ფულის გადახდას ბევრი მოერიდება. ასეთი თბილი და უთოვლო ზამთარი ბაკურიანს, 5 წელია, არ ახსოვს. რადგან ცივი თვეები ჯერ კიდევ წინაა, ზამთრის კურორტებზე თოვლის მოსვლისა და ოფიციალურად სათხილამურო სეზონის გახსნის იმედს არ კარგავენ.

**ლევან აბრამიშვილი, კოტეჯის ტიპის სახლების მფლობელი დაბა ბაკურიანში:**

**„ექვსი კოტეჯი მაქვს და ჯავშანი ყველაზე მოხსნილია. შარშან სამი კოტეჯი მქონდა და იმით შეგულიანებულმა, რომ ბაკურიანში ყველა სასტუმრო გადატვირთული იყო, სამი კოტეჯიც დავამატე. ყველა თოვლის მოსვლას ელოდება. არადა, იმედი მქონდა, რომ წლეულს ყველა კოტეჯი დაიტვირთებოდა, ფასებიც არ შემიცვლია, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გაძვირდა. ბოლო რამდენიმე წელია, ვცდილობ, სტაბილური ფასი შევინარჩუნო და ამით მუდმივი კლიენტი მოვიზიდო. მხოლოდ საახალწლოდ გამოაცოცხლა ბაკურიანი სტუმრების სიუხვემ, 3 იანვრის შემდეგ კი დაბა ისევ დაიცალა. უთოვლობა თუ გაგრძელდა, დიდი ზარალი მოგვადგება. ბევრს კრედიტი აქვს აღებული ბანკში. იანვრის შუა რიცხვებია და სასტუმროების უმეტესობა მხოლოდ 10%-იანი დატვირთვით მუშაობს“.**

საინტერესოა, რამდენ ხანს გასტანს ზამთრის კურორტებზე გაზაფხული? ბაკურიანის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში დამსვენებლებს ამშვიდებენ. მათი განმარტებით, არც ერთი ჯავშანი არ მოხსნილა და ამის საშიშროება არც მომავალშია. ცენტრში ამბობენ, რომ ამ პერიოდში მცირე თოვლი ბაკურიანისთვის საგანგაშო მოვლენა არ არის. უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი ცალკეულ სასტუმროებში. **ბაკურიანში მდებარე სასტუმრო „თბილისში“ აცხადებენ, რომ კურორტზე ახლა გაზაფხულია. რაც შეეხება სტუმრებს, სასტუმროს მენეჯმენტის განმარტებით, ახალ წელს საქართველოს ზამთრის კურორტებზე, როგორც წესი, აზერბაიჯანელები ხვდებიან. სწორედ მათ ჰქონდათ დაჯავშნული საახალწლო დღეებში ნომრების 95 პროცენტი.**

უთოვლობამ შეცვალა იმ ადამიანთა გეგმები, რომლებიც მთაში აპირებდნენ სათხილამუროდ ასვლას, მათ მოცდა მოუწევევთ. იმისათვის, რომ თხილამურებით ტრასაზე ისრიალო, მინიმუმ, ერთი მეტრი სისქის თოვლის საფარია საჭირო. ამჟამად კი გუდაურში თოვლის საფარი მხოლოდ 15 სანტიმეტრს აღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის კურორტებზე ტურისტების ნაკლებობაა, ფასებმა შარშანდელთან შედარებით მაინც მოიმატა.

**„არამარტო სვანეთში, მთელ საქართველოში ასეა. უმეტესად ფიქრობენ ტურისტის ერთჯერად გამოყენებაზე, რომ მაქსიმალურად ბევრი თანხა დაახარჯვინონ, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ, თუ კარგ მომსახურებას და პირობებს შესთავაზებენ, ეს ტურისტი რეკლამას გაუკეთებს და მეორედაც ეწვევა. თანაც მომსახურება არის დაბალი დონის. თუნდაც ძალიან ბევრ საოჯახო სასტუმროში არ იციან მომსახურების ელემენტარული წესები, ფასები კი ისეთი აქვთ, გაგიჟდება კაცი“,** — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა დამსვენებელმა.



**იანვრის შუა რიცხვებია და სასტუმროების უმეტესობა მხოლოდ 10-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს**

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ

### არგენტინის პრეზიდენტი გაქურდეს

**არგენტინის პრეზიდენტს კრისტინა კირშნერს ახლო აღმოსავლეთში დაგეგმილი ტურნესთვის გამოყოფილი თანხა გამგზავრების წინ მოჰპარეს.** არგენტინულ მედიას უამრავი ეჭვი გაუჩინა იმ ფაქტმა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელს, რომელიც კირშნერის საზღვარგარეთულ მოგზაურობებს კურირებს, ახლო აღმოსავლეთში ვიზიტისთვის გამოყოფილი მთლიანი თანხა — 68 ათასი აშშ დოლარი და 17 ათასი ევრო სახლში მიჰქონდა. ბოროტმოქმედებმა მას იარაღის მუქარით ფულით სავსე ჩანთა წაართვეს. პოლიციისთვის გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა პრეზიდენტის თანამშრომელი ქუჩაში დაცვის გარეშე, მით უფრო, რომ მას ფულის გადასატანად სამსახურებრივი მანქანა ემსახურებოდა. პრეზიდენტი ახლო აღმოსავლეთში მაინც გაემგზავრა.

### ბელარუსი პოლონეთსა და გერმანიას ადანაშაულებს

**ბელარუსის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური გაზეთი „სოვეტსკაია ბელარუსია“ იუწყება, რომ პოლონეთი და გერმანია პრეზიდენტ ლუკაშენკოს მმართველობის დამხობას ცდილობენ.**

„პრეზიდენტის დამხობის გეგმა გერმანიისა და პოლონეთის საიდუმლო სამსახურებმა შეიმუშავეს. ამისთვის პოლონეთმა ოპოზიციის აქტივისტები გაწვრთნა“, — ნათქვამია სტატიაში და გასული წლის დეკემბერში ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები გერმანიასა და პოლონეთს ბრალდება. ამასთან, გაზეთის ცნობით, ლუკაშენკოს კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლების დასამხობად ბელარუსში „ორგანიზატორები, ტექნოლოგია და ფული გაიგზავნა“.

### ლიტურგია ქრისტეს ქანდაკებასთან

**სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებელმა მღვდელმსახურებმა რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიოში სახელგანთქმული ქრისტეს ქანდაკების წინ ერთობლივი ლიტურგია აღავლინეს.** ლიტურგიაში მოსკოვის, ანტიოქიისა და კონსტანტინეპოლის პატრიარქები მონაწილეობდნენ. მორწმუნეები შეიკრიბნენ კორკოვადუს მთაზე, სადაც რიო-დე-ჟანეიროს მთავარი სიმბოლო — 38-მეტრიანი ქრისტეს ქანდაკებაა აღმართული. ღვთისმსახურებაში მონაწილეობდნენ ბრაზილიაში მცხოვრები რუსეთის, საბერძნეთის, სირიისა და ლიბანის დიასპორის წარმომადგენლებიც. ისტორიაში ეს რიგით მეორე შემთხვევაა 2008 წლის შემდეგ, როცა რიო-დე-ჟანეიროს კათოლიკური ეპარქიის კუთვნილი ქანდაკების წინ მართლმადიდებლური ლიტურგია შესრულდა.

### ნაზარბაევი 2020 წლამდე რჩება

**ყაზახეთის საკანონმდებლო ორგანომ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები დაამტკიცა და პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა.** ცვლილებების თანახმად, ნაზარბაევი ყაზახეთს 2020 წლამდე უხელმძღვანელებს, თუმცა ამისთვის ქვეყანაში რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. 70 წლის ნაზარბაევი, უკვე 20 წელზე მეტია, ქვეყნის პირველი პირის თანამდებობას იკავებს. 7 იანვარს მან რეფერენდუმის შესახებ პარლამენტის წინადადება დაბლოკა, თუმცა რამდენიმე დღეში გამართული კენჭისყრით საკანონმდებლო ორგანომ პრეზიდენტის ვეტო გადალახა. საინიციატივო ჯგუფმა რეფერენდუმის ჩატარების მხარდასაჭერად 5 მილიონზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იმპერიის აგონია

**მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს როლში ამერიკის შეერთებული შტატების მზე შეიძლება იმაზე სწრაფად ჩაესვენოს, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. თუ ვაშინგტონი იმედოვნებს, რომ ამერიკის ასწლეულის დასასრული 2040 ან 2050 წელს დადგება, გლობალური და შიდა ტენდენციების შესწავლა მიუთითებს, რომ 2025 წელს, სულ რაღაც 15 წლის შემდეგ, ყველაფერი შეიძლება დასრულდეს.**





იმპერიის უმეტესობათა მიერ პროეცირებული სიდიადის აურის მიუხედავად, მათი ისტორიების ექსპრეს-ანალიზმა უნდა შეგვახსენოს, რომ ისინი მყიფე ორგანიზმებია. მათი სიძლიერის ეკოლოგია იმგვარია, რომ, **როცა ყველაფერი ნამდვილად ინგრევა, იმპერიები რეგულარულად თვალის დახამხამებაში ნადგურდება:**

პორტუგალიას სულ ერთი წელი დასჭირდა, საბჭოთა კავშირს — 2, საფრანგეთს — 8, ოტომანთა იმპერიას — 11, დიდ ბრიტანეთს — 18 და ამერიკის შეერთებულ შტატებს, სავარაუდოდ, 22 წელი ეყოფა, თუ კრიტიკულად მნიშვნელოვანი 2003 წლიდან დავითვლით.

მომავალი ისტორიკოსები ამერიკის კრახის დასაწყისად, ალბათ, ერაყში შეჭრის თაობაზე ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაზე მიუთითებენ. თუმცა, სისხლისღვრის ნაცვლად, რომლითაც წარსულის მრავალი იმპერიის დასასრული აღინიშნა, როცა ქალაქები იწვოდა, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებლებს მასობრივად ხოცავდნენ, **XXI საუკუნის იმპერიის კრახი, შესაძლოა, შედარებით შეუმჩნევლად მოხდეს, ეკონომიკური ნგრევის ან კიბერომების უხილავი გზებით.**

თუმცა უეჭველია, რომ, როცა ვაშინგტონის მსოფლიო ბატონობა დასრულდება, უკლებლივ ყველა ამერიკელი საკუთარ ტყავზე იგრძნობს, რას ნიშნავს ძალის დაკარგვა. იმპერიის დაცემა ხომ ჩვეულებრივ, დემორალიზების ეფექტს ახდენს საზოგადოებაზე და, როგორც მინიმუმ, ერთი თაობის გაღატაკება მოაქვს. ეკონომიკის ნგრევის თანადროულად, პოლიტიკური ტემპერატურა იმატებს, რასაც ხშირად სერიოზული შიდაარეულობები მოსდევს.

**არსებული ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სამხედრო მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ აშშ-ში ნეგატიური ტენდენციები 2020 წლისთვის გამთლიანდება და კრიტიკულ მასას არა უგვიანეს 2030 წლისა მიაღწევს. ამერიკის ასწლეული, რომელიც ასე ტრიუმფალურად გამოცხადდა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, 2025 წლის ბოლოს ნაცარტუტად, ხოლო 2030 წლისთვის ისტორიად იქცევა.**

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს აშშ-ის დაზვერვის ნაციონალურმა საბჭომ პირველად აღიარა, ამერიკის გლობალური სიდიადე ნამდვილად დაღმავალი ტრაექტორიით რომ მიემართებოდა. თავის ერთ-ერთ პერიოდულ ფუტურისტულ ანგარიშში „გლობალური ტენდენციები — 2025“, საბჭომ მოიხსენია მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო, სიმდიდრისა და ეკონომიკური სიძლიერის გადანაცვლება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ“, როგორც „ამერიკის სამხედრო ძლიერების შესუსტების“ ძირითადი ფაქტორი. თუმცა საბჭოს ანალიტიკოსებმა იმედი გამოთქვეს, რომ აშშ მაინც შეძლებს უნიკალური სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებას და მსოფლიო არენაზე სამხედრო ძალის პროეცირებას კიდევ მრავალი ათწლეულის განმავლობაში.

არ გაუმართლათ. მიმდინარე გათვლებით, ეკონომიკური წარმოების თვალსაზრისით, **ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთის შემდეგ, მეორე ადგილზე აღმოჩნდება უკვე 2026 წელს, ხოლო 2050 წელს ინდოეთსაც ჩამორჩება.** ჩინური ინოვაციები სამხედრო ტექნოლოგიებსა და დამხმარე მეცნიერებებში ლიდერის პოზიციას დაიკავებს 2020-2030 წლებში, სწორედ იმ დროისთვის, როცა ბრწყინვალე ამერიკელ მეცნიერთა და ინჟინერთა გუნდის ადგილს ცუდად განათლებული ახალგაზრდა თაობა დაიკავებს, რომელიც მისი ადექვატური შემცვლელი ვერ იქნება.

**ამერიკის ასწლეული, რომელიც ასე ტრიუმფალურად გამოცხადდა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, 2025 წლის ბოლოს ნაცარტუტად, ხოლო 2030 წლისთვის ისტორიად იქცევა**

**2020 წლისთვის, მიმდინარე გეგმების თანახმად, პენტაგონი მომაკვდავი იმპერიის გადასარჩენად და მსოფლიო ძლიერების შესანარჩუნებლად უკანასკნელ ღონეს მიმართავს:**

**კოსმოსში მოწინავე აეროკოსმოსურ რობოტექნიკის მომაკვდინებელ „სამმაგ გუმბათს“ გაუშვებს, რომელიც ვაშინგტონის უკანასკნელ იმედს წარმოადგენს.**

თუმცა იმ დროისთვის ჩინეთის კომუნიკაციურ თანამგზავრთა გლობალური ქსელიც სრული დატვირთვით იმუშავებს, ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მისი სარაკეტო და კიბერიერიშის მძლავრ კომუნიკაციათა სისტემა.

თეთრი სახლი, როგორც ჩანს, უწინდებურად მიიჩნევს, რომ ამერიკის დაღმასვლა თანდათანობითი, რბილი და ნაწილობრივი იქნება. გასულ იანვარს ხალხისადმი თავის მიმართვაში ბარაკ ობამა საზოგადოებას არწმუნებდა: **„მე არ დავკმაყოფილდები მეორე ადგილით ამერიკის შეერთებული შტატებისთვის“.** რამდენიმე დღის შემდეგ ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სასაცილოდ აიგდო თავად იდეა: **„ჩვენ ისტორიკოს პოლ კენედის წინასწარმეტყველებას დავადასტურებთ იმის შესახებ, რომ დიადი სახელმწიფო ვართ, რომელიც ინგრევა, რადგან ეკონომიკაზე კონტროლი დავკარგეთ და დავიძაბეთ“.** ჟურნალ Foreign Affairs-ის ნოემბრის ნომერში საგარეო პოლიტიკის ნეოლიბერალმა გურუმ ჯოზეფ ნეიმ უგულებელყო საუბრები ჩინეთის ეკონომიკურსა და სამხედრო აღმავლობაზე და განაცხადა, რომ აშშ-ის გლობალური ძლიერება არასდროს შესუსტდება.

ამავე დროს, **რიგით ამერიკელებს, რომელთა სამუშაო ადგილები თანდათან უცხოეთში ინაცვლებს, მათ განებივრებულ ლიდერებზე გაცილებით რეალისტური თვალთახედვა აქვთ. 2010 წლის აგვისტოში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, ამერიკელების 65 პროცენტს მიაჩნია, რომ მათი ქვეყანა დაღმასვლას განიცდის.** ამერიკის ტრადიციული სამხედრო მოკავშირეები — ავსტრალია და თურქეთი — უკვე იყენებენ აშშ-ში წარმოებულ შეიარაღებას ჩინეთთან ერთობლივი საჰაერო და სამხედრო-საზღვაო სწავლებებისთვის. გასული თვის ბოლოს, როცა პრეზიდენტი აზიური ტურნედან ბრუნდებოდა, გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსმა“ პირქუშსათაურიანი სტატიები გამოაქვეყნა: **„ობამას ეკონომიკური შეხედულებანი მსოფლიო არენაზე უარყვეს; ჩინეთმა, ბრიტანეთმა და გერმანიამ აშშ გამოიწვიეს; სეულთან სავაჭრო მოლაპარაკებებიც ჩაიშალა“.**

თუმცა ჯობს, დაზვერვის ნაციონალური საბჭოს ფუტუროლოგიური მეთოდოლოგია გამოვიყენოთ იმ ოთხი რეალისტური სცენარის წარმოსაჩენად, თუ როგორ დასუსტდება აშშ-ის გლობალური ძლიერება 2020 წლის ბოლოსთვის.



**XXI საუკუნის იმპერიის კრახი, შესაძლოა, შედარებით შეუმჩნევლად მოხდეს, ეკონომიკური ნგრევის ან კიბერომების უხილავი გზებით**

## ეკონომიკური დაღმასვლა: ამჟამინდელი ვითარება

**დღეს ამერიკის გაბატონებულ პოზიციას გლობალურ ეკონომიკაში სამი რამ ემუქრება: ეკონომიკური გავლენის დაკარგვა მსოფლიო ვაჭრობაში თანდათან შემცირებული წილის გამო; ამერიკული ტექნოლოგიური ინოვაციების დაღმასვლა და დოლარის მიერ მსოფლიო სარეზერვო ვალუტის პრივილეგირებული სტატუსის დაკარგვა.**

2008 წლისთვის აშშ-მა უკვე მესამე ადგილზე გადმოინაცვლა საქონლის მსოფლიო ექსპორტიორთა სიაში. მისი წილი 11 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როცა ჩინეთს — 12, ხოლო ევროკავშირს 16-პროცენტიანი წილი ჰქონდა. ამგვარ დაღმასვლას განიცდის ამერიკაც ტექნოლოგიურ ინოვაციებშიც. 2009 წლის ოქტომბერში ჩინეთის თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა უმძლავრესი სუპერკომპიუტერი Tianhe-1A, რომელიც იმდენად მძლავრია, რომ, ერთი ამერიკელი ექსპერტის თქმით, ქვას ქვაზე არ ტოვებს ამერიკაში არსებული №1 კომპიუტერისგან. ამას გარდა, **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2010 წლის რეიტინგში აშშ 52-ე ადგილზე აღმოჩნდა, 139 ქვეყანას შორის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მათემატიკისა და ზუსტი მეცნიერებების სწავლების თვალსაზრისით. 2025 წელს ამერიკას ნიჭიერ მეცნიერთა უკმარისობა ექნება.**

## ეკონომიკური დაღმასვლა: 2020 წლის სცენარი

**მრავალწლიანი საბიუჯეტო დეფიციტების შემდეგ, 2020 წლისთვის, აშშ დოლარი, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო სარეზერვო ვალუტის სტატუსს საბოლოოდ დაკარგავს.** როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკური ზეწოლის გამო, **ვაშინგტონი იძულებული იქნება, თავისი გაბერილი თავდაცვის ბიუჯეტი შეამციროს და ნელ-ნელა გაიყვანოს ამერიკული ჯარები ასობით უცხოური სამხედრო ბაზიდან და კონტინენტის პერიმეტრზე განათავსოს.** დასუსტებულ ზესახელმწიფოს ბატონობას ოკეანეებზე, კოსმოსსა და კიბერსივრცეში კი ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და ირანი გამოწვევას ესვრიან.

## სანავთობე შოკი: არსებული ვითარება

**ამერიკის გამქრალი ეკონომიკური ძლიერების მსხვერპლად მსოფლიო ნავთობის მარაგებზე მისი კონტროლიც იქცევა. ჩინეთი მსოფლიოში ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელი გახდება.** არადა, აშშ ამ პოზიციას ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა. ენერგეტიკის სპეციალისტის, მაიკლ კერის თქმით, ეს ცვლილება ნიშნავს, რომ **„ჩვენი გლობალური მომავლის ჩამოყალიბების ტემპს ჩინეთი გვიკარნახებს“.** 2025 წლისთვის ბუნებრივი გაზის მსოფლიო მარაგების ნახევარს ირანი და რუსეთი გააკონტროლებენ.

## სანავთობე შოკი: 2025 წლის სცენარი

**უცხოურ ნავთობზე ამერიკის დამოკიდებულება იმდენად მაღალია, რომ მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე რამდენიმე არაკეთილსასურველი მოვლენა 2025 წელს ისეთ სანავთობე შოკს გამოიწვევს, რომ მასთან შედარებით, 1937 წლის კრიზისი წვრილმანად მოეჩვენებათ.** ჩინეთი მილიარდებს დახარჯავს უზარმაზარი ტრანსაზიური მილსადენის აგებასა და მსოფლიოში უდიდეს, სამხრეთ ფარსის გაზის საბადოზე (ირანი). რაკი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები სპარსეთის ყურეში ნავთობის ტანკერებს ველარ დაიცავს, თეირანის, ერ-რიადისა და აბუ-დაბის კოალიცია მოულოდნელ ალიანსს შექმნის და ამიერიდან ჩინური ავიამზიდების ახალი ფლოტი სპარსეთის სრუტის პატრულირებას შეუდგება. **„კარტერის დოქტრინა“, რომელიც სპარსეთის ყურის სამუდამო დაცვას განაპირობებდა, 2025 წელს დასამარდება.** რამდენიმე წლის შემდეგ კი აშშ ფუნქციონალურ ბანკროტად იქცევა და საათი მისი ჟამის დასასრულს ჩამოკრავს.

**ალფრედ უ. მაკკოი,**
**ისტორიის პროფესორი ვისკონსინის უნივერსიტეტში, მედისონში**
**(Asia Times, ჰონკონგი)**

# ხაჩიკჯან, იქნებ სადმე სინდისიც მოგვეპარა, ჰა?!

**მას შემდეგ, რაც ჩვენმა მოძმე სომხებმა „ჩაკრულო" სომხურ ხალხურ სიმღერად, ბაგრატიონები ბაგრატუნებად, „სუხიშვილები" სომხურ ანსამბლად, შოთა რუსთაველი სომეხ პოეტად, ბორჯომი კი სომხურ მინერალურ წყლად მონათლეს, მეგონა, აღარაფერი გამიკვირდებოდა. მაგრამ ჩვენი კეთილი მეზობლების მადასა და გამჭრიახობას, როგორც ჩანს, საზღვარი არ აქვს.**






სულ ახლახან განგაშის სიგნალი მოვიდა საფრანგეთიდან, ჩვენმა შეშფოთებულმა თანამემამულეებმა ქალაქ მონტობანიდან დიდი „მოთქმა-გოდებით" გვამცნეს, რომ თურმე **რუსულ მარკეტებში ხაჭაპური „ხაჩატურიანის", ჩვენი უგემრიელესი ნუგბარი ჩურჩხელა „არმიანსკოე ჩუდოს", შოთის პური „აშოტას პურის", გოზინაყი „აინუშას" სახელით იყიდება, ხოლო ჩვენს საამაყო საფერავს „ამშვენებს" წარწერა: „ძვირფასი სომხური ღვინოების კოლექციიდან"!** ასე სომხურად **მონათლეს თურმე ქართული სამზარეულოს „თავმომწონე წარმომადგენლები" ჩვენმა კეთილისმსურველმა მეზობლემა საზღვარგარეთ.** ჰოდა, რა გასაკვირია, ემიგრანტმა ქართველებმა განგაში რომ ატეხეს!

**ჩვენი ძვირფასი მეზობლები რომ მითვისებასა და „უნებლიე ქურდობაში" შემჩნეულნი არიან, არ არის ახალი ამბავი, მაგრამ ერთი უწყინარი რჩევა ნამდვილად არ აწყენდათ — იქნებ, სინდისიც მოიპარონ სადმე სამეზობლოში.**

ჩვენი შეშფოთების ამბავმა, რა თქმა უნდა, სომხების ყურამდეც მიაღწია, მაგრამ ისინი, როგორც წესი, უკან დახევას არ აპირებენ. სომხეთის მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარე ავაგ არუთუნიანი ქართული მხარის ბრალდებებს „აბსურდულს" უწოდებს და აცხადებს, რომ „მათი გაგრძელების შემთხვევაში სომხეთი საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად სასამართლოს მიმართავს."

**„საფერავი" ყურძნის ჯიშია, სადღეისოდ კი არავითარი საერთაშორისო დოკუმენტი არ მოიპოვება, რომელიც ყურძნის ამა თუ იმ ჯიშს რომელიმე სახელმწიფოს საკუთრებად აცხადებს. ხომ არ მოითხოვენ, მაგალითად, ფრანგები, რომ შარდონე მათ გარდა არავინ აწარმოოს მხოლოდ იმიტომ, რომ შარდონე თეთრი ყურძნის ფრანგული ჯიშია?!"** — საკმაოდ მკაცრი ტონით გვამცნო ბატონმა არუთუნიანმა. გარდა ამისა, მისივე თქმით, „საფერავის" ჯიშის ყურძენი, ათას წელზე მეტია, სომხეთის ჩრდილოეთით ხარობს და ჯერ კიდევ საკითხავია, პირველმა ვინ დაიწყო „საფერავის" მოყვანა — ქართველებმა თუ სომხებმა.

სომხეთის ადგილობრივ მწარმოებელთა კავშირის წარმომადგენლის — ვაზგენ საფარიანის განცხადებით კი, **„სომხებს სხვისი ბრენდების მისაკუთრება არაფერში გვჭირდება, საკუთარიც საკმარისი გვაქვს. სომხური ბრენდები საერთაშორისო ბაზრებზე საკმაოდ კარგადაა ცნობილი და ქართულს არაფრით ჩამოუვარდება".**

ესეც ასე! რას ვერჩით სომხებს, კაცო?! სად იყვნენ ქართველები, რა იცოდნენ ღვინის სმა, მაშინ, როცა სომხები საფერავს წურავდნენ, შოთის პურებს რომ აკრავდნენ სომხურ თონეში, ხაჭაპურებს რომ აპიწკინებდნენ და ჩურჩხელებს რომ ავლებდნენ(?!). ეს ყოველივე თურმე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე „იცოდნენ". ჩვენ კი მაშინ არგონავტებს ვებრძოდით და „ოქროს საწმისს" ვიცავდით, სად „გვეცალა" ღვინისთვის და სუფრისთვის. ჰოდა, ასე გაგვასწრეს სომხებმა მეღვინეობასა და კულინარიაში.

**ახია ჩვენზე!**

**„საქპატენტის" ხელმძღვანელმა ირაკლი ღვალაძემ ბრძანა, რომ საფერავი, შოთის პური, ჩურჩხელა, გოზინაყი და სხვა ქართული პროდუქტების დასახელებები, რომლებსაც სომხები ითვისებენ, თურმე „საქპატენტში" ჯერ კიდევ არ ყოფილა დარეგისტრირებული!**

არადა, ნაცები მათთვის საინტერესო ქონების გადაფორმებას და ამ ყველაფრის „დარეგისტრირებას" ისე ახერხებდნენ, რომ რეალური პატრონები ამ დროს ან სატუსაღოში ისხდნენ, ან სულაც სხვა კონტინენტზე იმყოფებოდნენ და ნოტარიუსი, რომელმაც მათი „ხელმოწერა დაადასტურა", თვალით არ ენახათ.

მოდი და დაიჯერე ამის მერე, რომ ქართული ბრენდების ვერ დაპატენტება უნებლიე შეცდომაა...

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით 22 იანვარს სომხეთს ეწვევა და თვის სომეხ კოლეგას — სერჟ სარქსიანსაც შეხვდება. რა თქმა უნდა, მიშა სერჟთან შესახვედრად უკვე მოემზადა. მან 6 იანვარს საქართველოში მცხოვრებ სომხებს შობა განსაკუთრებულად მიულოცა.**

კარგი იქნება, თუ სააკაშვილი სარქსიანთან შეხვედრისას „გასომხებული" ქართული პროდუქციის ბედითაც დაინტერესდება... გასაგებია, რომ ჩვენი პრეზიდენტი გამუდმებით გაიძახის: მე სომეხიც ვარ, აზერბაიჯანელიც, ოსიც და აფხაზიცო, მაგრამ, იმედია, სარქსიანთან შეხვედრისას, თავს მოერევა და მოახერხებს, სულ რამდენიმე წუთით მაინც იყოს ქართველი; უფრო ზუსტად — საქართველოს ინტერესების დამცველი.

**თეო ტაბატაძე**




## მიხეილ სააკაშვილი 22 იანვარს ოფიციალური ვიზიტით სომხეთს ეწვევა. კარგი იქნება, თუ თავის სომეხ კოლეგასთან — სერჟ სარქსიანთან შეხვედრისას „გასომხებული" ქართული პროდუქციის ბედითაც დაინტერესდება... იმედია, შეძლებს, სულ რამდენიმე წუთით მაინც იყოს საქართველოს ინტერესების დამცველი.


ერევანი. 2009 წლის 25 ივნისი

## გაჟურნაზებულნი



**პაატა ჯიბლაძე,**
**ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივანი:**

სააკაშვილი 6 იანვარს სომხურ ეკლესიაში მივიდა და დააბრეხვა, სომხური მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიაო! მე გულწრფელად ვულოცავ ჩვენს სომეხ თანამემამულეებს გრიგორიანულ შობას, მაგრამ, თუ ისინი მართლმადიდებლები იყვნენ, ნამდვილად არ ვიცოდი! იქნებ, სააკაშვილმა ისიც გვითხრას, როდის გახდნენ გრიგორიანელი სომხები მართლმადიდებლები?

*„ასავალ-დასავალი"*



**ეკა ბესელია,**
**„სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" თავმჯდომარე:**

როდესაც ქალბატონი ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ლევან გაჩეჩილაძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები და მთელი ეს ამბები „სახალხო კრებას" აბსოლუტურად არ ეხებაო, მე გეტყვით, რომ პირდაპირ ეხება და ახლავე დაგიკონკრეტებთ, თუ რატომ... გაიხსენეთ, ბადრი ბიწაძე თავის ინტერვიუში აცხადებს, — „ქართული პარტიის" ლიდერები „სახალხო კრებაში" შემოსვლის სანაცვლოდ ჩემგან ორ თუ სამ მილიონს ითხოვდნენო!.. ეს ხომ პირდაპირი აღიარებაა იმისა, რომ „სახალხო წარმომადგენლობით კრებაში" შემომსვლელთა ვინაობას, სუბიექტებს განსაზღვრავდა ნინო ბურჯანაძე!..

*„ალია"*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:**

7 ნოემბერს რომ დაგვარბიეს, ამდენი ახალგაზრდა ქუჩაში რომ დახვრიტეს, ხალხი რომ მოწამლეს, პოლიტპატიმრებით ციხეები რომ გამოავსეს, მასმედია რომ გაანადგურეს და გააუბედურეს, ბიზნესი რომ გაანადგურეს, სასამართლო რომ გააუპატიურეს, ამაზე ამერიკის რომელიმე ელჩმა ხმა რატომ არ ამოიღო? სააკაშვილმა ზურაბ ჟვანია რომ მოკლა, ამერიკის ელჩმა რატომ არ ამოიღო მაშინ ხმა? რატომ?.. ბადრი პატარკაციშვილი რომ მოკლა მიხეილ სააკაშვილმა, მაშინ რატომ არ ამოიღო ამერიკის ელჩმა ხმა? თუ არ იციან ამერიკელებმა, ვინ მოკლა ჟვანია და პატარკაციშვილი? აი, ასეა რა, სეთურისა და თაბაგარის ქვეყანაში ვცხოვრობთ!..

*„კვირის ქრონიკა"*



**ჯონ ბასი,**
**აშშ-ის ელჩი საქართველოში:**

მინდა, გამოვეხმაურო გმირთა მოედანზე მომხდარ იმ მოვლენებს, რომელთაც 2-3 დღის განმავლობაში ვადევნებდი თვალყურს. შეშფოთებული ვარ, რომ პოლიციამ პროტესტის გამომხატველთა მიმართ ძალა გამოიყენა. რა თქმა უნდა, ძალადობა არ უნდა იყოს გამოყენებული პროტესტის გამომხატველი ადამიანების წინააღმდეგ. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს დემოკრატიულ ქვეყანაში.

*„ახალი თაობა"*



**ინგა გრიგოლია,**
**თბილისის საკრებულოს წევრი:**

№5 სამშობიარო სახლიდან ერთ დღეში 80-მდე ღვაწლმოსილი ექიმი და ექთანი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაითხოვეს. ჩვენი ინფორმაციით, შემცირებები სხვა კლინიკებშიც იგეგმება. ხელისუფლება სახელმწიფო სტრუქტურებში კადრების 20-პროცენტიან შემცირებებს გეგმავს, ისედაც გაზრდილი გადასახადების ფონზე კი ადამიანების შემოსავლის გარეშე დატოვება დანაშაულია.

*„რეზონანსი"*



**ლუკა კურტანიძე,**
**მსოფლიო ჩემპიონი:**

გამოიღვიძეთ, ხალხო, გამოდით და დაგმეთ ეს არაკაცობა, უსინდისობა, არაეროვნულობა, არაქართველობა. ძალა ხალხშია! სანამ საბოლოოდ არ ქცეულხართ მონებად, დადექით იქ, სადაც საჭიროა, გაერთიანდით, თქვენი პროტესტი გამოთქვით, ხმა ამოიღეთ, თქვით, რომ ასეთი ძაღლური ცხოვრება არ შეგიძლიათ, რად გინდათ პოლიტიკოსები, ლიდერი და წინამძღოლი, გამოდით და თქვენი გასაკეთებელი გააკეთეთ!

*„ასავალ-დასავალი"*

19 — 25 იანვარი, 2011 წელი. №01 (92)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## საქართველო ამერიკულ იარაღს ვერ მიიღებს



**პენტაგონმა უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ საქართველოსთვის მესამე ქვეყნების მეშვეობით საჰაერო თავდაცვისა და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების მიწოდებას აპირებს.** „ეს სიცრუეა“, — განუცხადა „РИА Новости”-ს აშშ-ის თავდაცვის უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეთანხმებას შეიარაღების მოწოდებაზე თითქოსდა დეკემბერში ვაშინგტონში სახელმწიფო მინისტრის — გიორგი ბარამიძის ვიზიტის დროს მიაღწიეს.

## თალიბებმა რობოტი გაიტაცეს



**ავღანეთში, ქალაქ სანგინის მახლობლად კურიოზული შემთხვევა მოხდა, „თალიბანის“ მებრძოლებმა მესანგრე რობოტი გაიტაცეს, რომელიც საკმაო დროის განმავლობაში მათ ასაფეთქებელ მოწყობილობებს ანეიტრალებდა.** თალიბები მოსალოდნელი განაღმვის ადგილას ჩასაფრდნენ და, როდესაც რობოტი მიუახლოვდა, საბანი გადააფარეს და მანქანისკენ წაათრიეს. ვიდრე ასიოდე მეტრში მყოფი ამერიკელი მესანგრეები გონს მოვიდნენ, ცეცხლი გახსნეს. თალიბებმა გატაცებული რობოტით გაქცევა მოახერხეს.

## საით უბერავს «აღმოსავლეთის ქარი»?



**აშშ-ს წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლის ადმირალ რობერტ უილარდის განცხადებით, ჩინეთმა ნავარაუდევზე ადრე წარმატებით დაასრულა ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის „Dongfeng 21 D“-ის (DF-21, „აღმოსავლეთის ქარი“) გამოცდა და მათი ოპერატიული გაშლა დაიწყო.** „ეს არსებითად ცვლის ძალთა ბალანსს რეგიონში, — წერს „Financial Times“-ი, — „DF-21-ის სტრატეგიული მნიშვნელობა ისაა, რომ მას შეუძლია გამორიცხოს აშშ-ის ავიამზიდი დაჯგუფების მიახლოება ჩინეთის ნაპირებთან რამდენიმე ასეული კილომეტრის რადიუსში და ტაივანის სრუტეში შესვლა სათუო გახადოს“.

## თურქეთი სამხედრო ხარჯებს ზრდის



**თურქეთის სამხედრო ბიუჯეტი 11,3 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ახალი შეიარაღების შეძენაზე 4,5 მილიარდი დოლარის დახარჯვა იგეგმება, რაც შარშანდელზე 10%-ით მეტია.** სულ მომავალი 10 წლის განმავლობაში მეზობელი ქვეყანა აპირებს, შეიძინოს 100 თვითმფრინავი „F-35 Joint Strike Fighter Lighting II, 30 — F-16 Block 50, 6 — U-291 ტიპის წყალქვეშა ნავი, 7 მილიარდი დოლარის მოიერიშე და სატრანსპორტო ვერტმფრენი, აგრეთვე, შექმნას მოქმედების შორი რადიუსის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა და პირველი თურქული ძირითადი საბრძოლო ტანკი.

# ავღანეთში ამერიკული ტანკები გამოჩნდა

**ომს ავღანეთში ბოლო არ უჩანს და, შესაბამისად, ჩვენც განვაგრძობთ მისი სხვადასხვა ასპექტების მიმოხილვას; დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ამერიკული სარდლობის გადაწყვეტილებაზე, ავღანეთში ტანკები გადაისროლოს. 14 „Abrams“-ი უკვე ჰელმანდის პროვინციაში საზღვაო ქვეითთა კორპუსის განკარგულებაშია. რამდენად ეფექტური შეიძლება გამოდგეს მათი გამოყენება?**



დღეს ავღანეთში „ISAF“-ის 150 ათასი ჯარისკაცი და სამთავრობო ძალების 200 ათასი მებრძოლია, თალიბების რაოდენობა კი, ამერიკელი სამხედროების შეფასებების თანახმად, 35 ათასს არ აღემატება. შეფარდება „ათი ერთზე“ მსოფლიო სამხედრო ისტორიაში უპრეცედენტოა; შედარებისთვის ვიეტნამის ომის ამერიკელებისთვის ყველაზე წარმატებულ პერიოდში „ვიეტკონგის“ ერთ მებრძოლზე ხუთი ამერიკელი და სამხრეთვიეტნამელი მოდიოდა. **საბჭოთა კონტინგენტი ავღანეთში 100 ათას კაცს (მეოთხედს სამოქალაქო სპეციალისტები შეადგენდნენ) არ აღემატებოდა და ქვეყნის ტერიტორიის 70%-ს აკონტროლებდა, „ISAF“-ი კი მხოლოდ 20%-ს აკონტროლებს.** უზარმაზარი უპირატესობა — ცოცხალ ძალაში, ავიაციის სრული ბატონობა — ჰაერში; და ყოველივე ამის მიუხედავად, **კოალიციის სამხედროები ბრძოლის ველზე ტანკების გამოჩენას ისეთი სიხარულით ხვდებიან, თითქოს ის სასწაულმოქმედი იარაღი, „WUNDERWAFFE“ იყოს, რომელიც ომში გარდატეხას შეიტანს.**



„ტანკი პარტიზანებთან ბრძოლაში“ — თავისთავად ამ სიტყვებმა შეიძლება დამკვირვებელი სკეპტიკურად განაწყოს. უნდა აღინიშნოს, რომ ჰელმანდის პროვინციის (იქ ქართული კონტინგენტიც იმყოფება) რელიეფი, ავღანეთის მაღალმთიანი რაიონებისგან განსხვავებით, ტანკების გამოყენებისთვის შედარებით მოსახერხებელია. ამ პროვინციაში მუდამ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. ეს გასაკვირი, ალბათ, არც უნდა იყოს: პროვინციაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომუნიკაციები გადის, მათ შორის ავღანეთის ცნობილი „წრიული ტრასა“ (გერათი-ყანდაგარი-ქაბული-მაზარიშარიფი).

**რაც მთავარია, ეს პროვინცია ავღანეთში ნარკოტიკული ნივთიერების უდიდესი მწარმოებელია.**

გაეროს შეფასებით, 2007 წელს ოპიუმის ყაყაჩო იქ 103 ათას ჰექტარზე დაითესა (საგულისხმო ინფორმაცია: „BBC“-ის ცნობით, ადგილობრივი პოლიციელების 60% ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელია). **„თა-** ▶

# რატომ ჩამოინგრა «რკინის გუმბათი»?

**გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ისრაელმა კვლავ გადადო ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის „Iron Dome“-ის (ებრალურად „კიპატ ბარზელ“, ანუ „რკინის გუმბათი“) გაშლა. ნავარაუდევი იყო, რომ ის მწყობრში 2011 წლის პირველ კვარტალში ჩადგებოდა, თუმცა ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, „სისტემაში შეიძლება მთელი რიგი ხარვეზები იყოს, ამიტომ აუცილებელია ახალი გამოცდის ჩატარება“.**



თავდაპირველად ისრაელის თავზე „რკინის გუმბათის“ აღმართვა 2010 წლის აპრილში იგეგმებოდა, შემდეგ — ნოემბერში, ახლა კი სამხედროებმა თარიღი ისევ გადაწიეს. ამასთანავე, ცნობილი გახდა რიგი დეტალები, რამაც აიძულა ისრაელის მოქალაქეები ახალ სისტემას უფრო სკეპტიკურად მოეკიდონ. აშკარაა, რომ **ადრინდელი მოლოდინი აბსოლუტური დაცვის სისტემის შესახებ, რომელიც „IRON DOME“-ს უკავშირდებოდა, წარსულს ჩაბარდა. საინტერესოა, რა გახდა ამის მიზეზი?**

„კასამის“ ტიპის მოქმედების მცირე რადიუსის რაკეტები პალესტინელმა ბოევიკებმა პირველად 2001 წლის შემოდგომაზე გამოიყენეს. ამ დროიდან სარაკეტო იერიშები პერმანენტულად ხორციელდება, რითაც ყველაზე მეტად დაზარალდა ღაზის სექტორის სიახლოვეს მდებარე ქალაქები სდეროტი და აშკელონი, აგრეთვე, დასახლებები ლიბანის საზღვარზე. **სარაკეტო ტერორის ინტენსიურობის შემცირება 2008-09 წლების მიჯნაზე ღაზას სექტორში ჩატარებული ოპერაცია „CAST LEAD“-ის შედეგად მოხერხდა, რამაც ისრაელის საერთაშორისო იმიჯს დიდი ზიანი მიაყენა. თუმცა სარაკეტო პრობლემის სისტემური გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, შეტევები მაინც გრძელდებოდა.**

საინტერესოა, რომ სარაკეტო საფრთხე სამხედროებმა და კონსტრუქტორებმა წინასწარ განჭვრიტეს და 1995 წლიდან მუშაობდნენ მობილური კომპლექსის „Nautilus-ის შექმნაზე, რაც მცირე რადიუსის რაკეტებს ლაზერული სხივით გაანადგურებდა. თუმცა 2008 წლისთვის შექმნილმა საცდელმა ნიმუშმა გამოცდის დროს სამიზნეთა მხოლოდ 35%-ის განეიტრალება შეძლო. შესაბამისად, სამხედროებმა ფიქრი ნაკლებად რევოლუციურ და უფრო დაცდილ ტექნოლოგიებზე დაიწყეს.

მუშაობაში „Iron Dome“-ის შექმნაში ისრაელის წამყვანი კომპანიები ჩაერთნენ; სისტემას მთლიანობაში „Rafael Advanced Defence Systems“-ი ქმნის. მრავალმიზნობრივი რადიოსალოკაციო სადგური „EL/M-2084“ კი „Elta Systems-მა შექმნა. ის რაკეტების იდენტიფიკაციასა და მათი ტრაექტორიის გამოთვლას ახდენს. **ვინაიდან „კასამების“ 75% მიზანს ცდება, იმ შემთხვევაში, თუ ცხადი გახდება, რომ რაკეტა მიზანს ასცდა და დაუსახლებელი ტერიტორიისკენ მიფრინავს, ბრძანება მისი განადგურების შესახებ არ გაი-** ▶

**საქართველო**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



**◀ლიბანის“ პოზიციები ამ პროვინციაში ძალზე სერიოზულია.**

იმ ოპერაციების მთავარი მიზანი, რომლებიც ამჟამად ჰელმანდში ტარდება და უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, გაცილებით მასშტაბურ ხასიათს მიიღებს, თალიბების კომუნიკაციების დარღვევა და მათი მომარაგების სისტემის მოშლაა.

„სამხრეთ-აღმოსავლეთის სარდლობის“ ხელმძღვანელმა, გენერალ-მაიორმა რიჩარდ მილსმა, საკმაოდ ხატოვნად განაცხადა, რომ ტანკების ოპტიკო-ელექტრონული სისტემები დაეხმარება მას,მ „თალიბებს ღამე გამოსტაცოს“. ამასთან, **ამერიკელი სამხედროები აღნიშნავენ, რომ „ABRAMS“-ის 120 მმ-იანი ქვემეხი ეფექტური იქნება შორი მანძილებიდან შენობების გასანადგურებლად, რომელთა თიხის კედლები ძალზე გამძლეა. ეს პრობლემა თავის დროზე საბჭოთა ჯარებსაც ჰქონდათ და ამისთვის, აგრეთვე, ტანკებსა და ისეთ „არაპროფილურ“ ტექნიკას იყენებდნენ, როგორიცაა „ЗСУ-23-4 Шилка.**



აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სარდლობა ავღანეთში „T-62”-ებს აგზავნიდა, რადგან შედარებით ახალ (და ძვირადღირებულ) „T-64”-სა და „T-72”-ს იქ ადეკვატური მოწინააღმდეგე არ ჰყავდა. სავარაუდოდ, ამერიკული სარდლობაც გამოიყენებს ტანკებს, როგორც მობილურ საცეცხლე წერტილებს ბლოკპოსტების დასაცავად და საზღვაო ქვეითთა ტაქტიკური ჯგუფების შემადგენლობაში დასახლებული პუნქტების გაწმენდის დროს.

**ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ტანკის ადგილი ქალაქში არ არის“, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად არ უნდა განვიხილოთ, რადგან აქ საუბარია ქვეითებისგან მოწყვეტილ ტანკზე, ხოლო მისი გონივრული გამოყენება მოიერიშე ტაქტიკური ჯგუფების შემადგენლობაში ძალზე ეფექტურია,** რასაც მეორე მსოფლიო ომისა (მაგ. ბუდაპეშტის შტურმი, სადაც მოიერიშე ჯგუფები 2-3 ტანკისგან, მესანგრეთა ოცეულისა და მსროლელთა ასეულისგან შედგებოდა) და XX საუკუნის კონფლიქტების (ისრაელის არმიის ოპერაციები დასახლებულ პუნქტებში) გამოცდილება ცხადყოფს. ამასთანავე, ჰელმანდის დასახლებული პუნქტები მრავალსართულიანი შენობებით დაფარული მეგაპოლისების ლაბირინთებს ნამდვილად არ მოგვაგონებენ. **მთავარი საფრთხე ტანკისტებისთვის ავღანეთში, ალბათ, სხვა მხრიდან მოდის; სარდლობის მხრიდან არაგონივრული იქნება, ტანკების გამოყენება კოლონების გასაცილებლად მაღალმთიანი რეგიონების ხეობებში გამავალ ტრასებზე (კერძოდ, ცენტრალურ ავღანეთში), თუმცა ამ პრაქტიკას ადგილი ჯერჯერობით არც აქვს.**

ხილული პლიუსების მიუხედავად, კონტრპარტიზანულ ომში (თანაც ავღანეთში) ისეთი ძვირადღირებული საშუალების მასობრივი გამოყენება, როგორიცაა ძირითადი საბრძოლო ტანკი, მაინც ნონსენსს წარმოადგენს, რადგან **დახარჯული რესურსები ნებისმიერ შემთხვევაში მოსალოდნელ ეფექტზე გაცილებით დიდი იქნება.**

თუმცა კონკრეტულ პროვინციაში, შედარებით „ზომიერი“ ლანდშაფტის პირობებში, მათი გამოყენება შეზღუდული რაოდენობით შეიძლება ლოგიკას მოკლებული არ იყოს.

კოალიციის სარდლობის განცხადებებითა და ძალთა გადაადგილებით თუ ვიმსჯელებთ, **უახლოეს მომავალში ჰელმანდში სერიოზული შეტევითი ოპერაციები ჩატარდება.**

შეტაკებები იქ ახლაც მიმდინარეობს, თუმცა ამჯერად ჩვენ ვსაუბრობთ იმ მასშტაბის შეტევით ოპერაციებზე (და შესაბამის დანაკარგებზე), **რომლებიც გასული წლის მიწურულს ყანდაგარში ჩატარდა.** შესაბამისად, ჰელმანდში მყოფი ქართული კონტინგენტის ჯარისკაცები შეიძლება მძიმე ბრძოლების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ.

---

**◀ცემა. ეს გასაგებიცაა: თვითნაკეთი „კასამების“** (ის ჩვეულებრივი მილებისგან, საყოფაცხოვრებო ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით მზადდება) **ღირებულება 150-200 დოლარია, ხოლო „გრადის“ 122 მმ. ჭურვის, რომელსაც „ჰამასის“ ბოევიკები ირანიდან იღებენ, — დაახლოებით 1000 დოლარი;** „Iron Dome“-ი მათ „Tamir“-ის ტიპის ახალ რაკეტებს უპირისპირებს, რომელთა ღირებულება, თავდაპირველი გათვლების მიხედვით, 45 ათასი დოლარი უნდა ყოფილიყო, თუმცა საბოლოო ჯამში მან 100 ათას დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ სულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე პროექტის ფარგლებში 240 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

სამხედროებისთვის ცხადი გახდა, რომ ამ სისტემის გამოყენება „კასამების“ საფრთხის წინააღმდეგ ეკონომიკურად ძალიან წამგებიანია. „Tamir“-ი თავისთავად შესანიშნავი რაკეტაა მაღალტექნოლოგიური არაკონტაქტური საბრძოლო ნაწილით, რომლის მახასიათებლები გასაიდუმლოებულია (სხვა მონაცემები: სიგრძე 3 მეტრი, დიამეტრი 160 მმ., მასა 90 კგ, სიჩქარე 300 მ/წმ), **თუმცა მისი გამოყენება 100-ჯერ უფრო იაფი რაკეტების წინააღმდეგ გაუმართლებლად დიდ ხარჯებს დაუკავშირდება.**

ამასთანავე, უზარმაზარი ხარჯების მიუხედავად, ცხადი გახდა, რომ „Iron Dome“-ი პანაცეა არ არის. საქმე ისაა, რომ კომპლექსის საბრძოლო მუშაობის დრო სამიზნის აღმოჩენის, იდენტიფიკაციისა და რაკეტის გაშვების ჩათვლით 15-30 წამია, ზუსტად ამდენი დრო სჭირდება „კასამებს“ იმისთვის, რომ მიაღწიოს მთელ რიგ ებრაულ დასახლებებს სასაზღვრო ზოლში.



შესაბამისად, არ გამოირიცხება სიტუაცია, როდესაც მათი განადგურება ვერ მოხერხდება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, **ისრაელის არმია იძულებული გახდა, პირვანდელი გეგმებისთვის გადაეხედა.** ჩრდილოეთის სამხედრო ოლქის სარდლის, გენერალ-მაიორ გადი აიზენკოტის თქმით: **„მოქალაქეებს ილუზია არ უნდა ჰქონდეთ. დამცავ ქოლგას თითოეული მათგანის თავზე არავინ გაშლის. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები გამოყენებული იქნება ჩვენი ძირითადი საზღვაო და საავიაციო ქვედანაყოფებისა და სამობილიზაციო ბაზების დაცვისთვის. ასე რომ, მომდევნო სამხედრო კონფლიქტის პირველ დღეებში ზოგიერთი რაიონის მცხოვრებლებს მოწინააღმდეგის სარაკეტო იერიშების გადატანა მოუწევთ და ამას ვერაფერს მოვუხერხებთ“.** ამ განცხადებამ, შესაძლოა, „ცივი შხაპის“ როლი შეასრულა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ „რკინის გუმბათი“ მათ სარაკეტო იერიშებისგან საიმედოდ დაიცავდა, რადგან პოლიტიკოსები და სამხედროები მსგავს დაპირებებს ადრე უხვად იძლეოდნენ, თუმცა ძველი ჭეშმარიტება — **„აბსოლუტური დაცვა არ არსებობს“ — ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ დადასტურდა.**



მოამზადა
**გიორგი გიგიბერიამ**

---

## გაფრთოზებულნი



**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**

ამერიკელებმა გააკეთეს რასაც დაგვპირდნენ — გარკვეული ნიუანსებით მოახდინეს შეთანხმების (სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღება) რატიფიცირება. ახლა ჩვენი პარლამენტის ჯერია. ჩვენ ყველანაირი შესაძლებლობა გვაქვს, რომ შესაბამისად მოვიქცეთ. ვიმედოვნებ, რომ ამგვარი გადაწყვეტილებას მივიღებთ.

*rian.ru*



**სერგეი ლავროვი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი:**

თანამედროვე მსოფლიოში შემდგომი მოლაპარაკებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განმტკიცდეს საერთაშორისო სტაბილურობა და როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სტრატეგიული პარიტეტი, არ შეიძლება ამ პრობლემის რომელიმე ერთ ასპექტში მიმდინარეობდეს. სტაბილურობაზე ზეგავლენას ახდენს არაბირთვული სტრატეგიული შეიარაღებაც, რომელზეც აშშ მუშაობს, და კოსმოსში იარაღის განლაგების გეგმაც, რომელსაც რუსეთი აქტიურად ეწინააღმდეგება. ყველა ფაქტორის ერთობლიობის გათვალისწინებით, შემდგომი მოლაპარაკებების წარმოება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ შეთანხმება შესრულდება.

*rian.ru*



**ანატოლი სერდიუკოვი,**
**რფ-ის თავდაცვის მინისტრი:**

ჩვენ ყველა პარამეტრის მიხედვით, გამშვები დანადგარების ჩათვლით, იმ დონეზე, რომელიც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეთანხმებაშია ჩადებული, მხოლოდ 2028 წელს გავალთ. რაც შეეხება საბრძოლო ქობინებს, 1550 ერთეულის დონეზე 2018 წელს გავალთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არც ერთ ერთეულს არ გავანადგურებთ.

*rian.ru*



**ჯულიან ასანჯი,**
**„ვიკილიქსის“ დამფუძნებელი:**

როდესაც საუბარია ცენზურაზე, ჩინეთი ყველაზე საშიში მტერია. ეს აგრესიული ქვეყანაა. ის მონაცემთა გაკონტროლების რთულ ტექნოლოგიებს ფლობს და ამის წყალობით ქსელის ყოველი მომხმარებელი ცისქვეშეთში და ჩინეთის საზღვრებს გარეთ მდებარე ინფორმაციის წყარო საფრთხის წინაშე დგას... ამერიკას არ სურს, რომ საზოგადოებამ მომავალშიც გაიგოს მისი არასასურველი საიდუმლოებები და, რადაც უნდა დაუჯდეს, შეეცდება განტევების ვაცთა პოვნასა და დასჯას.

*dni.ru*



**რობერტ გეიტსი,**
**აშშ-ის თავდაცვის მინისტრი:**

იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოკორეელები განაგრძობენ ბირთვული იარაღისა და კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების შექმნაზე მუშაობას, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აშშ-ისთვის პირდაპირ საფრთხედ ყალიბდება და ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ.

*interfax.ru*



**ჰილარი კლინტონი,**
**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**

ვისურვებ, რომ არსებობდეს გზა, რისი მეშვეობითაც ჩვენ რამდენიმე სახელმწიფოს დავარწმუნებთ, თუ რა უნდა გააკეთონ, რადგან ზოგიერთი ქვეყნის გადაწყვეტილებები არც მათი ხალხის, არც მეზობელი ქვეყნების და მთლიანად მსოფლიოს ინტერესებში არ შედის... შეერთებულ შტატებს არ აქვთ იმის ბერკეტი, რომ ისრაელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედება მოახდინოს.

*ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა“*



**ვოლფგანგ შოიბლე,**
**გერმანიის ფინანსთა მინისტრი:**

ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე-მანუელ ბეროზუ თავისი მოწოდებებით, გაიზარდოს ანტიკრიზისული ფონდი ევროკავშირის ქვეყნებისათვის, ევროზონაში კრიზისის გართულებას უწყობს ხელს.

*lenta.ru*

19 – 25 იანვარი, 2011 წელი. №01 (92)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ფიშკორის მარგალიტები

## ქვემო სვანეთი

**მკითხველო, ერთ რამეში უნდა შევთანხმდეთ: ამდენს კი ვმოგზაურობთ ერთად, მაგრამ ტურისტები არ ვართ და ვერც ვიქნებით საკუთარ მამულში. ჩვენ მამა-პაპათა კვალში ჩამდგარი, მათი შრომისა და ნაღვაწის მაძიებლები ვართ.**
**იმედია, რომ საშობაო არდადეგებმა არ დაგვავიწყა, ბოლოს სად ვიმოგზაურეთ — ქვემო სვანეთის ლაშხეთის თემში.**
**ლაშხეთში საკმაოდ ბევრი ეკლესიაა: ზოგი ქვისა და ზოგიც ხის, ზოგი ძველი და ზოგიც ახალი (საბაში, ჩიხარეში, მახაში, დაბიში, ახაშენი, მელე, ნაცული, შგედი, მარგვიში, ღობი და სხვ.). სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაში ერთადერთი დღეა დარჩენილი და ამიტომ, ლუჯისა და ხერიის ეკლესიების შემდეგ, ყველაზე გამორჩეული ძეგლები უნდა ვნახოთ. ასეთი კი ლაშხეთში უდავოდ ჟახუნდერისა და ჩუკულის ეკლესიებია, რომლებიც ხერიიდან ჩრდილოეთით, ფიშკორის წყლის ხეობაშია და წინა მოგზაურობისას ამოვიღეთ მიზანში.**







ჟახუნდერის „წმ.გიორგი“, მისი კარი და ტრიპტიხი

სოფელ **ჟახუნდერში** რამდენიმე პატარა უბანია. ერთ-ერთ მათგანში, იქ, სადაც სასაფლაოა, მაღალი ხეების გარემოცვაში, აღმართულია ქვემო სვანეთის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ტაძარი — წმ. გიორგის სახელობის საყდარი. მისი ხილვისას უწინარესად თვალში გვეცემა შირიმის ქვის თანაბარი ზომისა და იდეალური თლის კვადრები, მათი წყობის ხელოვნება. ამსიმაღლე ტაძარი არათუ ლაშხეთში, მთელ სვანეთშიც იშვიათად გვხვდება. 9,9 მეტრის სიგრძისა და 7,1 მეტრი სიგანის საყდრის სიმაღლე, ფრონტონის წვერიდან მიწის ზედაპირამდე, 8,5 მეტრია. ეკლესიაში ორი მხრიდან შეიძლება მოხვდეთ: სამხრეთისა და დასავლეთის კარიდან. ტაძარი 5 ვიწრო, მაგრამ მაღალი სარკმლით კარგადაა განათებული და მისი დათვალიერება არ გაგიჭირდებათ. გარედან 3 კედელი სრულიად სადაა, აღმოსავლეთის კედელზე კი თვალს იზიდავს სარკმლის უზარმაზარი საპირე. იგი შექმნილია ღარიანი ქვებით და მათზე ამობურცული მცირე-მცირე ღილაკებით. კვადრატის შიდა ფართი შელესილია და მოხატული უნდა ყოფილიყო. სარკმლის ამდაგვარი საპირე ჯერაც არ შეგვხვედრია საქართველოში. ამ მოჩარჩოებული კვადრატის ზედა ორ კუთხესთან ჩასმულია მართკუთხედის ფორმით ამოღარული კიდევ ორი მცირე ფილა, რომლებშიც, ალბათ, წმინდანთა ქანდაკებები, ვფიქრობთ, ცხენოსანი წმ. გიორგი და წმ. დემეტრე (ან წმ. თევდორე) უნდა ყოფილიყო. ამავე აღმოსავლეთ კედელზე, კუთხეში ჩასმულია ორი ტოლმკლავა ჯვრიანი ქვა. აქვე, ასომთავრული დამწერლობით ამოკვეთილი წარწერის წაკითხვას ექვთიმე თაყაიშვილი ძალიან ეცადა და მხოლოდ ეს მოახერხა: **„წმიდაო გიორგი ჯახუნდერისაო შეიწყალე აზნაურნი... აღაშენა საღტარი და...“**

ტაძარში შესასვლელი ერთ-ერთი კარი (ვფიქრობთ, დასავლეთისა) მდიდრულადაა მოჩუქურთმებული და წმინდანთა პორტრეტებით შემკული. ეს კარი ახლა საქ. სახელმწიფო მუზეუმში ინახება. ჯახუნდერის ტაძარს ეკუთვნის ასევე წმ. გიორგის უნიკალური მოოქროვილი ხატი. უნიკალურია ეს ხატი იმიტომ, რომ მასზე ცხენოსანი მთავარმოწამე ტრიუმფატორი კი არ არის გამოსახული, რომელიც დიოკლიტიანეს ან გველეშაპს ჰკლავს, არამედ ჩვეულებრივი შუბოსანია. გარდა ამისა ხატი თვალშისაცემია თავისი დეკორატულობით. მთავარმოწამის მანტიასა და ცხენის თეძოს შორის 3,5 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ექვ. თაყაიშვილს ასე აქვს წაკითხული: **„მოიჭედა ესე ხატი მამასახლისობასა ვახტანგ ლომინაის ძისასა და გამოიღო ოცისა დრაჰკანისა საქონელი მისა ხელოვანთა მისაცემელად და გვედრიან სულითა და ხორცითა, მოწამეო გიორგი“.**





ხატის ზურგის ძელზე მეორე ასომთავრული წარწერაცაა, ოღონდ პირველზე ძველი: **„წმიდაო გიორგი, ცოცხლობით გაუმარჯვე სულას გელოანსა, ცოდვანი მათნი შეუნდვნეს ღმერთმან და მეუღლესა მათსა შეუნდვნეს ღმერთმან, ძენი განაძლიეროს ღმერთმან“.**

ექვთიმე თაყაიშვილი ხატს XIV საუკუნეს განაკუთვნებდა, გ. ჩუბინაშვილი კი XI საუკუნეს. **გარდა ამისა ჟახუნდერის „წმ. გიორგიში“ დაბრძანებული იყო კიდევ უფრო ძველი, X საუკუნის ღვთისმშობლის ტრიპტიხი.**

ამჟამად ტაძარში ქვის ძველი კანკელის ნაცვლად, ახალი ხის კანკელია ჩადგმული, ხოლო ფრესკებიდან ყველა განადგურებულია. დამაფიქრებელია ის ამბავი, რომ ამგვარ უნიკალურ ტაძარს დასავლეთ კედელში გაჩენილი ბზარი ცემენტის ახალმა ხსნარმაც ვერ შეუხორცა, ხოლო კამარული გადახურვის ცენტრალური თაღი შუა ნაწილში ისეა დეფორმირებული, რომ საეჭვოა დიდხანს გაძლოს.

დავტოვოთ ჟახუნდერი და ხეობას ზევით შევუყვეთ, სადაც — როგორ ვთქვა, არ ვიცი — არის და თან არც არის სოფელი **ჩუკული.** 5 წლის წინანდელმა მეწყერმა 150-კომლიანი სოფელი ქვა-ღორღად აქცია. ბედად, მოსალოდნელი უბედურების პროგნოზი არსებობდა და მოსახლეობამ საშვიდობოს გაასწრო, თორემ აქ ენით უთქმელი საშინელება დატრიალდებოდა. ახლა ჩუკულში 4 კომლი მოსახლეობა ცხოვრობს შედარებით უწყინარ ალაგზე. ერთ-ერთი მათგანი ევტიხი ონიანის ოჯახია. მის ეზოში დგას კარგად შემონახული კოშკი და დროთა განმავლობაში დაშლილი ეკლესიის ცალი კედელი. **ახლა ძნელი დასადგენია, ეს არის თუ არა იმ დიდი ეკლესიის ნაშთი, რომელზეც ექვთიმე თაყაიშვილი მიგვანიშნებს: — მთავარანგელოზობა აქ აღინიშნებოდა ხოლმეო. ნაეკლესიარი რომ მაცხოვრის სახელობისა ყოფილა, ამაში ევტიხი ონიანს შეცდომა არ შეიძლება მოსდიოდეს. მეორეც: თუ სოფელში შვერილწახნაგიანი მშვენიერი ტაძრის გარდა სხვა „მთავარანგელოზიც“ არსებობდა და თანაც ამ უკანასკნელზე უფრო დიდი, ეს აუცილებლად უნდა სცოდნოდა პ. კარბელაშვილს, რომელმაც უფრო ადრე — 1902-1903 წლებში იმოგზაურა აქ.**

მოდით, ამ თავსატეხის ამოხსნაზე უარი ვთქვათ და სოფლის თავში გავწიოთ, სადაც ნამეწყრალი ადგილიდან რამდენადმე ჩრდილოეთით, სასწაულებრივად გადარჩენილი სასაფლაოს ცენტრში, დგას IX-X საუკუნეების უნიკალური ტაძარი — საშუალო ზომის (7,75X5,5 მ) მთავარანგელოზის დარბაზული საყდარი, დასავლეთის გვიანდელი მინაშენით. ტაძარი აგებულია მოყვითალო შირიმის ქვის ჩინებულად დამუშავებული კვადრებით. **გარე ფორმებში თვალს მოგტაცებთ საყდრის 7 წახნაგიანი და 3 სარკმლიანი შვერილი აფსიდი. აქამდე ჩვენ მრავალნაირი შვერილი აფსიდი გვინახავს საქართველოს ტაძრებში: ნახევარწრიული, ნალისებრი მოყვანილობის, 3-წახნაგა და 5-წახნაგა ფორმის, მაგრამ 7-წახნაგა არსად შეგვხვედრია.**

ჩუკულის „მთავარანგელოზს“ ორი კარი აქვს: დასავლეთისა და სამხრეთისა. იდეალურად მოჩუქურთმებული კარი, როგორც გრაფინია უვაროვასა და პ. კარბელაშვილის, ასევე ექვთიმე თაყაიშვილის დროს, სამხრეთიდან ჰქონია შებმული ტაძარს, მაგრამ ახლა მუზეუმშია შენახული. პ. კარბელაშვილი წერს: „ურთხლის კარზე „საოცარის ჩუქურთმის ხელოვნებით გამოყვანილია წმინდა გიორგი, მიქაელ-გაბრიელი და თორმეტი მოციქულნი. ყველას ასომთავრულით წარწერილი აქვს სახელი. ამბიონის წინ, ერთი ადლის სიმაღლე ალებასტრით გალესილ სვეტზედ სდგას დიდი ჯვარი, ასე სამი ადლის სიმაღლისა, ვერცხლით შეჭედილი და ოქროში დაფერილი. ზედ გამოყვანილია ხატები — მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, წმიდა გიორგისა, მიქაელ-გაბრიელისა, მოციქულებისა. სვეტზე აწერია ხუცური ასომთავრულით ასე XIII-XIV ს-ის ხელით: **„ქ. წმიდაო მიქელ, ადიდე ჯუმბერ და სოფელი ესე“.**

ამ წარწერაში ექვთიმე თაყაიშვილი „ჯუმბერის“ ნაცვლად კითხულობს „ჯანბურს“. წმ. ექვთიმე ჯვრის კვარცხლბეკის ამ წარწერის გარდა შიფრავს სამხრეთ კედლის წარწერასაც: **„სახელითა ღმრთისაითა შეიქმნა ხათლუმი ესე ხელთა გიორგისითა“.** მ. ბროსე სიტყვა „ხათლუმის“ ნაცვლად კითხულობს „ტოლომს“. ამ საწინამძღვრო ჯვარს ერთგან დაქარგებული ასომთავრული წარწერაც აქვს: **„წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ევედრე წმიდა იესუ ქრისტესა და მეოხ ეყავ იესეს** (ან ივანეს) **და ნინოს“.**

გარდა ამისა ჩუკულის ტაძარში დავანებული იყო X ს-ის ღვთისმშობლის ტრიპტიხი, XI საუკუნის ღვთისმშობლის ხატი და ამავე საუკუნის მთავარანგელოზის ხატი. ყველა ეს საეკლესიო სიწმინდე უძვირფასეს ქართულ საგანძურს ამშვენებს. ბუნებრივია წარწერები ამ ხატებსაც აქვს. ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით მათში მოყვანილი სახელების ცნობილ ისტორიულ პირებთან იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანი ძვირფასია — ეს ადამიანები, ქტიტორები თუ ოქრომჭედლები, ჩვენი შორეული წინაპრები არიან.

აი, ასეთი საინტერესო აღმოჩნდა ჩვენი ქვემო სვანეთში მოგზაურობის ბოლო დღე. უაღრესად კმაყოფილი დავრჩებით, თუ ეს ნარკვევები ერთ ქართველს მაინც გამოადგება მომავალში და ცხენისწყლის სანახებში უფრო დიდი ცოდნით აღჭურვილი გაემგზავრება.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**





ჩუკულის „მთავარანგელოზი“, მისი ტრიპტიხი და საკურთხევლისწინა ჯვარი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარით თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-48 (2010 წ.)

**1828 წლის აგვისტოს ბოლოს ახალციხის საფაშოს დაპყრობით რუსეთის საზღვრები საგრძნობლად გაფართოვდა და უფრო საიმედოდ დაცული შეიქნა. სავარაუდოდ, ამ წლის კამპანია დასრულებულად ითვლებოდა. მაგრამ, უნდოდა რა თავისი მონაპოვარი გაემაგრებინა მარცხენა ფლანგზე, პასკევიჩი აქ შემოდგომაზეც დარჩა, სანამ გენერალ-მაიორის, თავად ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძისაგან არ მიიღო ცნობა მთელი ბაიაზეთის საფაშოს დაკავების თაობაზე.**

## ბაიაზეთის საფაშოს დაპყრობა

## (გენერალ-მაიორი, თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე)

როცა რუსული კორპუსი არპაჩაიზე გადავიდა და თურქულ მიწაზე დადგა ფეხი, სომხეთის ოლქში იმყოფებოდა არც თუ ისე დიდი რაზმი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა სევასტოპოლის ქვეითთა პოლკი, ორმოცდამეერთე ეგერთა პოლკის ექვსი ასეული, ბასოვის კაზაკთა პოლკი, ასევე, რვა ქვემეხი, სულ რაღაც ორი ათასი ხიშტი და სამას ორმოცი ცხენი. ამ უბადრუკი ძალებით ოლქის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა, თავადმა ჭავჭავაძემ საკმაოდ ვრცელი სასაზღვრო ზოლის დაცვის ბრძანება მიიღო, რადგან ბაიაზეთის საფაშოდან მოსალოდნელი იყო შემოსევები.

**ბაიაზეთის საფაშო უშუალოდ ესაზღვრებოდა სომხეთის ოლქს და მისგან გამოყოფილი იყო მხოლოდ სასაზღვრო ქედით აგრი-დაგით. ამ დასახლებულ პუნქტში 20 ათასი მცხოვრები იყო, რომლებიც ბაიაზეთის, დიადინის, ხამუსისა და ალაშკერტის საფაშოებში სახლობდნენ.**

**ბაიაზეთის საფაშო განსაკუთრებული კლიმატით გამოირჩეოდა. ასე რომ, ერევნიდან არც თუ ისე იშვიათად ჩამოდიოდნენ აქ ციებ-ცხელების სამკურნალოდ. მაგრამ ბუნების სიკეთის მიუხედავად, ბაიაზეთს საშინელი რამ „ეწვია“, რაც აქამდე უცხო იყო მისთვის. ეს იყო შავი ჭირი. უცხო ქვეყნების ექიმთა თქმით, შავი ჭირი აქ ყოველ შვიდ წელიწადში შემოაღწევდა ხოლმე, თურქეთთან ომის დაწყების წელი სწორედ ამ საშინელების დასაწყისიც იყო.**

ბაიაზეთის მოსახლეობა, ძირითადად, სომხებისაგან შედგებოდა, რომლებიც სამი ათასამდე ოჯახს, ანუ თვრამეტი ათას კაცს ითვლიდა. თურქები კი ბევრად უფრო ცოტანი იყვნენ. ისინი ქურთებთან ერთად ექვსას თუ შვიდას ოჯახს თუ წარმოადგენდნენ, მაგრამ, როგორც დამპყრობლებს, მხარის მმართველობა მათ ეპყრათ ხელთ. ბაიაზეთის სომხები კი დაჩაგრულები იყვნენ. მამაცი ახალგაზრდები ძირითადად ფაშების დაცვაში მუშაობდნენ.

მართალია, თურქები უშლიდნენ მათ ეკლესიაში ზარების რეკვასა და ჩალმის გარდა სხვა თავსაბურავის ტარებას, მაგრამ მხოლოდ ამ გარეგნული ფორმალობით კმაყოფილდებოდნენ და უფრო ღრმად არ შეხებიან მათ სულიერ ფასეულობებს. სულიერება სომეხ სასულიერო პირთა ხელში იყო. ყოველ შვიდ წელიწადში უხუცესი მამები ჩადიოდნენ ხოლმე ეჩმიაძინში და თავიანთი მრევლისთვის უმაღლესი პატრიარქის კურთხევა ჩამოჰქონდათ. თურქული ხელმძღვანელობა ყოველივე ამას გულგრილად ეკიდებოდა, თუმცა ხვდებოდა, რომ ეჩმიაძინი იყო ის ჯაჭვი, რომელიც ყველა სომეხს აერთიანებდა, რომლებიც რუსეთში, თურქეთსა და სპარსეთში ცხოვრობდნენ. უნდა ითქვას, რომ ბევრი ფაშა და ბეგი, რა თქმა უნდა, პატივისცემით არ ეკიდებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, მაგრამ მისი ერთგვარი შიში მაინც ჰქონდა. მაგალითად, ისინი ქედს იდრეკდნენ წმ. შუბის წინაშე და, როცა დგებოდა შავი ჭირის გამოვლენის დრო, თვითონ აგზავნიდნენ ეჩმიაძინში სომხებს ამ შუბის ჩამოსატანად. მისი გამოჩენა ბაიაზეთის ტაძარში ნიშნავდა საშინელი ავადმყოფობის სწრაფად დამარცხებას. ამბობენ, რომ **ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე, ბაიაზეთის ფაშამ, ამტკიცებდა რა ქრისტიანული სარწმუნოების არარაობას, თავის ასამდე პირად მცველს უბრძანა, ღვთის გმობის ნიშნად ასულიყო არარატის მთის მწვერვალზე. მათ იცოდნენ, რომ ეს იყო წმიდა მთა, სადაც წარღვნის შემდეგ უდიდესი საოცრება მოხდა კაცობრიობის ისტორიაში.**

მთაზე ასასვლელად შეარჩიეს მამაცი და მთებში სიარულს დაჩვეული ვაჟკაცები. ის იყო არარატის მთას შუაწელამდე მიაღწიეს, რომ უცებ საშინელი ქარბუქი ამოვარდა, ორი ადამიანი თოვლში გაიგუდა, რამდენიმე — გადმოვარდა; დანარჩენები, შიშისგან ცოცხალმკვდარნი, ძლივს ჩამოვიდნენ ძირს და უცებ მძიმედ იყვნენ ავად. ბუნების ეს რეაქცია ღვთის რისხვად მიიღეს. ამ ფაქტმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ცრუმორწმუნე თურქების გონებაზეც.

**ბაიაზეთის მკვიდრად მესამე ეროვნების ხალხი — ქურთები (აზიის აზვავებული ქვეყნების ჭირი) იყვნენ. მათ არანაირი ერთობა არ ჰქონდათ, იმართებოდნენ შეიხების მიერ, მუდმივად მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ თურქებსა და სომხებთან. მაგრამ ეს ველური ტომიც კი პატივისცემით ეკიდებოდა ქრისტიანულ სიწმინდეებს.**

**მიუხედავად ხუთსაუკუნოვანი მონობისა, იძაურმა სომხებმა შეძლეს, შეენარჩუნებინათ ზოგიერთი ქრისტიანული მონაპოვარი და ახლა რუსებისათვის წარმოადგენდნენ ძალას, რომელზეც, საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შეიძლებოდა დაყრდნობა.**

ბელიულ-ფაშა, რომელიც იმ დროს ბაიაზეთს მართავდა, წარმოშობით ქურთი იყო, ცნობილი გვარის წარმომადგენელი, გვარისა, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში მართავდა საფაშოს. ამ გვარის წარმომადგენლობა ქურთ ფაშებს იმდენად დამოუკიდებლებს ხდიდა, რომ ისინი სულთნებს გადასახადს არ უხდიდნენ; ოღონდ, როგორც ფეოდალ-მფლობელებს, საკუთარი სახსრებით უნდა აეშენებინათ სიმაგრეები საფაშოს დასაცავად, შეენახათ გარნიზონი, შეეძინათ სამხედრო მარაგი, საფანტი და იარაღი, მათ შორის, ზარბაზნები. თავიანთი სამფლობელოს დაცვით ისინი თურქეთის იმპერიის ნაწილსაც იცავდნენ. ამით ამოიწურებოდა მათი ვალდებულებანი თურქი სულთნების წინაშე. მეზობელი ფაშები შურით შესცქეროდნენ ბაიაზეთის ფაშას. როცა აბას-მირზას ორი თვის განმავლობაში ბლოკადაში ჰყავდა მოქცეული ბაიაზეთი, მეზობელი საფაშოები ფარული სიამოვნებით უცქეროდნენ დაღუპვის პირას მდგარ ციხესიმაგრეს და დახმარების ნაცვლად თავიანთი ზოზინით სპარსებს ქალაქის დაპყრობის საშუალებას აძლევდნენ.

ტყვედაყვანილი ბელიულ-ფაშა ომის დამთავრებამდე იყო ხოში.

ყოველივე ეს რუსებისათვის



ფრიად ხელსაყრელ სიტუაციას ქმნიდა. ბელიულ-ფაშას რომ შეენარჩუნებინა თავისი სამფლობელო, გადაწყვიტა, რუსების ნებას დაჰყოლოდა და არ დაპირისპირებოდა მათ, რადგან იცოდა, რომ ომის შემთხვევაში თავისი სომხები დასაყრდენად არ გამოადგებოდა.

**ჯერ კიდევ თებერვალში, როცა ნათელი გახდა რუსეთისა და თურქეთის უთანხმოებანი, ბელიულ-ფაშამ მიმოწერა დაიწყო არქიეპისკოპოს ნერსესთან, სთხოვდა მას, პასკევიჩთან მოლაპარაკებაში ჩართულიყო. ივლისის შუა რიცხვებში იმავე საკითხზე სწერდა იგი გენერლებს — პანკრატევსა და თავად ჭავჭავაძეს. სამწუხაროდ, მთავარსარდალი არ ენდობოდა თურქ სომხებს, რადგანაც სამხედრო მოქმედებები იქ დროზე ადრე დაიწყო, მან ფაშას წერილი უპასუხოდ დატოვა.**

**ამასთან, იმ დროს, როცა თურქები საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას ბაიაზეთს, საფაშოში იგრძნობოდა მღელვარება.**

რუსების მიერ სპარსელებისთვის მიყენებულმა უკანასკნელმა ძლიერმა დარტყმებმა, რუსეთთან მიერთებულ სპარსულ პროვინციებზე ხელახლა სომხეთის ოლქის დარქმევამ, თვალნათლივ დაანახა სომხებს, რომ მათ ცხოვრებაში ახალი ეპოქა იწყებოდა, რომ დასრულდა მუსლიმანურ უღელში მათი ყოფნა. მადლიერი ხალხი პატივისცემით ახსენებდა რუს მეფეს, გენერლებსა და რუსთა ჯარების საგმირო საქმეებზე სიმღერებს თხზავდა. სომხები მზად იყვნენ, თავის მხრივ, დახმარებოდნენ რუსებს — აძლევდნენ პურს და ანვდიდნენ ცნობებს მოწინააღმდეგის შესახებ, მაგრამ ამაზე შორს ჯერჯერობით ვერ მიდიოდნენ.

სხვაგვარად იყო საქმე ბაიაზეთის ქურთებთან. მტაცებელი ტომი ჩქარობდა, გამოეყენებინა ომი როგორც ხელსაყრელი შემთხვევა იოლად არსებობისა. ამ მიზნით შეესივნენ გარეუბნებს და ქურდავდნენ. ივნისის დასაწყისში მათი ბანდა (დაახლოებით ოთხასი კაცი) თავს დაესხა სოფელ ახურს, რომელიც დიდი არარატის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობდა. 23 ივლისს შედარებით მრავალრიცხოვან ქურთთა ბანდა დაეცა მეზობელ დასახლებას, სადაც სევასტოპოლის პოლკი იდგა. შეტაკების შედეგად 12 ადგილობრივი მცხოვრები დაიჭრა, ქურთებმა მთლიანად გაიტაცეს მათი პირუტყვი (სულ დაახლოებით სამი ათასი სული). მორიგი თავდასხმა უფრო ძლიერი იყო. სამი ათასამდე ქურთი, თურქთა მხედრიონის მხარდაჭერით, 20 ივლისის ღამეს თავს დაესხა დონის კაზაკთა პოლკს სოფელ მასტარნში. კიდევ კარგი, თავდამსხმელებს სევასტოპოლის პოლკის ორი ასეული მოულოდნელად შეეჩეხა, რომელიც იმ დღეს სარდალ-აბადიდან მოდიოდა და შემთხვევით ღამე მასტარში გაეთენებინა. არც ქურთებმა და არც თურქებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მხოლოდ მცირერიცხოვან კაზაკთა რაზმთან ექნებოდათ საქმე, ამიტომ დაფდაფების ხმამ და ქვეითი ჯარისკაცების „ვაშას!“ ძახილმა შეაშფოთა ისინი. ქურთებს არ შეეძლოთ, სოფელში გამაგრებულიყვნენ. რუსებმა ისინი ხიშტებით განდევნეს იქიდან, მაგრამ ყაჩაღებმა მაინც მოახერხეს ოცი კაცის ტყვედ აყვანა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთელი ჯოგის გარეკვა. ამ შეჯახებისას რუსების მხარეს ორი ოფიცერი დაიჭრა და ხუთი კაზაკი დაიღუპა.

**ბაიაზეთის საფაშოში ქურთთა წარმატებულმა თარეშმა ააღელვა მეზობელი ვანის საფაშოს ქურთები. არც ისინი იტყოდნენ უარს ქურდობასა და ყაჩაღობაზე, მაგრამ რუსეთის საზღვარი მათგან ძალიან შორს იყო, სპარსეთისა კი — იქვე ახლოს, ამიტომ გადაწყვიტეს, იგი რბევის არენად გაეხადათ (თუმცა ეს მიწები მათ მეგობარ ერს ეკუთვნოდა).**

**ივლისის დასაწყისში ვანის ფაშამ პირადად შეიმუშავა ხოეს ოლქზე თავდასხმის გეგმა. თავდამსხმელები ბევრნი იყვნენ, ამიტომ ხოეში რუსული რაზმის მეთაური, გენერალი პანკრატევი თვითონაც გამოვიდა მათ დასახვედრად იმ ადგილას, სადაც ვანისა და ბაიაზეთის გზები ერთმანეთს კვეთს. რუსული არმიის საბრძოლო მზადყოფნამ დააცხრო მოწინააღმდეგის ბრძოლის ჟინი და ძარცვის სურვილი. მათ არანაირი სურვილი არ ჰქონდათ, ღია ბრძოლებში მიეღოთ მონაწილეობა. ფაშამ უკან დაიხია და ვანის ციხესიმაგრეში ჩაიკეტა.**

ის იყო პანკრატევი უკან დაბრუნდა, რომ ქურთები შეესივნენ სალმაზის ველს და, რაც იქ პირუტყვი იყო, გარეკეს. შტაბს-კაპიტან ევდოკიმოვის ყაბარდოს პოლკმა ხეობასთან ქურთებს გზა მოუჭრა. ქურთებმა სცადეს თავდასხმა, მაგრამ საპასუხოდ მიღებულმა ზალპებმა დააფრთხო ისინი — მიატოვეს ნაქურდალი პირუტყვი და თავს უშველეს.

**რამდენიმე დღის შემდეგ, 5 აგვისტოს, მტაცებლები ახლა ბაიაზეთის მხრიდან გამოჩნდნენ. ამჯერად მათ დიდი რაოდენობით პირუტყვი გაიტაცეს. ყაჩაღებს შავი ზღვის კაზაკთა ასეული დაუპირისპირდა, რომელსაც დიაჩევსკი მეთაურობდა. ოცი ქურთი მოკლეს, სამი ტყვედ აიყვანეს, დანარჩენები გაიქცნენ. კაზაკების მხრიდან კი ხელჩართულ ბრძოლაში რვა კაცი დაიღუპა.**

ამ კერძო ინციდენტებმა ბაიაზეთის ფაშას დაანახა, რომ რუსები არც ისე ძლიერები არიან ერევანსა და ხოეში, რომ ბაიაზეთს დაემუქრონ. ამიტომ შეცვალა თავისი დამოკიდებულება რუსთა მიმართ. მან წერილი მისწერა თავად ჭავჭავაძეს, რომლითაც აფრთხილებდა, რომ რუსთა თავდასხმის შემთხვევაში თავს დაიცავდა უკანასკნელ წუთამდე.

ამასთან, ბაიაზეთის დაპყრობა პასკევიჩს ჯერჯერობით გადადებული ჰქონდა. და აი, როცა რუსებმა უკვე ახალქალაქი დაიპყრეს, პასკევიჩმა მისწერა თავად ჭავჭავაძეს, ბაიაზეთზე გაელაშქრებინა.

ეს საფაშო მდიდარი იყო პურის მარაგით და მნიშვნელოვანი იმით, რომ მასზე გადიოდა საქარავნო გზა, კონსტანტინოპოლიდან თავრიზამდე. ამ გზაზე არსებული თურქული სიმაგრეების განადგურებით კი მთლიანად დაცული ხდებოდა ჩვენი საოპერაციო ბაზის მარცხენა ფლანგი.

ვასილი პოტო
ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“

გაგრძელება შემდეგ ნომერში




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეცამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულს და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## დაწყევლილი ხელისუფლება



**რუმინეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი ჯადოქრების მიმართ საგადასახადო პოლიტიკა გაამკაცრა და პასუხიც შესაბამისი მიიღო — ჯადოქრებმა ხელისუფლება დაწყევლეს.**

ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით ქვეყანაში ჯადოქრები, ასტროლოგები და მკითხავები კერძო მესაკუთრეებთან გაათანაბრეს და მათ შესაბამისი გადასახადები დააკისრეს.

პასუხად შავი მაგიის წარმომადგენლებმა, ახლა უკვე მეწარმეებმა, ქვეყნის პრეზიდენტი და ხელისუფლება განსაკუთრებულად ძლიერ დაწყევლეს.

მათი განცხადებით, შავი მაგების შემოსავლები ისედაც უკიდურესად მწირია და ხარჯებს ძლივს ანაზღაურებდა; ამიტომ კანონპროექტის იდეის გაჩენისთანავე დაიმუქრნენ, რომ გადასახადების დაწესების შემთხვევაში სასტიკად იძიებდნენ შურს და შეასრულეს კიდეც პირობა — 13-მა ჯადოქარმა დუნაის სანაპიროზე წყევლის რიტუალი აღასრულა.

## აშშ-ში ცხოველები გამდიდრდებიან



**აშშ-ის მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორმა დევალ პატრიკმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც კატებისა და ძაღლებისთვის მემკვიდრეობის უფლების მინიჭებას ითვალისწინებს. პატრონის ანდერძში მოხსენიების შემთხვევაში შინაური ცხოველები მისი უძრავ-მოძრავი ქონების მეპატრონეები გახდებიან.**

მეპატრონეს შეუძლია შინაური ცხოველის მეურვე დაასახელოს, ხოლო მეურვეს უფლება აქვს, მიღებული მემკვიდრეობა განკარგოს. მასაჩუსეტსი აშშ-ის პირველი შტატი არ არის, რომელმაც, შინაური ცხოველების უფლებების დაცვის მიზნით, როგორც ამას თავად უწოდებენ, მსგავსი კანონი მიიღო. პირველი პრეცედენტი მილიარდელ ლეონა ჰელმსის სკანდალური ანდერძი იყო. მან 2007 წელს თავის საყვარელ ძაღლს 12 მილიონი დოლარი უანდერძა.

## კანადაში მტრედები იხოცებიან



**უკვე კარგა ხანია, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვა ფრინველის მასობრივი ხოცვის ფაქტები ფიქსირდება. ამჯერად უჩვეულო მოვლენის მსხვერპლნი კანადელი მტრედები აღმოჩნდნენ.**

ქალაქ სენტ-ოგიუსტენ-დე-დემორში დაუდგენელი მიზეზით უამრავი მტრედი მოკვდა. შემთხვევას კანადელი ორიონტოლოგები იძიებენ. ანალოგიური ინციდენტი იმავე რეგიონში დეკემბრის შუა რიცხვებშიც მოხდა.

როგორც კვებეკის პროვინციის გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ნიკოლა ებჟიმ განაცხადა, დახოცილი ფრინველის ქსოვილების გამოკვლევამ მათი სიკვდილის კონკრეტული მიზეზი ვერ დაადგინა.

სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ამ ინციდენტსა და ცოტა ხნის წინათ აშშ-სა და შვედეთში ფრინველების მასობრივი დახოცვის ფაქტებს შორის კავშირი არ არის, თუმცა, ყველა მსგავს შემთხვევაში, მიზეზი ამოუხსნელი რჩება.

# ერდოღანი არაბულ-თურქული ზესახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობს

**თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი თურქებსა და არაბებს მოუწოდებს, რომ თავიანთი უთანხმოებები დაივიწყონ და გაერთიანდნენ. წარმომადგენლობით სამთავრობო დელეგაციასთან ერთად იგი სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოებს ეწვია და კუვეიტში წარმოთქმულ სიტყვაში ვრცლად ისაუბრა, თუ როგორი ზესახელმწიფოები შეძლებენ მომავალში „მთელი მსოფლიოს ფორმირების განსაზღვრას“. ამ ზესახელმწიფოს შეადგენენ თურქეთი და არაბული ქვეყნები, თუკი ისინი საკუთარ თავში მონახავენ ძალებს და შექმნიან „კავშირს“, როგორც მუსლიმანური სამყაროს ცენტრს.**



ერდოღანმა ეს სიტყვა თურქულ-არაბული ურთიერთობებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმოთქვა. „ნახევრადსახელმწიფო“ საინფორმაციო სააგენტოს „Anadolu“-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან მოითხოვა XIX-XX საუკუნეების კამათებისა და უთანხმოებების დავიწყება, როდესაც არაბი ხალხები აჯანყდნენ ოსმალეთის იმპერიის მბრძანებლობის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, არაბებსა და თურქებს ისტორიული ერთობის გახსენება დაევალათ.

**ერდოღანის აზრით, ეს ერთობა, უპირველეს ყოვლისა, ისლამს, შემდეგ კი ქრისტიანი აგრესორების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას ეფუძნება.**

„ერთად თურქებმა და არაბებმა შეძლეს ამ მიწების დაცვა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს“, — განაცხადა მან. და შემდგომ ეპოქებშიც „ჩვენ ერთად ვებრძოდით დამპყრობლებს“, აღნიშნა ერდოღანმა და „ერზურუმის ოკუპაციაც“ მოიხსენია. როგორც ჩანს, მას მხედველობაში ჰქონდა რუსულ-სომხური ჯარის შესვლა თურქეთის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე პირველი მსოფლიო ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან მიმტაცებლური ომის გაჩაღებით ამ შეტაკებების პროვოცირება თავად ოსმალეთის იმპერიამ მოახდინა.

ერდოღანის აზრით, „ათასწლოვანმა საძმომ“ დღეს ახალი ცხოვრებისთვის უნდა გამოიღვიძოს და უნდა შექმნას „პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი“. **„ჩვენ ერთ ცივილიზაციას მივეკუთნებით, ჩვენ ერთი ისტორია გვაქვს“.**

## თურქეთი მუსლიმანური სამყაროს წამყვან ძალად ან «გრავიტაციულ ცენტრად» მოიაზრება





რაც შეეხება პალესტინის პრობლემას, ეს საკითხიც სოლიდარობის დახმარებით უნდა მოგვარდეს. თუ ერთად ყოფნა და თანამშრომლობა გამოვა, **„ამ რეგიონს გაუჩნდება პოტენციალი, რომელსაც მთელს მსოფლიოზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა შეეძლება“**, — ხაზი გაუსვა პრემიერმა. **როგორც ჩანს, თურქულ-არაბულ საძმოს იგი მუსლიმანური სამყაროს ცენტრად და წამყვან ძალად მიიჩნევს — უპირველესად, ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის შესაცვლელად საკმარისად გავლენიან ძალად.**

„ჩვენ ერაყის, ავღანეთისა და პაკისტანის ხალხთა ტკივილისადმი ისეთი დამოკიდებულება გვაქვს, როგორც საკუთარი ტკივილისადმი გვექნებოდა“, — ბრძანა ერდოღანმა. ამ სამი ქვეყნიდან თითოეულში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული სამხედრო დარტყმების შედეგად უამრავი მუსლიმანი დაიღუპა. **„თუ სხეულის ორგანოთაგან ერთ-ერთი ტკივილს განიცდის, მთელი სხეულიც განიცდის ამ ტკივილს. და თუ ღაზას შვილებს სასტიკად უსწორდებიან, ჩვენ ისეთ ტკივილს განვიცდით, თითქოს ჩვენს საკუთარ შვილებს უსწორდებოდნენ. ღაზას პრობლემა ჩვენი პრობლემაა, იერუსალიმის პრობლემა ჩვენი პრობლემაა“.**

## არაბული ქვეყნების უმეტესობას სძულს ირანი, უკიდურეს შემთხვევაში — მისი ახლანდელი ხელისუფლება

**ერდოღანის განცხადებით, საუბარია არაბულ-თურქულ და ფართო გაგებით მუსლიმანურ სოლიდარობაზე, რაც ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. „სოლიდარობის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ პალესტინის პრობლემა, ბოლო მოვუღოთ ირანისა და ავღანეთის ტკივილს“.**

თურქებსა და არაბებს შორის აყვავებული სოლიდარობის საფუძველზე აშენებულ ახალ, უკეთეს მსოფლიოზე ოცნებების გარდა, ერდოღანმა ევროკავშირიც მოიხსენია. **„ერთის მხრივ, ჩვენ მომავალშიც განვაგრძობთ მოლაპარაკებებს ევროპის კავშირთან; მეორეს მხრივ, ჩვენ ზურგს არ ვაქცევთ იმ რეგიონებს, რომლებთანაც მრავალსაუკუნოვანი საერთო ისტორია გვაკავშირებს“.** მისი განცხადებით, საზღვარგარეთ ვერავინ იტყვის, რომ მას რაიმე გავლენა აქვს თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე. **„ზოგიერთი ხალხი გვაკრიტიკებს, როდესაც ბაღდადზე, ქაბულზე, ღაზაზე, იერუსალიმსა და პალესტინაზე ვლაპარაკობთ... ჩვენ თავად განვსაზღვრავთ საკუთარ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ საკუთარი საგარეოპოლიტიკური პროგრამის რეალიზებას ვახორციელებთ. არაბები ჩვენი დები და ძმები არიან“.**

ერთი შეხედვით ერდოღანის გამონათქვამები იმის დადასტურებაა, რომ მის ისლამის გავლენის ქვეშ მყოფ მთავრობაში მთავარი ადგილი მომავლის იმგვარ წარმოდგენებს ეთმობა, რომელშიც **თურქეთი მუსლიმანური სამყაროს წამყვან ძალად ან „გრავიტაციულ ცენტრად“ მოიაზრება.** სწორედ ამ ტერმინს იყენებს ხოლმე დიდი სიამოვნებით თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეთ დავუთოღლუ.

მაგრამ ერდოღანი ამგვარი პრეტენზიების არსებობას უარყოფს კიდეც. **„ამ რეგიონში ძმობისა და ურთიერთთანამშრომლობის გარდა სხვა მიზნები არ გვაქვს“**, — აღნიშნა ხაზგასმით. საჭირო შენიშვნაა, რადგან არაბეთის ქვეყნებს თურქეთის ახალ საგარეოპოლიტიკურ აქტივობასთან დაკავშირებით შეშფოთების მიზეზი აქვთ. ერთის მხრივ, ბოლომდე ნათელი არაა, რას ნიშნავს ახალი და უფრო მჭიდრო კავშირი თურქეთსა და ირანს შორის. როგორც ბოლო დროს „ვიკილიქსზე“ გამოქვეყნებული მასალებიდან გამოჩნდა, **არაბული ქვეყნების უმეტესობას სძულს ირანი, უკიდურეს შემთხვევაში — მისი ახლანდელი ხელისუფლება; ზოგიერთს ისიც კი უნდა, რომ ისრაელმა მას ბომბები დაუშინოს; მეორეს მხრივ, გახსნილად ისრაელს აძაგებენ, დაფარულად კი თანამშრომლობენ მასთან. თავად ერდოღანმა მკაცრად გააკრიტიკა არაბული ქვეყნები, რადგან ღაზაში ისრაელის უკანასკნელი სამხედრო ოპერაციისას დუმდნენ, რისთვისაც თურქეთის პრემიერმა მათ „საცოდავები“ უწოდა. პარალელურად მან არაბული სამყაროს რეაქციას „სამაგალითო“ დაარქვა, მაგრამ დასძინა, რომ გულისხმობს ხალხს და არა მათ ხელისუფლებებს, რომლებმაც ღაზა განსაცდელში მიატოვეს.**

**შედეგად, არაბული ხელისუფლებები თვლიან, რომ მათ ხალხებს ერდოღანის მიმართ პოტენციურად შემაშფოთებელი სიმპათიები აქვთ, როდესაც არაბული ქვეყნების უმეტესობაში თავად ხელისუფლება თავისი ხალხის მხრიდან სიყვარულით ვერ დაიკვეხნის.**

ეს კი უკვე აჩენს სავარაუდო სცენარს, რომლის მიხედვითაც ერდოღანი არაბულ ქუჩებში პოპულარობის წყალობით მოახდენს ზეწოლას იმავე არაბულ ქვეყნებზე.

პრემიერი ტერორის თემასაც შეეხო და ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობს არანაირი ისლამური ტერორიზმი. ის, ვინც ტერორითაა დაკავებული, მუსლიმანი არაა, რადგან ისლამი „მშვიდობას“ ნიშნავს. მან მიანიშნა, რომ დროა ბოლო მოეღოს არამუსლიმანურ ტერორს, რაც შეიძლება გაკეთდეს ღვთის ნებითა და თურქულ-არაბული საძმოს სოლიდარობის დახმარებით.

„Die Welt“

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დროა, დავიცვათ ადამიანები ადამიანის უფლებათა დამცველებისგან

**ისეთი ორგანიზაციები, როგორიც „ჰუმან რაითს ვოთჩია", განვითარებადი ქვეყნებისთვის დასავლური, უნივერსალური სტანდარტების თავსმოხვევის საქმეში გზას ველარ იკვლევენ. 2010 წელს ამ ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ საგარეო პოლიტიკაში გამოჩენილი ჯეიმს ჰოჟი დანიშნეს. ახლა მას უდიდესი ამოცანის შესრულება მოუწევს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დარღვევები ესოდენ გავრცელებულია. ასეთივე უზარმაზარ პრობლემას წარმოადგენს თავად ადამიანის უფლებათა დამცველების მოძრაობის რეფორმირებაც. იმ იდეალისტების მიერ ჩამოყალიბებული მოძრაობა, რომელთაც სურდათ, მსოფლიო საუკეთესო ადგილად ექციათ, უკანასკნელ წლებში იმპერიალიზმის ახალი ფორმის ავანგარდად იქცა.**




გინდათ, დაამხოთ რესურსებით მდიდარი ღარიბი ქვეყნის ხელისუფლება? გინდათ, ამერიკული სამხედრო ჩარევისთვის მთელს მსოფლიოში მოიპოვოთ მხარდაჭერა? გინდათ, გაანადგუროთ მთავრობა, რომელიც ზრუნავს საკუთარი ხალხის სიღატაკიდან გამოყვანაზე? თავის გასამართლებლად ადამიანის უფლებები გამოიყენეთ!

**„ჰუმან რაითს ვოთჩი" ერთადერთი არ არის; არსებობს კიდევ მთელი რიგი ორგანიზაციებისა, რომელთაგან უკლებლივ ყველა ეწევა ადამიანის უფლებების შესახებ აბსოლუტისტური შეხედულების პროპაგანდას. ამ შეხედულებებს დასავლეთის თანამედროვე იდეები მოიცავენ და ამავე დასავლეთის წარმომადგენლები შეცდომით მათ „უნივერსალურს" უწოდებენ.**

**ამ ორგანიზაციების მუშაობა ხანდახან უფრო მეტ სიკვდილს, რეპრესიებს, სისასტიკესა და ადამიანის უფლებათა დარღვევას იწვევს, ვიდრე ვინმე სხვა.**

გლობალურ მასშტაბში მისაწვდომობისა და ჯორჯ სოროსისგან ნაჩუქარი 100 მილიონი დოლარის წყალობით, „ჰუმან რაითს ვოთჩი" ახლა გლობალურ სტანდარტს ამკვიდრებს. 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებებში ასახული ადამიანის უფლებების მდგომარეობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაცია უცოდველობას ინარჩუნებდა, მაგრამ დაუყოვნებლივ მოითხოვდა, მთელ მსოფლიოში ყველას მინიჭებოდა საბაზისო უფლებები. **გაჩენის წუთიდანვე ეს ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა უფლებათა დამცველებს და ამ დრომდეც რჩება მიბაძვის საგნად. სწორედ ეს ორგანიზაცია გახდა რწმენის სათავე, რომ დასავლეთს ზემოდან აქვს მონიჭებული უფლება, ჩაერიოს ყველგან და ყველაფერში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.**

**მაგრამ დღეს ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობა ადამიანის უფლებების წინააღმდეგია. პრობლემა მათი მხრიდან ადამიანის უფლებათა ვიწრო, ეგოცენტრული განსაზღვრებაა.**

## დღეს ამ მოძრაობას ჰაერივით ესაჭიროება ღრმა თვითშემოწმება, ხელახალი გააზრება და განახლება

ყველა, ვინც ტრადიციულად სათავეში უდგას ადამიანის უფლებათა დამცველ დასავლურ ჯგუფებს, წარმოშობით იმ საზოგადოებას განეკუთვნებიან, სადაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჯგუფური უფლებები — უფლება, რომ არ მოგკლან, არ გაგაუპატიურონ ჯარისკაცებმა, იარო სკოლაში, გქონდეს სუფთა წყალი, არ შიმშილობდე და ასე შემდეგ — დიდი ხანია, გარანტირებულია. მათ წრეში მნიშვნელოვანია მეორე რიგის, მაგალითად, რადიკალური გაზეთის დაფუძნების მსგავსი უფლებები. მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებში პირველი და მეორე ჯგუფის უფლებებს შორის ხშირად არჩევანი ძალზე კონტრასტულია და საკუთარი კულტურული უპირატესობის ხიბლში ჩაძირული უფლებათა დამცველები არასწორ არჩევანს აკეთებენ.

**ადამიანის უფლებათა სფეროში კეთილმოსურნეთა მოღვაწეობა დარფურში უმაღლესი დონის სიგიჟეს დაემსგავსა. მათ იქ არა მხოლოდ სახიფათოდ გულუბრყვილოდ წარმოაჩინეს თავი, არამედ აბსოლუტური უარი განაცხადეს, საკუთარ შეცდომებზე რაიმე ესწავლათ. არა მხოლოდ დარფურში, არამედ მთელს მსოფლიოში მათ სიკვდილის მთესველ მეამბოხეებს მიაწოდეს იდეა იმის თაობაზე, რომ, თუ ბრძოლის ველზე წარმატების შანსი არ აქვთ, შეუძლიათ მთელი მსოფლიოს სასარგებლო იდიოტების მობილიზებით მოიგონ საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროზე ის, რასაც ბრძოლის ველზე ვერ იგებენ. ამის მიღწევის საუკეთესო მეთოდი მეორე მხრიდან ხოცვა-ჟლეტის პროვოცირებაა, რაც დარფურის მეამბოხეებმა დიდი წარმატებით განახორციელეს.**

ეს განაპირობებს საუკეთესო სურვილებით მოქმედი ცნობილი ამერიკელების მობილიზებას და უფლებადამცველი ორგანიზაციების მათ მხარეს ყოფნას. ეს, ამავე დროს, ახანგრძლივებს ომს და უფლებადამცველ ორგანიზაციებს უდიდესი დანაშაულებების თანამზრახველად აქცევს.

რუანდაში ამჟამად ხელისუფლებაში მყოფი რეჟიმით მთელი აფრიკა აღფრთოვანებულია. ამ რეჟიმმა ადამიანთა დიდ ნაწილს გარდაუვალი სიღატაკისთვის თავის არიდების საშუალება მისცა, ოღონდ 1994 წლის იმ საზარელი ჟლეტის შემდეგ, რომლის შემდეგაც, როგორც ზოგიერთი დამკვირვებელი მიიჩნევს, რუანდა ვერასდროს მოითქვამს სულს. ეს არის რეჟიმი, რომელიც კრძალავს ყველაფერს, რაც რაიმე ეთნიკურთანაა კავშირში. მაგრამ, მეორეს მხრივ, იგივე ავტორიტარული რეჟიმი მოიცავს ყველაფერ საუკეთესოს, რაც კი რუანდას გადახდენია თავს ასწლეულის წინ კოლონიზატორების ჩასვლის დროიდან მოყოლებული. **ხალხი კმაყოფილია, აღფრთოვანებულია საკუთარი სამომავლო პერსპექტივებით და სულაც არ წუხს გაზეთების ან პოლიტიკური პარტიების სიმცირისა და ერთფეროვნების გამო. მაგრამ „ჰუმან რაითს ვოთჩი" რუანდის რეჟიმს მკაცრად რეპრესიულად მიიჩნევს. ხალხის დასაქმება, მათი ელექტროენერგიით და, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოებით უზრუნველყოფა მათთვის ადამიანის უფლებების დაცვად არ ითვლება. სამაგიეროდ, პოლიტიკური გამოსვლების შეზღუდვა მიუტევებელ ცოდვად ითვლება.**

**„ჰუმან რაითს ვოთჩს" სურს, რომ რუანდელებმა თავიანთ ეთნიკურ სიძულვილზე თავისუფლად საუბარი შეძლონ, პოლიტიკურმა პარტიებმა კი თავისუფლად იბრძოლონ ხელისუფლებისთვის. თუ რუანდის ხელისუფლება „ჰუმან რაითს ვოთჩის" რეკომენდირებული გზით ივლის, ამ ქვეყანაში გენოციდეს მოსაწყობად კიდევ ერთი სავსებით საკმარისი მიზეზი იქნება.**

უფლებათა დაცვის მოძრაობამ დაკარგა ორიენტირები და ახლა ადამიანის უფლებებს სრულ ვაკუუმში განიხილავს, ისე, თითქოს ყველგან აბსოლუტური მცნებები მოქმედებდეს და ნიუიორკელი თეთრკანიანები ყველაზე კარგად ერკვეოდნენ ამ მცნებებში. Aრადა, საკითხი არ უნდა ეხებოდეს იმას, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის ლიდერი ან რეჟიმი დასავლეთის მიერ დაწესებულ სტანდარტებს ადამიანის უფლებებთან მიმართებაში.

**როდესაც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გლობალური უფლებადამცველი ორგანიზაციები გაჩნდნენ, ალბათ, არავინ ეჭვობდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათ შეიძულებდნენ, როგორც ადამიანის უფლებათა მტრებს. დღეს ამ მოძრაობას ჰაერივით ესაჭიროება ღრმა თვითშემოწმება, ხელახალი გააზრება და განახლება.** ისტორიკოსი ბარბარა ტუჩმანი აბსოლუტურად მართალი იყო, როდესაც დაწერა ფრაზა, რომელიც თავისუფლად გამოდგებოდა რეფორმირებული „ჰუმან რაითს ვოთჩის" დევიზად: **„კაცობრიობას შეიძლება ჰქონდეს შეხების საერთო წერტილები, მაგრამ საჭიროებები და მისწრაფებები გარემოებათა შესაბამისად იცვლება".**

„Guardian"

## რა ამშვიდებთ მამაკაცებს?



**მამაკაცებს, ალბათ, დიდად არ გაახარებთ ამერიკელი ფსიქოლოგების დასკვნა იმის თაობაზე, რომ მათზე ყველაზე ძლიერ დამამშვიდებელ ეფექტს გემრიელად მომზადებული ხორცის ნაჭრის დანახვა ახდენს.**

დასაიმედებლად ფსიქოლოგები ამ ფენომენს პირველყოფილ ინსტინქტებს უკავშირებენ, როდესაც ოჯახის გამოსაკვებად მამაკაცს უნდა ენადირა. გარდა ამისა, ხორცი მამაკაცისთვის არა მხოლოდ საკვები და შიმშილის მოკვლის საშუალებაა, არამედ ოჯახური კერის სიმბოლო — მათი წინაპრები, უსაფრთხოების მიზნით, ერთად სადილობდნენ.

## youtube-მ მაწანწალა გაამდიდრა



**უსახლკარო უილიამსი ოჰაიოს შტატში მათხოვრობდა. პატარა დაფაზე, რომელიც მათხოვარს ხელში ეჭირა, ეწერა: „ღმერთმა ის ოქროს ხმით დააჯილდოვა, მაგრამ ამჟამად რთული პერიოდი აქვს".**

მათხოვარი გაზეთ „Columbus Dispatch"-ის ფოტოგრაფმა შეამჩნია და ხავერდოვანი ხმით დალაპარაკება სთხოვა. გადაღებული ვიდეორგოლი კი ინტერნეტში განათავსა. გარკვეული პერიოდის მანძილზე ვიდეორგოლი მილიონობით ადამიანმა ნახა. მაწანწალას „ოქროს ხმით" რადიოსადგურები და ტელეარხები დაინტერესდნენ. ტელეარხ CBS-ის დილის გადაცემაში ყოფილი მაწანწალა და ნარკომანი ტედ უილიამსი სუფთა ტანსაცმლითა და ახალი ვარცხნილობით გამოცხადდა. კალათბურთის ერთ-ერთმა კლუბმა, ტედ უილიამსს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა და ბინითაც უზრუნველყო.



## მეტროში — უშარვლოდ



**24 ქვეყნის 50 ქალაქში აქცია „No Pants Subway Ride" („მეტროში — უშარვლოდ") ჩატარდა. ნიუ იორკში საიუბილეო, მეათე აქციაში მონაწილეობა 3500-მა ადამიანმა მიიღო.** ათასმა მოხალისემ თავიანთი სოლიდარობა შარვლების გახდით ბარსელონაში, ბრიუსელსა და სიდნეიშიც გამოხატეს. მეტროში შიშვლად სიარულის იდეა 2002 წელს გაჩნდა. მაშინ ნიუ იორკის შვიდი გაბედული მოქალაქე მეტროში საცვლებით ჩავიდა. მათ ისეთი გამომეტყველება მიიღეს, თითქოს ერთმანეთს არც იცნობდნენ. მგზავრთა კითხვაზე, თუ რატომ არ ეცვათ შარვალი, პასუხობდნენ, რომ სახლში დარჩათ. 2002 წლიდან დღემდე აქციის ჩატარების წესი არ შეცვლილა. მას ქალბატონებიც შეუერთდნენ და, როგორც წესი, მონაწილეები უპირატესობას მულტფილმის გმირების გამოსახულებიან საცვლებს ანიჭებენ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სპეცოპერაციების მაესტრო

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი" — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**




**მას რუსული სპეცრაზმის მამას უწოდებენ. იგი დივერსიული მოქმედებების უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. ფრანკომ და ჰიტლერმა პირადად გასცეს მისი განადგურების ბრძანებები, მაგრამ ისინი არ შესრულებულა. მან 100 წლამდე იცოცხლა. მისი სახელი რამდენიმე ნაღმსა და ლომის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს უწოდეს. მის გამოცდილებას იყენებენ სპეცდანიშნულების ჯგუფი „ალფა", პალესტინელი ბოევიკები და ისრაელის კომანდოსები.**
**მაშ, ვინ არის იგი — ადამიანი თუ მითი?**

დასასრული. დასაწყისი იხ. 2010 წლის №46-48

ტყეებში უკრაინელი და ბელარუსი ნაციონალების რაზმები მოქმედებდნენ.




**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**
ეს არის საბრძოლო მოქმედებათა სახეობა, რომელთა შესახებაც წერა მხოლოდ 90-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი. ეს ეგრეთ წოდებული მუნჯური, ფიქტიური ბრძოლაა. ანუ ეს იყო ძალზე ეფექტური მეთოდი ბოევიკების ქვედანაყოფთა მოძებნისა და განადგურებისთვის.

მეთოდი იქამდე დადიოდა, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ნაწილების სადაზვერვო-დივერსიული გამოცდილების მქონე საკადრო მებრძოლებისა და მეთაურებისგან სპეცდანიშნულების მოტომსროლელი ბრიგადის სტრუქტურებში ფორმირდებოდა მებრძოლი ჯგუფები, რომლებშიც საბჭოთა მთავრობის მხარეს გადასული ყოფილი ბანდერელი მოხალისეები ერთიანდებოდნენ. მათ მშვენივრად იცოდნენ თავიანთი ყოფილი თანამებრძოლების ტაქტიკა.



**ეს ჯგუფები ეკიპირებულნი იყვნენ ზუსტად ისევე, როგორც უკრაინელი ნაციონალისტების რეალური ქვედანაყოფები. ამ ჯგუფებში მოხვედრილთა დიდი ნაწილი სრულყოფილად ფლობდა უკრაინულ ენას.** შედარებით მსხვილ რაზმებთან შემთხვევითი შეხვედრისას ისინი თავს უმაღლესი სარდლობის დავალებათა შემსრულებელ განსაკუთრებული დანიშნულების მოწინავე ჯგუფებად ასაღებდნენ. თუ შემხვედრი ჯგუფი არც ისე დიდი იყო, მას საკუთარი ძალებით ანადგურებდნენ.

**სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სპეცჯგუფი დამოუკიდებლად მოქმედებდა და პირდაპირ მოსკოვს ექვემდებარებოდა. კავშირი რაციის საშუალებით ხორციელდებოდა. მოსკოვიდან ჯგუფის წევრები აუცილებელ ინფორმაციას იღებდნენ, ითხოვდნენ მანქანებს ტყვეებისა და დაჭრილების ევაკუაციისთვის, იძახებდნენ კავშირგაბმულობის ოფიცრებს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტის დასამყარებლად.**

1945 წლის აპრილში, დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ, სპეცჯგუფი მოსკოვში დაბრუნდა.

მირკოვსკის მორიგი მოწინააღმდეგე გახდა ნაციონალისტური ორგანიზაცია „ლიტვის განმათავისუფლებელი არმია".

**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**
დასავლეთ უკრაინისგან განსხვავებით, ლიტვაში სიტუაცია კიდევ უფრო რთული იყო, ვინაიდან იქ ადგილობრივი ნაციონალისტების გარდა მოქმედებდნენ ვლასოველები, გერმანელები, ეგრეთ წოდებული ლიტვის განმათავისუფლებელი არმია, პოლონეთის იატაკქვეშეთის შეიარაღებული ფორმირების კრაიოვას არმიის ნაციონალები. ეს უკანასკნელნი ექვემდებარებოდნენ ლონდონში ემიგრირებულ მთავრობას, რომელიც არ აღიარებდა 1939 წელს დადგენილ და 1944 წელს კიდევ ერთხელ დადგენილ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრებს.



ლიტვისა და აღმოსავლეთ პრუსიის საზღვარზე მირკოვსკი სპეცჯგუფ მხატს მეთაურობდა. ჯგუფი 1945 წლის მაისიდან აგვისტომდე მოქმედებდა. მასში 128 წევრი იყო. ერთ-ერთ დოკუმენტში წერია:

**„რაზმი იმოქმედებს გერმანელების მიერ ორგანიზებული კურლანდიიდან წამოსული და აღმოსავლეთით მოძრავი ვლასოვური ბანდის სახით, რომლის მიზანი საბჭოთა მთავრობასთან ბრძოლისთვის ადგილობრივ ბანდებთან გაერთიანებაა".**

**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**
ბალტიისპირეთში წითელი არმიის საბრძოლო მოქმედებების სპეციფიკა იმაში მდგომარეობდა, რომ იქ, უკრაინასთან და ბელარუსთან შედარებით, გაცილებით მეტი გერმანელი და ვლასოველი ჯერ ალყაში ექცეოდნენ, შემდეგ კი, ცხადია, — წითელი არმიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. ტყეებში იმალებოდნენ ყველა რჯულის მებრძოლები — გერმანელებიც, ვლასოველებიც, სხვებიც და ისინი ეროვნული ნიშნით ერთიან მესამე ძალას არ წარმოადგენდნენ მებრძოლი ლიტველებისთვის, მაგრამ პარტიზანები დიდი სიხარულით ღებულობდნენ თავიანთ რიგებში, როგორც ტაქტიკურ მოკავშირეებს.

მირკოვსკის რაზმშიც იყვნენ ადგილობრივი ლიტველები და გერმანელებიც კი, რომლებიც მან პირადად აარჩია თავისუფალი გერმანიის ანტიფაშისტური კომიტეტის აქტივისტთაგან.



ეს უადვილებდა მას მუშაობის პროცესს ომისშემდგომი ლიტვის ქაოსში. და მაინც, აქ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იყო.



მრავალი წლის შემდეგ მირკოვსკის მებრძოლთაგან ერთ-ერთი ყვებოდა: **„მოვიდა ცნობა, რომ ბალტიისპირეთის ერთ-ერთ რაიონში ბანდა იმალება, ხელს უშლის ახალი ცხოვრების აწყობას, ატერორებს ადგილობრივ მოსახლეობას. ვიღებთ დავალებას, გავანადგუროთ ბანდიტები ან ცოცხლად შევიპყროთ. ოპერაციას სათავეში საბჭოთა კავშირის გმირი, გამოცდილი მეთაური, ჩეკისტი მირკოვსკი ედგა. მივედით დანიშნულების ადგილას, ვეცნობით მდგომარეობას და ვიგებთ, რომ ტყეებში იმალებიან ალყაში ჩარჩენილი გერმანელები. გადავწყვიტეთ, ამით მოგვეგო, გადავიცვით გერმანელების ფორმები და ბანდასთან დასაახლოებლად გავემართეთ. კონტაქტების დამყარება ძნელი არ აღმოჩნდა. გადავწყვიტეთ, ბანდიტები ცოცხლად აგვეყვანა. ჩვენთან მოვიწვიეთ და თვალყურს ვადევნებთ — შესაბამის მომენტს ველით. ყოველ ჩვენგანს მხოლოდ პისტოლეტი და დანა აქვს, მათ კი — სრული შეიარაღება. სამაგიეროდ, ისინი ათნი არიან, ჩვენ — თხუთმეტნი. მოვერევით. მირკოვსკის სიგნალისთანავე თავს ვესხმით. მე ერთს მივვარდი და ხელები გადავუგრიხე. ცდილობდა რა თავის დაღწევას, ხელყუმბარა მოამზადა, მაგრამ თავად შეეშინდა და მიწაზე დაეცა. ხელი გავუშვი, რომ ძირს დაცემისა და ხელყუმბარაზე გადაფარების საშუალება მიმეცა და ამ მომენტში გაისმა აფეთქების ხმა. გონს რომ მოვედი, ჰოსპიტალში ვიყავი, ფეხები უკვე აღარ მქონდა. ოპერაციის შედეგი ასეთი იყო: სამი ბანდიტი მოვკალით, შვიდი ტყვედ ავიყვანეთ, ჩვენს დანაკარგს ხუთი დაჭრილი შეადგენდა, მათგან ერთი მე ვიყავი".**



დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ ევგენი მირკოვსკი კვლავ დაბრუნდა მოსკოვში. ნამდვილი, ცხელი ომის ბრძოლების შემდეგ ოდნავ მომჯობინებული უკვე ცივი ომის ფრონტზე გაგზავნეს.

იმხანად დედამიწის მეორე მხარეს კორეის ომი ბობოქრობდა. კიმ ირ სენის ჩრდილოკორეელთა მხარეს თავადაც სულ ცოტა ხნის წინათ დამოუკიდებლობამოპოვებული მეზობელი ჩინეთის ათასობით მოხალისე იბრძოდა. მათ საბჭოთა სამხედრო მრჩევლები ეხმარებოდნენ, მათ შორის — პარტიზანული ომისა და დივერსიების სპეციალისტებიც. **მოწინააღმდეგე სამხრეთ კორეის ჯართან ერთად ამერიკის რეგულარული არმიაც და მაშინდელი სამხედრო ბლოკის მოკავშირეებიც იყვნენ. ამ ომში ორივე მხარეს მონაწილე სპეციალისტთა დიდ ნაწილს მეორე მსოფლიო ომის გამოცდილება ჰქონდა. ცოტა ხნის წინანდელი ანტიჰიტლერული კოალიციის მოკავშირეების მიერ გაყოფილი ევროპაც ომისთვის ემზადებოდა.**

**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**
მესამე მსოფლიო ომის საფრთხე იმხანად ძალზე რეალური იყო და მის მოლოდინში დასავლეთისა და აღმოსავლეთის გამყოფი ზოლის ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეებზე, ანუ ცენტრალურ ევროპაში სუდოპლატოვის ხალხი, მათ შორის ევგენი მირკოვსკიც, გადამწყვეტი მომენტის დადგომის შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებებზე გადასვლისთვის ემზადებოდნენ.

1955 წლის ზაფხულამდე ავსტრია ოკუპირებული იყო საბჭოთა, ბრიტანული, ფრანგული და ამერიკული ჯარებისგან. სწორედ ავსტრიაში იყო ყველაზე მეტად მოსალოდნელი მესამე მსოფლიო ომის პირველი შეჯახება. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს გამაფრთხილებელი დარტყმის განხორციელება ესაჭიროებოდა. მირკოვსკიმ შეიმუშავა დივერსიული ოპერაცია, რომელიც სწორედ ავსტრიის ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო. შეტევის ობიექტი აშშ-ის არმიის სამხედრო ბაზა იყო. დივერსანტები მოსკოვიდან ბრძანებას ელოდნენ, მაგრამ ამგვარი ბრძანება მათ არ მიუღიათ.

**1953 წლიდან საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ევგენი მირკოვსკი ალბანეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურში მსახურობდა. სპეცსამსახური 1945 წელს შეიქმნა, ენვერ ხოჯას მეთაურობით ალბანეთის შრომის პარტიის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე. ალბანეთის ახალმა სადამსჯელო ორგანოებმა ოპოზიციის წინააღმდეგ ნამდვილი ომი დაიწყეს. მომდევნო წლებში ეს სპეცჯგუფი აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დაუნდობლად და ძლევამოსილად ითვლებოდა. ლონდონმა ვაშინგტონთან ერთად ამ პატარა ქვეყანაში რამდენიმე ასეული აგენტი გაგზავნა. უკლებლივ ყველა აგენტი ალბანეთის ტერიტორიაზე გადასვლიდან რამდენიმე წუთში დაიჭირეს.** სახელმწიფო უშიშროებამ მათი გამოჩენის ადგილი და დრო წინასწარ იცოდა. ამ კონტრდაზვერვის ოპერაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მრჩევლები. სწორედ ისინი ასწავლიდნენ ალბანელ კოლეგებს მოწინააღმდეგის სპეცსამსახურების წინააღმდეგ ბრძოლის დეტალებს — ყალბი იატაკქვეშა ანტიკომუნისტური ორგანიზაციების შექმნასა და მსგავს ხრიკებს. ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუქტორი ევგენი მირკოვსკი იყო.



**1954 წლის მარტიდან მირკოვსკი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-13 განყოფილების ხელმძღვანელი გახდა. ამ განყოფილების ამოცანა იყო ნატოს სტრატეგიულ ობიექტებზე დივერსიების მოწყობა, საბჭოთა კავშირის მტრების განადგურება, ახალი იარაღის ნიმუშების მოპარვა.** მირკოვსკის განყოფილება, ასევე, დაკავებული იყო არალეგალებისა და აგენტების ქსელის შექმნით. მირკოვსკის მსახურება 1955 წელს დასრულდა. მისი გათავისუფლების ოფიციალური ვერსიის თანახმად, მიზეზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება იყო. მაგრამ რეალური მიზეზი სახელმწიფო უშიშროების კადრების წმენდა იყო. ხრუშჩოვის აზრით, ყველაზე ძლევამოსილები გაათავისუფლეს.

**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**
იმ დროისთვის მისი უფროსი მეგობარი სუდოპლატოვი უკვე ციხეში იყო, ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის — ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით მომუშავე კიდევ ბევრი ადამიანი. ეს ადამიანები უშუალოდ ბერიასგან იღებდნენ დავალებებს და ბერიას გასამართლების შემდეგ ეს ბრძანებები პარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ დანაშაულებრივად მიიჩნია და შემსრულებელთა პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენა. ამ ყველაფერმა განაპირობა ისიც, რომ 1955 წელს 51 წლის მირკოვსკი სამსახურიდან დაითხოვეს.

გათავისუფლებიდან გარდაცვალებამდე, ანუ **1955-დან 1992 წლამდე მისი ცხოვრება აისბერგს ჰგავდა — ჩანდა მხოლოდ წვერი. პენსიონერ მირკოვსკის თავისი ბობოქარი ცხოვრების ისტორიების მოყოლა არ უყვარდა.** დივერსანტის საქმე ბინძური და სისხლიანია, მასში, ფაქტობრივად, არ რჩება ადგილი გმირული რომანტიკისთვის, მაგრამ სწორედ ამ საქმეში ჩნდება ჭეშმარიტების მომენტები.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მეჰმეთ ალი აღჯა — «რუხი მგლიდან» «ახალ მესიამდე»

**მისი მემუარები დაწერამდე მილიონობით დოლარად იყიდებოდა. დებდა რა პირობას, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ აეხადა ფარდა XX საუკუნის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოების — რომის პაპ იოანე პავლე II-ზე თავდასხმისთვის, თურქი ტერორისტი მეჰმეთ ალი აღჯა მრავალი წლის მანძილზე რჩებოდა მასობრივი ინტერესის ობიექტად და, რაც უფრო ახლოვდებოდა გათავისუფლების დრო, მით უფრო ექსტრავაგანტული განცხადებები ისმოდა მისი საკნიდან. ჯერ კათოლიკობა მიიღო, შემდეგ ტერორიზმი დაგმო, შემდეგ ახლანდელ პაპ ბენედიქტ XVI-ზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ განაცხადა... და ამ ყველაფრით აისრულა კიდეც მთელი ცხოვრების ოცნება — ყოფილიყო ცნობილი.**





20-წლიანი პატიმრობის შემდეგ და, შესაბამისად, მსოფლიო საზოგადოების მხრიდან 1981 წელს რომის პაპზე თავდასხმის იდუმალი ისტორიის ამოხსნის 20-წლიანი ლოდინის შემდეგ 2010 წელს გათავისუფლებულმა ტერორისტმა განაცხადა, რომ ეს ტერაქტი მას თავად ვატიკანმა დაუკვეთა. მისი თქმით, **სროლის ბრძანება ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა, კარდინალმა აგოსტინო კასაროლიმ გასცა, თავად შემსრულებელმა კი თავდასხმის შეკვეთა სხვა კარდინალის — აგოსტინო ვალინისგან მიიღო. „დამავალეს, დამეჭრა, და არა მომეკლა რომის პაპი. მითხრეს, არ მესროლა გულისა და თავის არეში“,** — თქვა აღჯამ და დასძინა, რომ **იარაღის შესაძენად 50 ათასი დოლარი გადაუხადეს, მისი დაპატიმრება კი საერთო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი იყო.**

აღჯა თურქეთის სოფელ ისმაილში (ან მალათიაში) დაიბადა. როგორც ამბობენ, ბავშვობიდანვე ქუჩური ბანდების წევრი იყო და კრიმინალური კარიერა წვრილმანი ქურდობებით დაიწყო. მისი ბიოგრაფია ბოლომდე დაზუსტებულ პუნქტებს არ შეიცავს, თუმცა ცნობილია, რომ მოგვიანებით წვრილმანი ქურდობიდან კონტრაბანდაზე გადავიდა. **როგორც შემდგომში თავად ირწმუნებოდა, იმედისმომცემი მძარცველი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მეჰმეთ ალი აღჯა ორი თვის განმავლობაში, როგორც პალესტინის განმათავისუფლებელი სახალხო ფრონტის წევრი, სირიაში საბრძოლო ტერორისტულ მომზადებას გადიოდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ხანგრძლივი მცდელობისა, ამ ინფორმაციის ვერც დადასტურება და ვერც უარყოფა ვერ მოხერხდა.

საბრძოლო მომზადების გავლის შემდეგ აღჯა ულტრამემარჯვენე ახალგაზრდულ ორგანიზაციაში „რუხი მგლები“ (ბოზგურტი) გაერთიანდა. ამ ორგანიზაციამ თავის დროზე თურქეთში იმდენად დიდი არეულობა გამოიწვია, რომ ყველაფერი 1980 წლის სამხედრო გადატრიალებით დასრულდა.

**პირველად მეჰმეთ ალი აღჯას სახელი ფართო საზოგადოებისთვის 1979 წლის თებერვალში გახდა ცნობილი. მაშინ ჯერ კიდევ დამწყებმა, მაგრამ საკმაოდ კარგად მომზადებულმა, ტერორისტმა პოპულარული გაზეთის „მილიეთის“ რედაქტორი, ცნობილი თურქი ჟურნალისტი აბდი იპექჩი მოკლა.** იმ პერიოდში თურქეთში რთული პოლიტიკური სიტუაცია იყო. ქუჩებში ულტრანაციონალური დაჯგუფებები დათარეშობდნენ და სწორედ ამ დაჯგუფებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, მრავალრიცხოვანი და კარგად ორგანიზებული იყო „რუხი მგლები“. სავარაუდოდ, ამ უპირატესობების გამო მიეკედლა მას სტამბოლში კარგი ცხოვრებისთვის გადასული პროვინციელი სტუდენტი აღჯაც.

**მაგრამ „კარგი ცხოვრება“ მას თავისებურად ესმოდა და შედეგებიც შესაბამისი იყო — თურქი ჟურნალისტის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლო პროცესის მსვლელობისას ბრალდებულის სკამი ცარიელი იყო — აღჯა ციხიდან გაიქცა და ქვეყნის ტერიტორია დატოვა.** ცნობილია, რომ თურქეთიდან გაქცეულმა სიკვდილმისჯილმა ბულგარეთს შეაფარა თავი, თუმცა მისი ბიოგრაფიის ეს მონაკვეთი განსაკუთრებულად გასაიდუმლოებულია. სწორედ აღჯას ბულგარეთში გაქცევის გამო რომის პაპზე თავდასხმა გარკვეულწილად სოციალისტური ქვეყნების სპეცსამსახურებსაც ბრალდებოდათ.

**თავად აღჯას მიმართ ინტერესი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არ განელებულა და ამის უმთავრესი მიზეზი სწორედ რომის პაპზე თავდასხმის საიდუმლო გახდა. ეს საიდუმლო ბოლომდე გაუხსნელი დარჩა.**

1981 წლის 13 მაისს აღჯა XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული თავდასხმის მთავარი გმირი გახდა: რომში, წმინდა პეტრეს მოედანზე, სადაც პაპთან შესახვედრად უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი, მან რამდენჯერმე ესროლა იოან პავლე II-ს. **პაპი მუცელში და მკლავში დაიჭრა. თავდამსხმელი ადგილზევე შეიპყრეს და ამჯერად გაქცევის შანსი მისთვის აღარავის მიუცია.**

**ორიოდე თვის შემდეგ ტერორისტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.**

თურქმა საკუთარი საქციელის გასამართლებლად განაცხადა, რომ რომის პაპი „პირადად იყო პასუხისმგებელი ისლამზე დასავლეთის თავდასხმებისთვის“. როგორც გამოძიებამ დაადგინა, **პაპის მოკვლის გეგმას აღჯა თითქმის წელიწად-ნახევრის განმავლობაში ამუშავებდა.** დაჭრილი იოან პავლე II საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, იგი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა — ტყვიებმა არტერიები არ დააზიანეს. პონტიფიკი საკუთარ რეზიდენციაში შემთხვევიდან რამდენიმე დღეში გადაიყვანეს — ჭრილობები მძიმე არ აღმოჩნდა. თავად პაპმა ჩათვალა, რომ სასიკვდილო ტყვიისგან ღვთისმშობელმა დაიცვა. **ჭრილობებისგან საბოლოოდ გამოკეთებული იოანე პავლე II თავდასხმიდან ორი წლის შემდეგ ციხის საკანში ეწვია საკუთარ თავდამსხმელს და პირისპირ სამი საათის განმავლობაში ესაუბრა. ამ საუბრის შინაარსი უცნობია.**

„ის, რაზეც ვილაპარაკეთ, ჩვენს საიდუმლოდ დარჩება. მე ვესაუბრე მას, როგორც ძმას, რომელსაც მივუტევე და რომელსაც ჩემი მხრიდან სრული ნდობა აქვს“, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ პაპმა.

ვიდეოკადრები, რომელზეც ერთმანეთისკენ გადახრილი ტერორისტი და რომის პაპი არიან გამოსახულნი, მსოფლიოს ასობით ტელეარხმა უჩვენა. 2000 წელს პონტიფიკმა დამნაშავისთვის შეწყალებას მიაღწია და აღჯა იტალიური ციხიდან სამშობლოში გადაგზავნეს.

სწორედ ამ პერიოდში თურქეთში სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა გააუქმეს და აღჯას გაზეთის რედაქტორის მკვლელობისთვის მეორედ ელოდა სამუდამო პატიმრობა, მაგრამ 2002 წელს ტერორისტს ამნისტია შეეხო, 2006 წელს კი საერთოდაც გაათავისუფლეს.

ციხიდან გამოსვლისას აღჯას ქუჩაში უამრავი ადამიანი ელოდა. ბრბოდან მისალმების შეძახილები ისმოდა, ზოგიერთი კი ტერორისტის ფეხებთან ყვავილებსაც კი ყრიდა. ამ ყველაფრის გამო უდიდესი სკანდალი აგორდა და აღჯა კვლავ დააკავეს — სასამართლომ აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა: აღჯას ჩაუთვალეს სასჯელის მოხდის დრო, რომელიც მან პატიმრობაში გაატარა თურქეთის საზღვრებს გარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც არაკანონიერი იყო.

**ამის შემდეგ ტერორისტმა განაცხადა, რომ პატიმრობის დარჩენილ წლებს საკუთარი ცხოვრების შესახებ წიგნის წერას მოანდომებდა. აღჯას ავტობიოგრაფიიდან რამდენიმე მონაკვეთი სწორედ იმ გაზეთმა დაბეჭდა, რომლის რედაქტორიც ტერორისტმა სიცოცხლეს გამოასალმა.**

„მე მალათიაში — გარგლის ხეივნების მხარეში ჩავედი. იმ პერიოდში ბევრს ვკითხულობდი, განსაკუთრებით მაინტერესებდა სოციოლოგია და პოლიტიკა, მიყვარდა კომიქსები. სტამბოლის უნივერსიტეტში ეკონომიკის შესწავლა დავიწყე, მთელ თავისუფალ დროს საერთო საცხოვრებელში ვატარებდი და წიგნებს ვკითხულობდი. ერთხელ სტუდენტებმა პოლიტიკურ საღამოზე მიმიწვიეს, მაგრამ წასვლაზე უარი ვთქვი და უხასიათობა მოვიმიზეზე. პასუხად მეგობრებმა კომიქსები და წიგნები დამიხიეს. ამან ჩემს ფსიქიკურ მდგომარეობაზე მოახდინა გავლენა — გაუწონასწორებელი და უხეში გავხდი, ჩემს თავში ჩავიკეტე“, — წერდა აღჯა. მოგვიანებით იგი საკუთარი ცხოვრების იმავე პერიოდზე იტყვის: **„მაშინ გარშემორტყმული ვიყავი ადამიანებით, რომელთაც სხვაგვარი წარმოდგენები და შეხედულებები ჰქონდათ. მე არასდროს ვლებულობდი მათ, თუმცა ზოგიერთს პატივს ვცემდი. მინდოდა, რაიმე დამოუკიდებლად გამეკეთებინა, სახელი გამეთქვა, ადამიანებისთვის სასარგებლო ვყოფილიყავი“.**

„სუბკონტრაქტორის მესია“ — ასე ჰქვია მეჰმეთ ალი აღჯას შესახებ დაწერილ წიგნს, რომელშიც ავტორი სეიგელ ეზთიურქი ირწმუნება, რომ ამ ადამიანის უკლებლივ ყველა ქმედება ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — გაეთქვა სახელი. **ჟურნალისტები და ექსპერტები დავობენ და ვერ თანხმდებიან, მაინც**

**ვინაა აღჯა — ჩვეულებრივი დამნაშავე, დემონური ბოროტმოქმედი, მსოფლიო აღიარების მსურველი შეშლილი თუ რევოლუციონერი ტერორისტი?**

არადა, მეჰმეთ ალი აღჯა ათასობით მივიწყებული მკვლელისა და ბანდიტის ბედს გაიზიარებდა, რომ არა კიდევ ერთი ძალზე უცნაური ფაქტი.

2010 წლის 18 იანვარს აღჯას ციხიდან გამოსვლას უამრავი ტელეკამერა იღებდა. გამოსვლამდე იურისტებმა მოკლედ და კონკრეტულად განაცხადეს, რომ იგი თავს „ახალ ქრისტეს“ უწოდებდა, სამყაროს აღსასრულს წინასწარმეტყველებდა, დემოკრატიისთვის საბრძოლველად იმპერიის შექმნისკენ მოუწოდებდა მსოფლიოს და სურვილს გამოთქვამდა, პირადად წასულიყო ავღანეთში უსამა ბენ ლადენის მოსაკლავად. სახელგანთქმული ტუსაღის ფსიქიური მდგომარეობის თაობაზე ექიმები ადრეც წუხდნენ.

**თავად აღჯამ კი განაცხადა, რომ პოლიტიკაში არ ჩაერეოდა, სამაგიეროდ ჩამოაყალიბებდა რელიგიურ ორგანიზაციას. „მინდა ველაპარაკო ადამიანების ჯგუფს, რომელსაც შეუძლია გამომყვეს. მე გამუდმებით ვკითხულობ ბიბლიას და ვთვლი, რომ რეინკარნირებული იესო ქრისტე ვარ“, — განაცხადა გათავისუფლებისთანავე.**

ამის შემდეგ ტერორისტმა კათოლიკე ქალზე დაქორწინებისა და „შეცდომებით სავსე“ ბიბლიის გადაწერის სურვილი გამოთქვა, ცხადია, „შეცდომების“ გასწორებით. ბოლოს კი სამყაროს აღსასრულის მოახლოება ამცნო კაცობრიობას და განაცხადა, რომ ამ საუკუნის ბოლომდე მსოფლიო განადგურდება: **„ორი წლის შემდეგ მე, მეჰმეთ ალი აღჯა, დავამტკიცებ, რომ ახალი მესია ვარ. ვასრულებ ახალი, ნამდვილი ბიბლიის წერას. ვატიკანიდან ისტორიული დოკუმენტების დახმარებით დავამტკიცებ, რომ ამ ასწლეულში სამყარო დაინგრევა“.**

ამის შემდეგ რომის პაპზე თავდამსხმელმა თავისი ჯერ კიდევ დაუწერელი მემუარების შესყიდვისთვის კომერციული წინადადებები მსოფლიოს 40-ზე მეტი გამომცემლობისა და კინოკომპანიისგან მიიღო. ზოგიერთი წყაროს ცნობით, **მას დოკუმენტური ფილმისთვის ექსკლუზიურ ინტერვიუში 2-მილიონიან ჰონორარს დაჰპირდნენ, ორი წიგნის დაწერისთვის კი — 5 მილიონს.**

52 წლის აღჯას, რომელმაც ახალგაზრდობა ციხეში გაატარა, უზრუნველყოფილი სიბერე გარანტირებული ჰქონდა.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა თურქეთის კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც ამ ქვეყნის მოქალაქე მამაკაცები 60 წლის ასაკამდე სამხედრო ვალდებულებად ითვლებიან. აღჯას სამშობლოს წინაშე ეს წმინდა ვალი თავის დროზე გასაგები მიზეზების გამო არ მოუხდია. შესაბამისმა სტრუქტურებმა წვევამდელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმება მოინდომეს და **იმისთვის, რომ „პიროვნების ხასიათის ანტისოციალურობის მაღალ ხარისხში“ დარწმუნებულიყვნენ, ექიმებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ — აღჯას ციხიდან განთავისუფლებიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ სპეციალისტებმა მისი ფსიქიური მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ცნობა გასცეს.**



1981 წლის 13 მაისს რომში, წმ. პეტრეს მოედანზე, თავდასხმის შედეგად დაჭრილი რომის პაპი



1983 წლის 27 დეკემბერს იოანე პავლე მეორემ ციხეში მჯდომი მეჰმეთ ალი აღჯა მოინახულა

გვერდები მოამზადა
მაია ხვიჩაძემ

# ნასკას უდაბნოს საიდუმლო



**უძველეს დროში თანამედროვე პერუს ტერიტორიაზე მდებარეობდა ინკების დიდი იმპერია, რომელიც ჩრდილოეთით ეკვადორამდე, ქალაქ კიტომდე, იყო გადაშლილი; სამხრეთით კი — ჩილემდე, მდინარე მაულამდე. აქაურობას მრავალი უცნაურობა უკავშირდება, მაგრამ პერუსა და მთელი პლანეტის უდიდეს საოცრებად საიდუმლოებით მოცული ნასკას უდაბნო რჩება.**







იდუმალი გეომეტრიული ფიგურების გიგანტური ექსპოზიცია თვითმფრინავიდან პირველმა ამერიკელმა მეცნიერმა პოლ კოსოკმა 1920 წელს დაინახა. იგი გაოცებული აკვირდებოდა ტრაპეციების, სამკუთხედებისა და სპირალების კალეიდოსკოპს, რომელიც ზეგანის უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. მეცნიერის განსაკუთრებული დაინტერესება და გაოცება გამოიწვია ათეულობით კილომეტრზე გავლებულმა აბსოლუტურად სწორმა ხაზებმა, რომლებიც კვეთდა უდაბნოს და ჰორიზონტს მიღმა იკარგებოდა.

**ქალაქებს — ნასკასა და პალპას შორის მთელი „ზოოპარკი“ იყო გადაფენილი. გამოსახულებებზე ფრინველების, გველების, მაიმუნების, ვეშაპებისა და მწერების გიგანტური ფიგურები იკვეთებოდა. როცა ეს ფიგურები თავიდან დაათვალიერა, პოლ კოსოკმა აღმოაჩინა, რომ მათი შესრულების ტექნოლოგია ძალიან უბრალო იყო. საჭირო იყო მხოლოდ ქვების დაწყობა გარკვეული თანმიმდევრობით. რა თქმა უნდა, ამას წლები დასჭირდებოდა. სამაგიეროდ, დიდი რუდუნებით შექმნილი გამოსახულებები ამ უწყლო, გამომშრალ ადგილებში ათასობით წლების განმავლობაში შემორჩა.**

პირველი, რაც კოსოკს აზრად მოუვიდა, გიგანტური ასტრონომიული კალენდარი იყო. 1939 წლის 21 ივნისს მეცნიერმა პირველი ნაბიჯი გადადგა ნასკას საიდუმლოს ამოსახსნელად. მან შეამჩნია, რომ ჩამავალი მზე ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც ერთ-ერთი სწორი ხაზი ჰორიზონტის ხაზს კვეთდა. შემდგომ დღეებში დაკვირვებები გააგრძელა და მზის ჩასვლისას, ყოველთვის ერთსა და იმავე სურათს ხედავდა. ამან დაარწმუნა კოსოკი თავისი ვარაუდის სისწორეში — მან ზამთრის მზებუდობის ხაზი აღმოაჩინა. ახლა ნასკას უდაბნოს ყველა ფიგურის ციურ მოვლენებთან შესაბამისობაში მოყვანაღა რჩებოდა. ამ რთული ამოცანის გადაჭრაში მას მარია რაიხი დაეხმარა.

შვიდი წელი დასჭირდა პირველი მიახლოებითი ტოპოგრაფიული გეგმებისა და რუკების შედგენას. მხოლოდ 1947 წელს მოახერხა მ. რაიხმა კვლევისთვის შვეულმფრენის მოპოვება და პირველი ფრენისას თოკებით თავდაყირა გადაკიდებულმა გადაიღო გიგანტური ფიგურების პანორამა. პირველი დაწვრილებითი სქემა ნასკას უდაბნოს ფიგურების გამოსახულებით მარია რაიხმა მხოლოდ 1956 წელს დაასრულა.









# ყველაზე უცნაური საფლავის ქვები

**იმისთვის, რომ მათი საფლავები სხვისგან უნიკალურობითა და ორიგინალურობით გამორჩეული იყოს, ზოგიერთი ადამიანი სასურველ დიზაინს ანდერძშიც კი წერს, ზოგიერთი ჭირისუფალი გარდაცვლილის საფლავის ქვით სიცოცხლეში მისი საქმიანობის, პროფესიისა თუ მისწრაფებების ასახვას საკუთარი ინიციატივით ცდილობს. ფანტაზიები ხშირად ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მსოფლიოში ყველაზე უცნაური საფლავის ქვები შემდეგნაირად გამოიყურება.**

















საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მოგზაურობა დროში

**დროში მოგზაურობა, ტრადიციულად, ფანტასტიკური ჟანრის მთავარი თემაა. თუმცა, როგორც სსრკ-ისა და აშშ-ის მთავრობათა საიდუმლო დოკუმენტებიდან ირკვევა, უკვე ოცი წელია, ასეთი მოგზაურობების რეალური მტკიცებულებები არსებობს.**



### მოგზაურობა წარსულში

1976 წლიდან ამ დრომდე დაგროვდა 274 შემთხვევა, როცა საბრძოლო დავალებების შესასრულებლად გაგზავნილი მფრინავები მოულოდნელად წარსულში ხვდებოდნენ. ამ მოვლენებს ამერიკელი და რუსი მფრინავები ოფიციალურად ადასტურებენ და ზუსტად აღწერენ საკუთარი თვალით ნანახს. **დანიელმა ფიზიკოსმა პოკს ჰეგლუიდმა კი შეკრიბა მფრინავების მონათხრობი ამბები იმის შესახებ, თუ რომელ დროსა და ეპოქაში მოხვდა თითოეული მათგანი და ამ ფაქტების კლასიფიკაცია მოახდინა.**

1976 წელს რუსი პილოტი ვიქტორ ორლოვი იტყობინებოდა, რომ „მიგ25“-ით ფრენის დროს, საკუთარი თვალით დაინახა ის საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც მისი თვითმფრინავის ქვეშ ხდებოდა. აღწერის თანახმად, ეს იყო 1863 წლის ცნობილი ბრძოლა ქალაქ გიტისბერგთან ახლოს.

1985 წელს ნატოს სამხედრო მფრინავი ევროპული ბაზიდან აფრინდა და არც მეტი, არც ნაკლები, ძველი აფრიკის თავზე აღმოჩნდა, მიწაზე ისტორიამდელი გიგანტური ხვლიკები დააბიჯებდნენ.

1986 წელს რუსმა ალექსანდრე უსტიმოვმა ფრენის დროს აღმოაჩინა, რომ ძველი ეგვიპტის თავზე იმყოფებოდა. მან ერთი უკვე აშენებული პირამიდა დაინახა, ხოლო მის გვერდით — სხვა პირამიდების ფუნდამენტები და მათ გარშემო მოფუსფუსე უამრავი ხალხი.

**1994 წელს დროში მოგზაურობის შემთხვევების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა.** მფრინავი უიტმენი ძველი ევროპის თავზე აღმოჩნდა, მან დაინახა უზარმაზარი კოცონი, რომელზეც ქოლერის ეპიდემიის დროს დახოცილ ადამიანებს წვავდნენ. სხვა პილოტი ძველი რომის თავზე აღმოჩნდა, ნახა ოთხთვალები და კოლიზიუმი, რომელიც ახლადაშენებულივით გამოიყურებოდა.

კიდევ ერთ ანონიმურ ანგარიშში წერია, რომ პილოტმა უეცრად თავი მეორე მსოფლიო ომის დროინდელ საჰაერო ბრძოლაში ამოყო. მისი რეაქტიული თვითმფრინავის დანახვაზე შეშინებული მოკავშირეები და მათი მოწინააღმდეგე გერმანელები სხვადასხვა მიმართულებით გაფრინდნენ.

პილოტები აღნიშნავდნენ, რომ ეს მოგზაურობები 20 წამზე მეტ ხანს არ გრძელდება. საინტერესოა კიდევ ის ფაქტი, რომ სხვა დროში გადასვლა როგორც დაბალ, ასევე ზებგერითი სიჩქარის დროსაც ხდებოდა. გამოდის, რომ **სიჩქარე არანაირად არ უკავშირდება წარსულში შეღწევის უნარს.** ჰეგლუნდი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ **არ არის რეგისტრირებული მომავალში მოხვედრის არც ერთი შემთხვევა** და გამოთქვამს ვარაუდს, რომ, **შესაძლოა, ამოუცნობი მფრინავი ობიექტები უცხოპლანეტელების ხომალდები კი არა, ჩვენი მომავლის მანქანებია, რომლებიც დროდადრო წარსულში ამოყოფენ ხოლმე თავს.**

### იდუმალი რეისი

**არსებობს ბევრად უფრო იდუმალი ფაქტებიც. მაგალითად, 1939 წელს გაქრა სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც რიო-დე-ჟანეიროდან (ბრაზილია) ბოგოტაში (კოლუმბია) მიფრინავდა. გარკვეული დროის შემდეგ თვითმფრინავი ისევ გამოჩნდა, თუმცა მის ბორტზე 36 ადამიანის ჩონჩხილა იყო დარჩენილი.** შეკვეთილი ყავა ჯერ კიდევ ცხელი იყო, კვამლი ასდიოდა ახლადანთებულ სიგარებსაც. გაზეთები, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა საღებავის სუნი, 1939 წლის 16 აპრილით იყო დათარიღებული. ამ ფაქტს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ასამდე ექსპერტი იკვლევდა. ყველაფერთან ერთად სრულიად გაურკვეველი დარჩა, თუ როგორ მოახერხა თვითმფრინავმა დაჯდომა. საბოლოოდ ყველაფერი დროის ორმოებსა და უცხოპლანეტელებს მიაწერეს.

### სტუმარი მომავლიდან

ერთხელ კეიპტაუნის კაფეში შევიდა მოხუცი ქალბატონი მელოტი თავითა და იარებით დაფარული სახით, ნახევრად გამჭვირვალე ნეილონის ტანსაცმელი ეცვა. კარგად დანაყრების შემდეგ წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ფულის გადახდა აზრადაც არ მოსვლია. მას შემდეგ, რაც ანგარიში წარუდგინეს, აღშფოთებული მოხუცი ოფიციანტს ისე უყურებდა როგორც გიჟს, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა და საერთაშორისო კომიტეტში ჩივილით იმუქრებოდა. **გამოძახებულ პოლიციას მოხუცმა აუხსნა, რომ 30 წლის წინათ მომხდარ ატომურ კატასტროფაში გადარჩენილ ადამიანებს უფასოდ კვების უფლება აქვთ მსოფლიოს ნებისმიერ კაფეებსა და რესტორნებში. ქალბატონს თან ჰქონდა ჰოლოგრაფიული სურათით დამშვენებული პირადობის მოწმობაც. პირადობის მიხედვით, ის 2198 წელს დაიბადა.** ვითარებაში გასარკვევად პოლიციამ მოხუცის განყოფილებაში გადაყვანა გადაწყვიტა, მაგრამ მანქანასთან მისვლამდე იგი ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გაჩნდა.

### უბედური შემთხვევა მომავალში

**1988 წელს ტოკიოს ქუჩაში მანქანამ გაიტანა ადამიანი, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. მძღოლიცა და მოწმეებიც ირწმუნებოდნენ, რომ მსხვერპლი ციდან ჩამოვარდნილივით უეცრად გაჩნდა გზაზე.** გარდაცვლილს ძველმოდურად ეცვა, ჯიბეში კი ტოკიოს საიმპერატორო თეატრის მსახიობზე გაცემული 100 წლის წინანდელი პასპორტი ედო. მისამართში მითითებული ქუჩა უკანასკნელი 70 წლის მანძილზე აღარ არსებობდა. გამოიკითხა ყველა ახლოს მცხოვრები მოქალაქე, რომლებიც უცნობის მოგვარეები იყვნენ. მრავალდღიანი ძებნის შემდეგ იპოვეს მოხუცი ქალბატონი, რომლის ბაბუაც გაურკვეველ ვითარებში გაქრა. ქალმა პოლიციელებს უჩვენა სურათი, რომელზეც ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ძალიან ჰგავდა დაღუპულს, ხელში პატარა გოგონა ეჭირა, ფოტოზე აღნიშნული იყო თარიღიც — 1902 წლის მაისი.

### იტალია გაქრება

**1992 წელს იტალიელი ბრუნო ლეონე ოჯახთან ერთად სეირნობის დროს გაუჩინარდა.** პოლიციაში მისულ მეუღლეს ფსიქიატრთან მკურნალობა ურჩიეს. ორი დღის შემდეგ უჩვეულო მოვლენით შეშინებული ბრუნო სახლში დაბრუნდა. **იგი ამტკიცებდა, რომ იმოგზაურა 25-ე საუკუნეში, სადაც ერთნაირ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები ისე უყურებდნენ, როგორც ეგზოტიკურ ცხოველს. უთხრეს, რომ იტალია 21-ე საუკუნის მერე აღარ არსებობს.** ქუჩაში არ ჩანდა არც დღევანდელის მსგავსი შენობები და არც ხეები. მშიერ ბრუნოს აჭამეს რაღაც გამდნარი მედუზის მსგავსი, უსიამოვნო გემოს ჟელე, რომელიც მომენტალურად თრგუნავდა შიმშილის გრძნობას. მომავალი კატასტროფისგან თავის გადასარჩენად ბრუნოს აჩვენეს რუკა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სიცოცხლის გაგრძელება. გაიშვირა რა მომავლის ადამიანმა თითი მონღოლეთისკენ, ბრუნო უეცრად ისევ სახლში აღმოჩნდა.

# მოსავლის წრეების საიდუმლოებები

**ყოველი ზაფხულის დადგომისას პლანეტაზე მისტიკური წრეების გამოჩენა იწყება. საქართველოში მსგავსი მოვლენა არასოდეს დაფიქსირებულა, მაგრამ გარეუბნებში მცხოვრები ბრიტანელები ყოველწლიურად ხდებიან უჩვეულო მოვლენების მომსწრენი. საქმე ისაა, რომ მათ მინდვრებზე მისტიკური წრეები, იგივე კროპცირკულები (კროპ — მოსავალს, ხოლო ცირკულე წრეს ნიშნავს) ჩნდება.**







უჩვეულო წრეების შესახებ 1970-იანი წლებიდან გახდა ცნობილი. თავდაპირველად უზარმაზარი ზომის წრეები ინგლისში ნახეს, თუმცა შემდგომ ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **აღმოჩენილი კროპცირკულების 90 პროცენტი სწორედ დიდ ბრიტანეთშია. თავდაპირველად მინდვრებზე მცირე ზომის წრეები ჩნდებოდა, მოგვიანებით კი მათ ბევრად უფრო რთული გეომეტრიული ფორმები მიიღეს და მიწის უფრო დიდი მონაკვეთები დაიკავეს.** კროპცირკულები ხშირად რამდენიმე მეტრზეა გადაჭიმული. უფრო მცირე ზომის წრეები აღმოჩნდა თოვლზე, ყინულზე, ქვიშაზე. მათი უმრავლესობა ღამით ჩნდება.

სამხრეთ ინგლისში (ეს ადგილი აღმოჩენილი წრეების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა) კროპცირკულები, ძირითადად, აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისიდან ჩნდება და აგვისტოს ბოლომდე რჩება მინდვრებზე. როგორც ჩანს, ეს წრეების „საყვარელი“ პერიოდია.

ამ ფენომენის შესახებ დღესაც ცხარე კამათი მიმდინარეობს. **ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ კროპცირკულები ამოუცნობი მფრინავი ობიექტის „ნახელავია“, თუმცა იმის დამადასტურებელი ფაქტი, რომ უცხოპლანეტელები რთულ გეომეტრიულ ფიგურებს რამდენიმე საათის განმავლობაში აკეთებენ, პრაქტიკულად, არ არსებობს.**

არის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რომლის მეშვეობითაც დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამ საიდუმლოს ახსნას ცდილობდა. **1992 წელს ინგლისის მთავრობას უცნობი ფენომენით შეშინებული და, ამავე დროს, დაინტერესებული მოქალაქეების დასაშოშმინებლად რაღაც უნდა ეღონა. ხელისუფლებას არ სურდა, ამ გაურკვეველ ფენომენში ხალხს რამე მისტიკური დაენახა.** სულ მალე მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა ამ წრეების შემქმნელებად ორი სამოც წელს მიღწეული პიროვნება – დოუ და დეივი დაასახელა. რასაკვირველია, ყველაფერი ხალხისთვის თვალის ასახვევი მანევრი იყო.

წრეების საკითხში აღიარებული ექსპერტი და ამ ფენომენთან დაკავშირებული მრავალი ბესთსელერის ავტორი, ამერიკელი კოლინ ენდრულსი აცხადებს, რომ თავად მან 2500 კროპცირკული შეამოწმა. ჩატარებული „რევიზიის“ შედეგად მისთვის ნათელი გახდა, რომ მის კარტოთეკაში დაფიქსირებული შემთხვევების 80 პროცენტი ადამიანის ხელით არის შექმნილი.

**„როდესაც ჩემ მიერ მიღებული შედეგი ერთ-ერთ ინტერვიუში განვაცხადე, კარეოლოგების (მეცნიერება წრეების შესახებ) დიდი უკმაყოფილება გამოვიწვიე“,** – აცხადებს ექსპერტი. თუმცა ისიც აღიარებს, რომ კროპცირკულთა მეხუთედი ცალსახად ანომალიაა, რომელთა „შექმნაში“ ადამიანს მონაწილეობა ნამდვილად არ მიუღია.

# გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს!



## ტროპარი:

რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა, და საყუარელად ძედ სახელ-გვდა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა.

## კონდაკი:

განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა და ნათელი შენი, უფალო, აწ მოისახა ჩუენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა და განსცხადენ ნათელო შეუხებელო.

ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მადლი ეძლევა და, ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

# საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი
www.saqinform.ge

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო და მსოფლიო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net